



მაქს შტირნერი(დაბადებული როგორც იუჰან კასპარ შმიდტი) იყო გერმანელი ფილოსოფოსი, რომელსაც ხშირად ნიჰილიზმის, ეგზისტენციალიზმისა და ინდივიდუალისტური ანარქიზმის წინამორბედად მიიჩნევენ. ითვლება, რომ მისი Magnum Opus არის წიგნი “The Unique and its Property”, ან, როგორც თავდაპირველად ითარგმნა: “The Ego and His Own”. მაქს შტირნერი ამ ნაშრომში თავს ესხმის მორალის გრადიციულ გაგებას, რელიგიისა და ნაციონალიზმის იდეებს, სახელმწიფოს, ლიბერალიზმს, ბუნებრივ უფლებებს(მათ შორის საკუთრებას) და ზოგადად ყველანაირ იერარქიასა თუ აბსტრაქციას, რადგან ისინი არაფერია, თუ არა “გონების აჩრდილები”, რომელიც ადამიანის, “უნიკალურის” განვითარებას უშლიან ხელს, იმონებენ მას. “იერარქია ამრთა ბაგონობა, გონების ბაგონობაა!” - წერდა შტირნერი.

ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინდივიდუალისტი ანარქისტის, ბენჯამინ ტაკერის მიერ ბუნებრივი უფლებების(რომელიც ანარქო-ინდივიდუალიზმის ფუნდამენტად ითვლებოდა) უკუგდებად და 1886 წელს შტირნერისეულ ეგოიზმზე გადასვლამ მწვავე დებატები და უთანხმოება გამოიწვია ინდივიდუალისტებს შორის. თუმცა შტირნერის გავლენა აქ არ შეჩერებულა. ანარქო-კომუნისტი და ფემინისტი ემა გოლდმანი, რომელიც ამავდროულად კროპოტკინის გავლენის ქვეშ იყო, წერდა: “მკითხველებს შორის ყველაზე გულდასაწყვეტი გენდენცია არის მათ მიერ ერთი წინადადების ამოღება ნაშრომებიდან, როგორც კრიტიკიუმის, ავტორის იდეებისა ან პიროვნების შესაფასებლად.. [...] ძალიან შეზღუდული თვალსაწიერი მიმანიშნებელია ის დამოკიდებულება, რომელიც შტირნერს ხედავს, როგორც “ყველა თავისათვის, ყველა საკუთარი ინტერესისთვის”. ის, რომ შტირნერის ინდივიდუალიზმი მოიცავს უდიდეს სოციალურ შესაძლებლობებს, ხშირად ძალიან დაიგნორებულია. არადა, ნამდვილად მართალია, რომ თუ საზოგადოება ოდესმე თავისუფალი გახდება, ეს მხოლოდ გათავისუფლებული ინდივიდებით იქნება შესაძლებელი, რომელთა თავისუფალი ძალისხმევაც შექმნის საზოგადოებას”.

ბევრი ანარქისტის თვლის, რომ შტირნერის ფილოსოფიის ინტერპრეტირება მხოლოდ სოციალისტურადაა შესაძლებელი, თუმცა არსებობს ის ამრიც, რომ ეგოიზმი შეიძლება არ მოიცავდეს ანარქიზმს, და არც შტირნერი იყო აუცილებელი ანარქისტისტი. თუმცა, მთავარი ისაა, რომ გერმანელმა თვითგაცხადებულმა ეგოისტმა დაგვიტოვა საკმარისი მასალა იმისთვის, რათა ანარქიზმში მისი რადიკალური ამრი დამკვიდრებულიყო. ამ დოკუმენტში თავმოყრილია ხუთი თავი მისი ნაშრომიდან, თანმიმდევრობის დაცვით. ესენია: ‘იერარქია’, ‘პოლიტიკური ლიბერალიზმი’, ‘სოციალური ლიბერალიზმი’, ‘ჰუმანიტარული ლიბერალიზმი’, ‘ჩემი ძალა’.

მუშების ხელთაა უდიდესი ძალა და თუ ისინი ერთხელ მაინც სრულად გააცნობიერებენ მას და გამოიყენებენ, წინ ვერაფერი დაუდგებათ. მათ მხოლოდ შრომა უნდა შეწყვიტონ, შრომის პროდუქტი საკუთრად მიიჩნიონ და ისარგებლონ მისით. ეს გახლავთ არსი მუშათა არეულობისა, რასაც აქა-იქ აქვს ადგილი პერიოდულად.

სახელმწიფო შრომის მონურობას ეფუძნება. თუ შრომა თავისუფლება, სახელმწიფო ილუპება.

--- მაქს შგირნერი

“იერარქია”

ვიწყებ რა ჩვენი მონღოლოდობის ისტორიულ განხილვას, სრულებით არ ვაცხადებ პრეტენზიას ჩემი შეხედულებების ამომწურავ მნიშვნელობას ან მათ საფუძვლიანობაზე: მე მხოლოდ იმ მიზნით გადმოვიცემ მათ, რომ, ჩემის აზრით, ისინი სხვა დანარჩენის გარკვევას შეუწყობენ ხელს.

მსოფლიო ისტორიამ, რომლის კონსტრუირება სრულად კავკასიურ რასას ეკუთვნის, როგორც ჩანს, დღემდე ორი კავკასიური პერიოდი გადაიგანა: პირველში ჩვენ უნდა გამოგვეშვა ვიხილოთ და უკუგვეგლო კიდეც თანდაყოლილი მანგოიდობა, რასაც მეორე პერიოდში მონღოლოდობა (ჩინელობა) მოჰყვა. ეს უკანასკნელი და თავზარდამცემი პერიოდი ასევე უნდა დასრულებულიყო. მანგოიდობა ძველ დროს წარმოადგენს, ეპოქას საგნობრივზე დამოკიდებულებისა (მამალთა საკვებზე, ფრინველთა ფრენის გრაექტორიაზე, ცემინებაზე, ელვასა და მეხზე, წმინდა ხის ხმაურზე და ა.შ.); მონღოლოდობა არის აზრებზე დამოკიდებულების ერა, ქრისტიანული ეპოქა. მომავალს კი ეკუთვნის სიგყვები - მე ვარ მესაკუთრე საგნობრივი სამყაროსი და მე ვარ მესაკუთრე სულიერი სამყაროსი.

მანგოიდობის საუკუნეს ეკუთვნის ეგვიპტელთა ლაშქრობები და ზოგადად ეგვიპტისა და ჩრდილოეთ აფრიკის როლი. მონღოლოდობის საუკუნე მოიცავს ჰუნებისა და მონღოლების ლაშქრობებს რუსების ლაშქრობებამდე.

ჩემი ღირებულება არ შეიძლება მაღალი იყოს, სანამ მყარი ალმასი არა-მე ასე ფასობს, როგორც ეს იმ დროს იყო, როდესაც ყველაფრის ცენტრში ღმერთი და სამყარო იდგა. არა-მე ჯერ კიდევ მეტისმეტად მარცვლოვანი და გადაულახავია, რათა მისი აღმოფხვრა და გადაყლაპვა იყოს შესაძლებელი. მეტიც, ადამიანები საქმიანად ფუთფუთებენ ამ უძრავ სუბსტანციაზე, როგორც წვრილი პარაზიტები სხეულზე, რომლის წვენიც ისინი იკვებებიან, მაგრამ მისი შთანთქმა მაინც არ შეუძლიათ. ეს - პარაზიტთა აქტივობა, მონღოლთა ფაციფუცია. ჩინელებთან ხომ ყველაფერი ძველებურად რჩება და არაფერი „არსებითი“ ან „სუბსტანციური“ ცვლილებას არ ექვემდებარება, და მით უფრო მეტად არიან ისინი დაკავებული დარჩენილით, „ძველით“ „წინაპრებით“.

ამგვარად, ჩვენს მონღოლურ საუკუნეში ყველა ცვლილება რეფორმატორული ან მაკორექტირებელი ხასიათის იყო, მაგრამ არა დამანგრეველი, შთანმთქმელი და გამანადგურებელი. სუბსტანცია, ობიექტი - რჩება. მთელი ჩვენი სამუშაო იყო ჭიანჭველების ფაციფუცი და რწყილების ხგუნვა - ჟონგლიორობა ობიექტურის უძრავ ბაგირზე, მონობა უცვლელისა და „მარადიულის“ უღელქვეშ. მართალია, ჩინელები შესაძლოა ყველაზე პოზიტიური ერია, რადგან ისინი თავიან-ფეხიანად წესებში ჩაძვრნენ, მაგრამ პოზიტიურს, ანუ „შებლულ თავისუფლებას“, თავისუფლებას „გარკვეულ შიდა საზღვრებში“ ვერც ქრისტიანულმა საუკუნემ აუარა გვერდი. განვითარების ყველაზე პროგრესულ საფეხურზე ეს სამუშაო მეცნიერულის სახელწოდებას იმსახურებს, ანუ სამუშაოს, რომელიც უძრავი წინაპირობიდან, უცილობელი ჰიპოთეზიდან გამომდინარეობს.

პირველადი და ყველაზე გაურკვეველი ფორმით მნეობა ჩვევის სახით გამოვლინდება. საკუთარი ქვეყნის ადათებისა და წესების მიხედვით მოქმედება მნეობრიობას ნიშნავს. ამიგომაც ჭეშმარიტად მნეობრივი ქმედებები და წრფელი მნეობრიობა უფრო პირდაპირ და მარტივად ჩინეთში ხორციელდება: იქ არის შენარჩუნებული ერთგულება ძველი ადათებისა და ჩვევებისადმი, ხოლო ყოველგვარ სიახლეს სასიკვდილო დანაშაულად მიიჩნევენ. სიახლე - ჩვევის, ანტიკურის, მუღმივობის სასიკვდილო მგერია. მართლაც, ეჭვს არ იმსახურებს ის, რომ ადამიანი ჩვევის მეშვეობით იცავს თავს სამყაროს შემოქმედებისგან და საკუთარ სამყაროს აფუძნებს, რომელშიც გრძნობს იგი თავს შინ, სადაც მას საკუთარი გეცის აგება შეუძლია. „გეცას“ ხომ სხვა მნიშვნელობა არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ ის არის ადამიანის ჭეშმარიტი სამშობლო, სადაც უცხო აღარ განსაზღვრავს და აღარ ბატონობს მასზე, სადაც არანაირი მიწიერი გავლენა არ აუცხოებს მას, სადაც წყდება ბრძოლა სამყაროს წინააღმდეგ და მისთვის აღარაფერია აკრძალული. გეცა - უარყოფის დასასრული, თავისუფალი სიამოვნებაა. იქ ადამიანი აღარაფერზე ამბობს უარს, რადგან იქ მისთვის აღარაფერია უცხო და მგრულად განწყობილი. მაგრამ ჩვევა „მეორე ბუნებაა“, რომელსაც ადამიანის ყურადღება გადააქვს პირველყოფილი არსიდან, იცავს რა მას ამ არსის ყოველგვარი შემთხვევითობისგან. ჩინელთა გამოთქმულია ჩვევამ ყველაფრის შესახებ იბრუნა და ყველა მოვლენა გაითვალისწინა, რაც კი შეიძლება მოხდეს. ჩინელმა ყოველთვის იცის, როგორ მოიქცეს და მას არ სჭირდება გარემოებებისთვის ანგარიშის გაწევა: მისი სიმშვიდის გეციდან მას ვერანაირი შემთხვევა ვერ გამოიყვანს. შეიძენს რა მნეობრიობის ჩვევას, შეისისხლხორცებს რა მას, ჩინელს ველარაფერი აოცებს: იგი ყველაფერს თანაბრად გულგრილად, თანაბარი სიმამაცით ან სულიერი სიმშვიდით ხვდება, რადგან მის სულს, რომელსაც საუკუნოვან ადათთა სიფრთხილე იცავს, ვერაფერი დააკარგვინებს წონასწორობას. ჩვევა პირველი საფეხურია განათლებისა და კულტურის კიბეზე, რომელზეც კაცობრიობა აღის, ხოლო რადგან მას წარმოუდგენია, რომ კულტურის მიღწევასთან ერთად იგი გეცასაც, კულტურის სამეფოს ანუ მეორე ბუნებას, აღწევს, ის მართლაც ღვამს ფეხს ბეციური კიბის პირველ საფეხურზე.

მონღოლოიდობამ სულიერი არსის, სულთა სამყაროს ყოფა დაადგინა, შექმნა ბეცა, კავკასიელები კი ათასწლეულობით ებრძოდნენ ამ არსს, რათა მისი საფუძვლისთვის მიეღწიათ. გამოდის, რომ ისინი მონღოლურ საძირკველზე აგებდნენ. ისინი არა ქვიშაზე, არამედ ჰაერში აშენებდნენ, ებრძოდნენ მონღოლურ საწყისს, ცდილობდნენ დაემხონ მონღოლური ბეცა, გიანი. ბოლოს და ბოლოს, როდის გაანადგურებენ ისინი ამ ბეცას? როდის იქცევიან ნამდვილ კავკასიელებად და იპოვნიან საკუთარ თავს? როდის იქცევა „სულის უკვდავება“, რომელიც უკანასკნელ დროს კიდევ უფრო ძალმოსილად თვლიდა თავს, უწოდებდა რა მას „გონის უკვდავებას“, როდის იქცევა ის გონის სიკვდილიანობად?

მონღოლოიდური რასის ბეჯითი შრომის წყალობით ადამიანებმა ბეცა შექმნეს, კავკასიურმა თემმა კი (მონღოლოიდური შეფერილობის მქონე, ის ჯერ კიდევ ბეცით იყო დაკავებული) საკუთარ თავზე საპირისპირო ამოცანა აიღო: ადათთა ბეცის დამხობა, ის ბეცათმხობით დაკავდა. ყველა ადამიანური წესისათვის ძირის გამოთხრა, რათა მოსუფთავებულ ადგილზე ახალი და უკეთესი აიგოს, მნებობის წახდენა, რათა მის ადგილას ახალი და უფრო სრულყოფილი დამკვიდრდეს, - აი, რით შემოიფარგლება კავკასიური გომის ამოცანა. ნუთუ ეს არის ის, რისკენაც ისწრაფვიან? მიღწეულია მღვრული განზრახვები? არა, ამ „საუკეთესოს“ შექმნისას კავკასიური გომის საქმიანობა მონღოლოიდობით არის შეპყრობილი. იგი ამხობს ბეცას, რათა მის ადგილას ახალი შექმნას, ანადგურებს ძველ ხელისუფალს, რათა გახგმე ახალი დააბრძანოს, მოკლედ - ის მხოლოდ გამოსწორებით არის დაკავებული. მაგრამ ჭეშმარიტ მიზანს, როგორც არ უნდა ქრებოდეს იგი თვალთახედვის არიდან ყოველი გადახრისას, მართლაც ბეცის, ადათების სრული განადგურება წარმოადგენს, ანუ მხოლოდ სამყაროსგან დაცული ადამიანისა, ე.ი. ადამიანის იზოლირებულობის, მისი შინაგანი თავისუფლებისა. კულტურის ბეცით ცდილობს ადამიანი სამყაროსგან გამოცალკევებასა და მისი მგრული ძალაუფლების განადგურებას. მაგრამ ეს ბეციური იზოლირებულობა უნდა დაიმსხვრეს, ხოლო ბეცაზე შეგვეის ჭეშმარიტი დასასრული მისი დაცემა და სრული განადგურებაა. გამოსწორება და რეფორმირება კავკასიელში მონღოლოიდობის გამოვლენაა, რადგან ამით ის იმას ამკვიდრებს, რაც უკვე იყო, კერძოდ: მცნებას, რაღაც ზოგადს, ბეცას. მას ფუნდამენტური მგრობა აქვს ბეცის მიმართ და, მიუხედავად ამისა, ყოველდღიურად ახალ ბეცას აგებს; ადგამს რა ბეცას ბეცაზე, იგი მხოლოდ თრგუნავს ერთს მეორით: იუდეველთა ბეცა ანგრევს ელინთა ბეცას, ქრისტიანების ბეცა - იუდეველთა ბეცას, პროტესტანტებისა - კათოლიკეთა ბეცას და ა.შ. თუკი ბეცის დამამხობელი კავკასიელები მონღოლოიდურ გყავს მოიშორებენ, მაშინ ისინი სათნო ადამიანს გრძნობათა უმარმამარი სამყაროს ნანგრევების ქვეშ დამარხავენ, დამარხავენ განცალკევებულ ადამიანს მისი განცალკევებული სამყაროს ქვეშ, ბეცად აღვლენილ ადამიანს - საკუთარი ბეცის ქვეშ. ბეცა კი სულების, სულიერი თავისუფლების სამეფოა. ბეციურმა სამეფომ - სამეფომ სულებისა და მოჩვენებების, სპეკულაგურ ფილოსოფიაში ჭეშმარიტი სახე შეიძინა. იქ იგი განსამღვრული იყო, როგორც ამრების, ცნებებისა და იდეების სამეფო: ბეცა ამრებითა და იდეებით არის დასახლებული და სწორედ ეს „სულთა სამეფო“ წარმოადგენს ჭეშმარიტ სინამდვილეს.

სულისათვის თავისუფლების მოხვეჭის სურვილი მონღოლოიდობაა, სულიერი თავისუფლება - მონღოლოიდური თავისუფლება, სულის თავისუფლება, მორალური, მწიგნობრივი თავისუფლება.

„მწიგნობრობის“ ცნება თვითშემოქმედებასა და თვითგამორკვევასთან არის გაიგივებული. თუმცა საქმე ამაში არ არის, ხოლო კავკასიელმა, პირიქით, მიუხედავად მონღოლოიდური მწიგნობისა, თვითშემოქმედებად წარმოაჩინა საკუთარი თავი. მონღოლოიდური ბეცა ანუ ალათი ციხესიმაგრედ რჩებოდა, კავკასიელმა კი მხოლოდ იმით გამოავლინა მწიგნობრობა, რომ გაუთავებლად თავს ესხმოდა ამ ციხესიმაგრეს. საერთოდ რომ არ ჰქონოდა საქმე ალათთან, ასეთ შემთხვევაში მასში მას აღარ ეყოლებოდა მუდმივი და დაუმარცხებელი მგერი. ამგვარად, სწორედ ის, რომ მისი თვითშემოქმედება მწიგნობრივია, წარმოადგენს მის მონღოლოიდურობას, ნიშანს იმისა, რომ მისით მივიდა იგი საკუთარ თავთან. „მწიგნობრივი თვითშემოქმედება“ სავსებით შეესაბამება „რელიგიურ და მართლმორწმუნე ფილოსოფიას“, „კონსტიტუციურ მონარქიას“, „ქრისტიანულ სახელმწიფოს“, „თავისუფლებას გარკვეულ ჩარჩოებში“, „ბეჭდვის შემზღვეველ თავისუფლებას“, „ზოგადად - ლოგინს მიჯაჭვულ გმირს.

აღამიანი მხოლოდ მაშინ გადალახავს საკუთარ შამანობასა და მმანებებს, როდესაც არა მხოლოდ მოჩვენებებისა და სულების რწმენის უარყოფას შეძლებს, არამედ სულის რწმენისაც.

ის, ვისაც მოჩვენებების სწამს, იმაზე მეტად არ უშვებს „უზენაესი სამყაროს შემოჭრას“, ვიდრე ის, ვისაც სულის სწამს, ორივე კი გრძნობიერი სამყაროს მიღმა ბეგრძნობიერს ეძებს, მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი ქმნიან (და სწამთ) სხვა სამყაროს, ეს სხვა სამყარო კი მათი გონის ქმნილებაა, სულიერი სამყაროა. მათმა გრძნობებმა არ იციან სხვა ბეგრძნობიერი სამყარო, მხოლოდ მათი სული ცხოვრობს იქ. არ არის რთული სულიერ არსებათა მონღოლოური რწმენიდან იმ რწმენაზე გადასვლა, რომ აღამიანის ჭეშმარიტი არსი მისი სულია და რომ მთელი ყურადღება ამ სულისკენ, „სულის საკეთილდღეოდ“ უნდა იყოს მიმართული. ასე ხორციელდება გავლენა სულზე, ე.წ. მორალური შემოქმედება.

ამდენად, სავსებით ცხადია, რომ მონღოლოიდობა გრძნობის სრულ უუფლებობას წარმოადგენს, უამრობასა და არაბუნებრიობას, ხოლო ცოდვა და ცოდვის შეგნება, რაც ათასწლეულობით გვგანჯავდა, მონღოლოიდური საგანჯველი იყო.

მაგრამ სულს ვიღა აქცევს მის არარად? ის, ვისაც სულის მეშვეობით ბუნება უსუსურად, სასრულად, წარმავალად წარმოედგინა, მხოლოდ მას შეუძლია სული ასეთ უსუსურობამდე დაიყვანოს: ეს შემოიძლია გავაკეთო მე, შეუძლია თითოეულ თქვენგანს, ვინც ქმნის და მოქმედებს, როგორც აბსოლუტური „მე“ - ერთი სიგყვით, ეგოისტს შეუძლია.

წმინდას წინაშე აღამიანები ძალის შეგრძნებასა და სიმაჰაცეს კარგავენ, მის მიმართ ჩვენ უძღურები და მორჩილები ვართ. მაგრამ არაფერია თავისთავად წმინდა, წმინდად იგი იქცევა ჩემს მიერ კანონიზაციის გზით, ჩემი გადაწყვეტილებით, ჩემი განაჩენით, მუხლმოდრეკით, ერთი სიგყვით - ჩემი სინდისით.

წმინდაა ყველაფერი, რაც ეგოისტიზმის მიუწვდომელია, სცდება მისი ძალაუფლების საზღვრებს ანუ მასზე მაღლაა. ერთი სიგყვით, წმინდაა სინდისის ყველა საქმე, ხოლო სიგყვები: „ ეს ჩემთვის სინდისის საქმეა “ სინამდვილეში ნიშნავს: „ მე ამას წმინდად ვთვლი “ .

ბავშვების, ისევე, როგორც ცხოველებისთვის, არაფერი წმინდა არ არსებობს, რადგან ასეთი წარმოდგენის შესაქმნელად იმდენად უნდა იქნას გონება განვითარებული, რომ შეძლოს კარგისა და ცუდის, სამართლიანისა და უსამართლოს გამიჯვნა, მხოლოდ შეგნების ამ საფეხურზე შესაძლებელი - და სწორედ ის წარმოადგენს რელიგიის საწყის წერტილს - რომ ბუნებრივი შიშის ნაცვლად არაბუნებრივი მოკრძალება, მორჩილება, „ წმინდა შიში “ დამკვიდრდეს. მიღებულია ვიფიქროთ, რომ ის, რაც ჩვენს გარეთაა, უფრო მძლავრი, უფრო დიდი, მეტად მართლზომიერი, უკეთესია და ა.შ. ეს ნიშნავს აღიარო სხვისი ძალაუფლება, არა მხოლოდ იგრძნო, არამედ აშკარად აღიარო ანუ დათმო, გაილო საკუთარი თავი, დართო ნება შეგიბოჭონ ხელ-ფეხი (ერთგულება, თვინიერება, მორჩილება, პირმოთნეობა), ერთი სიგყვით, სახეზეა „ ქრისტიანულ ღირსებათა “ ყველა ნიშანი.

ყველაფერი, რასაც თქვენ პატივსა და თაყვანს სცემთ, წმინდას სახელს იმსახურებს: თქვენ ხომ თავად ამბობთ, რომ უფროხით მასთან შეხებას, გრძნობთ რა ამ დროს „ წმინდა შიშს “ . არაწმინდასაც (საფრთხობელას, დანაშაულს და ა.შ.) ამ ელფერს ანიჭებთ. თქვენ გეშინიათ წმინდასთან შეხება. არის მასში რაღაც შიშის მომგვრელი და საზარელი, ანუ არამშობლიური და არასაკუთარი.

„ აღამიანს წმინდა რომ არ გააჩნდეს, მაშინ ყველა სახის თვითნებობისა და შეუძლავი სუბიექტურობის კარი გაიღებოდა! “ შიშია ყველაფრის საწყისი და ყველაზე უხეში აღამიანის კი შეიძლება შიშისგან კანკალებდეს. შესაბამისად, აქ არის დაბრკოლება მისი უგიფრობის გზაზე. მაგრამ შიში მუდამ შეიცავს მცდელობას იმისგან განთავისუფლებისა, რაც შიშს გვგვრის, ეშმაკობის, სიცრუის, ხრიკების გზით. თაყვანისცემაში კი ყველაფერი სხვაგვარადაა: აქ შიშის გარდა არის მუხლმოდრეკა, ის, რისიც მე მეშინია, შინაგან ძალად იქცა, მე თაყვანს ვცემ მას, მოხიბლული ვარ მისით, ვეკუთვნი მას, ხოლო იმ პატივის გამო, რომელსაც მას ვცემ, მე მთლიანად მის განკარგულებაში ვიმყოფები და არც ვცდილობ განთავისუფლებას. ახლა მე მას რწმენის მთელი ძალით ვარ ჩაჭიდებული - მე მწამს. მე და ის, რისიც მეშინოდა, ერთნი ვართ: „ მე კი არ ვცხოვრობ, არამედ ჩემს მიერ თაყვანსცემული ცხოვრობს ჩემში! “ ვინაიდან სული, უსასრულო, გამორიცხავს დასასრულის შესახებ

წარმოდგენას, ის მუდმივია. მას (სულს) ეშინია სიკვდილის, უსინათლო თვალებით კი არ შეუძლია სასრულობის სიღიადის შეცნობა. ის, რისიც ეშინოდათ, ამალადა, თაყვანისცემის საგნად იქცა და მას უკვე ვეღარ ვეხებით: მოკრძალება უკვდავეყოფილია, თაყვანისცემული - ღმერთდება. ადამიანი აღარ არის შემოქმედი, ის მოწაფეა, რაც ნიშნავს: ადამიანი რომელიმე საგნით არის დაკავებული და მას საკუთარ თავთან დაბრუნების გარეშე უღრმავდება. ამ საგნისადმი მისი დამოკიდებულება არის ცოდნის, კვლევისა და დასაბუთების, და არა განადგურების დამოკიდებულება. „ადამიანი რელიგიური უნდა იყოს“ - ეს მყარად დადგენილია, ამიტომ მხოლოდ იმ საკითხით არიან დაკავებულნი, როგორ მიაღწიონ აღნიშნულს, რაშია რელიგიურობის ჭეშმარიტი აზრი და ა.შ. სულ სხვაგვარადაა საქმე, თუ ამ აქსიომას საკამათოდ აქცევენ, ეჭვის ქვეშ დააყენებენ, თუნდაც ეს მის ნაგავში მოსროლას ნიშნავდეს. მნებობობაც ასეთი წმინდა კონცეფციაა: მნებობობა სავალდებულოა და მხოლოდ ის არის საძებარი თუ „როგორ“, რა საშუალებით იქცე ასეთად. ვერავინ ბედავს იკითხოს, იქნებ თავად მნებობობა მხოლოდ ილუზიაა. იგი უღაოდ რჩება რაღაცად, რაც ამალდებული, კეთილშობილი და უცვლელია. ასეა საქმე „წმინდასთან“ დაკავშირებით, გზა სულ უფრო მგვით მიემართება, უბრალო „წმინდადან“ „წმიდათაწმიდამდე“.

ადამიანებს მოგჯერ თუ კლასად ყოფენ: განათლებულებად და გაუნათლებლებად. პირველები, იყვნენ რა საკუთარი სახელის ღირსნი, აზრებითა და გონებით იყვნენ დაკავებული და ვინაიდან ისინი ბაგონობდნენ ქრისტიანობის შემდგომ პერიოდში (რომლის პრინციპი სწორედ რომ აზრია), მათ მიერ აღიარებული აზრებისათვის მორჩილებას და თაყვანისცემას მოითხოვდნენ. სახელმწიფო, იმპერატორი, ეკლესია, ღმერთი, მნეობა, წესრიგი - ეს ყველაფერი აზრები ანუ სულებია, რომლებიც მხოლოდ გონებისთვის არსებობენ.

უბრალოდ ცოცხალი არსება, პირუტყვი მის შესახებ ისევე მცირედ ზრუნავს, როგორც ბავშვი. მაგრამ გაუნათლებლები სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ბავშვები, ხოლო ის, ვინც მხოლოდ ცხოვრებისეული მოთხოვნილებების შესახებ ზრუნავს, გულგრილია სულებისადმი, მაგრამ ვინაიდან ის მათთან შედარებით სუსტია, მაინც ემორჩილება მათ და აზრებით იმართება. ამაშია იერარქიის არსი.

იერარქია აზრთა ბაგონობა, გონების ბაგონობაა!

ჩვენ კი ღღევანდელ ღღემდე იერარქიულებად ვრჩებით, რადგან მათ მიერ ვითრგუნებით, ვინც აზრებს ეყრდნობა. აზრები წმინდათაწმიდაა.

მაგრამ ისინი ხშირად ეჯახებიან ერთმანეთს, გაუნათლებელი - განათლებულს და პირიქით, და ეს ხდება არა ორი განსხვავებული ადამიანის სახით, არამედ ერთსა და იმავე ადამიანში. არც ერთი განათლებული ადამიანი არ არის იმდენად განათლებული, რომ სიამოვნება არ მიიღოს იმისგან, რაც არის და, შესაბამისად, არ იყოს გაუნათლებელი, მეორეს მხრივ კი, არც

ერთი გაუნათლებელი არ არის სრულად მოკლებული ამრებს. ჰეგელთან საბოლოოდ აშკარავდება, თუ როგორ სწადია უგანათლებულესს საგნობრივი და რაოდენ სიძულვილს განიცდის იგი „ცარიელი თეორიისადმი“. ამრიგად სრულად და მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს, საგნობრივ სამყაროს და არც ერთი ცნება არ უნდა იყოს მოწყვეტილი რეალობას. ამან მიანიჭა ჰეგელის სისტემას ყველაზე თბიერების სახელწოდება, რადგან ამრები და საგანი მასში შერწყმას ზეიმობენ. მაგრამ ეს იყო უკიდურესი ძალადობა ამრის მხრიდან, მისი უზენაესი დესპოტიზმი და ერთმმართველობა, გრიუმი გონებისა და, მასთან ერთად, გრიუმი ფილოსოფიის. უფრო ამაღლებულს ფილოსოფია ვერ მიაღწევს, რადგან უზენაესი წერტილი გონების ყოველშემძლეობა და ყოველთმფლობელობაა[1].

სულიერმა ადამიანებმა რაღაც ჩაიდეს თავში, რაც უნდა განხორციელდეს. მათ გააჩნიათ სიყვარულისა და სიკეთის ცნებები, რომელთა განხორციელება სურთ ცხოვრებაში და ამიგომ ცდილობენ დედამიწაზე შექმნან სამეფო, რომელშიც არავინ იმოქმედებს ანგარებით, არამედ მხოლოდ „სიყვარულიდან“ გამომდინარე. სიყვარული უნდა ბაგონობდეს. იმას, რაც მათ ჩაიდეს თავში, არ შეიძლება ეწოდოს სხვა რამ, გარდა აკვიატებული ამრისა. „მათ თავებში ხომ აჩრდილები დახეგიალობენ“. ყველაზე საზარელი მოჩვენება ადამიანია. ანდაბა გაიხსენეთ: „დალუპისკენ მიმავალი გზა კეთილი განზრახვებით არის მოკირწყლული“. განზრახვა კაცობრიობის განხორციელებისა საკუთარ თავში, ქცევა სრულად ადამიანად - ერთ-ერთია მათ შორის, რომელსაც დალუპისკენ მივყავართ, ისევე, როგორც განზრახვა იქცე ქველად, კეთილგონიერად და ა.შ.

„მემუარების“ მეშვიდე თავში ბრუნო ბაუერი[2] ამბობს: „იმ ბურჟუაზიულ კლასს, რომელსაც ესოდენ საზარელი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ისტორიისთვის, არ გააჩნია თავგანწირვის, იდეით აღფრთოვანების, ამაღლებულისაკენ სწრაფვის უნარი: მას არაფერი აღარდებს, გარდა საკუთარი მდარე ინტერესებისა ანუ ყოველთვის საკუთარი თავით არის შემოფარგლული და საბოლოოდ მხოლოდ რიცხოვნობის ხარჯზე იმარჯვებს, რომლის წყალობით შეძლო მან ვნებისა და აღგყინების დაძაბულობის შესუსტება, და მისი ბედაპირისა, რომელმაც ახალ იდეათა ნაწილი გადასანსლა“. ოდნავ უფრო ბემოთ: „ეს კლასი იყო, რომელმაც ერთადერთმა გამოიყენა რევოლუციური იდეები, რომელთათვის უანგარო ადამიანები, და არა თვითონ, წირავდნენ სიცოცხლეს, და სული ფულად აქცია. თუმცა ისიც მართალია, რომ აღნიშნული მას შემდეგ მოხდა, რაც ბურჟუაზიამ ამ იდეათა სიმწვავე და თანმიმდევრულობა, მათი დამანგრეველი, ყველა სახის ეგოიზმის წინააღმდეგ მიმართული ფანატიური ძალა გაანადგურა“. ამგვარად, ამ ადამიანებისთვის უცხოა თავგანწირვა, აღფრთოვანება, იდეალები, თანმიმდევრულობა, ენთუზიაზმი, ისინი ეგოისტები არიან ამ სიგყვის ჩვეული ამრით ანუ მხოლოდ საკუთარი სარგებლის შესახებ ფიქრობენ, არიან ანგარებიანნი, ფხიბლები, ანგარიშიანები და ა.შ.

მაშ, ვილა „ სწირავს თავს “ ? სავარაუდოდ, სრულად სწირავს მხოლოდ ის, ვისაც ერთი მიზანი, ერთი ნება, ერთი გაგაცემა გააჩნია და მხოლოდ ამაზნა ფოკუსირებული. ნუთუ მოსიყვარულე, დედ-მამის დამგოვებელი შვილი, რომელსაც ხიფათი და ხელმოკლეობა გადააქვს, რათა ამგვარად მიაღწიოს საკუთარ მიზანს, თავს არ წირავს? ან პატივმოყვარე, რომელიც მთელ თავის ქინსა და სურვილებს ერთადერთი ვნების დაკმაყოფილებიკენ მიმართავს, ან ტუნწი, რომელიც ყველაფერში ზღუდავს საკუთარ თავს, რათა სიმდიდრეს მოუყაროს თავი, ან სიამოვნებათა მაძიებელი და ა.შ.? მას ერთი რომელიმე ვნება იგაცებს, რომლისათვის ყველა დანარჩენს სწირავს.

ნუთუ თავგანწირულები ეგოისტები და ანგარებიანნი არ არიან? გააჩნიათ რა ერთადერთი ვნება, ისინი მხოლოდ მისი დაკმაყოფილებისთვის გრუნავენ, სამაგიეროდ, კიდევ უფრო გულმოდგინედ: ისინი სრულად უძღვნიან მას თავს.

„ ეს ხომ მცირე ვნებუკებია, რომელთა განკარგულებაში ადამიანი არ უნდა გადადიოდეს. ადამიანმა მსხვერპლი მხოლოდ ღიადი იდეის, ღიადი საქმისთვის უნდა გაიღოს “ . „ ღიადი იდეა “ , „ კეთილი საქმე “ - მაგალითად, ღმერთის ღიდება, რომლისათვის უთვალავ ადამიანს აქვს გაწირული საკუთარი სიცოცხლე; ქრისტიანობა, რომელმაც ნებაყოფლობითი განჯულები მოიხვეჭა; ყოველთა მხსნელი ეკლესია, რომელიც ხარბად იხვეჭდა საკუთარი თავისთვის მსხვერპლად ერეგიკოსებს. „ ღიადი იდეა “ ასევე თავისუფლება და თანასწორობაა, რომლის სამსახურში სისხლიანი გილიოგინები იღვა.

მან, ვინც ღიადი იდეის, კეთილი საქმის ან რომელიმე სისგემის ან მოძღვრების, ან ამაღლებული მოწოდებისთვის ცხოვრობს, საკუთარ თავში მიწიერი ვნებები და ანგარებითი ინგერესები არ უნდა დაუშვას. აქ ჩვენ კლერიკალიზმთან ან, თუ მის პედაგოგიურ გემოქმედებას გავითვალისწინებთ, სასკოლო დამოძღვრასთან გვაქვს საქმე, რადგან იდეალები ჩვენ ისევე გემოძღვრავენ, როგორც სკოლის მოწაფეებს. მღვდელი ყველაზე მეტად არის მოწოდებული, იცხოვროს იდეისთვის და იდეის ან ჭეშმარიტად კეთილი საქმის ინგერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს. ამიგომაც გრძნობს ხალხი, რომ მღვდელმა მაღალი წრისთვის ჩვეული ამპარგავნობა არ უნდა გამოავლინოს, არ უნდა უყვარდეს ცხოვრებისეული სიამენი, არ უნდა იღებდეს მონაწილეობას მხიარულებაში, ცეკვასა და თამაშებში, ერთი სიგყვით, „ წმინდა ინგერესის “ გარდა არ უნდა გააჩნდეს კიდევ რაღაც. ამით აიხსნება მასწავლებელთა მწირი ანაზღაურება, რომლებმაც ჯილდოდ მხოლოდ მოწოდების სიწმინდე უნდა მიიღონ, სხვა სიამენი კი „ უარყონ “ .

არსებობს მთელი ცნობარი წმინდა იდეებისა, რომელთაგან ადამიანებს შეუძლიათ ერთი ან რამდენიმე აირჩიონ საკუთარი მოწოდების სახით: ოჯახმა, სამშობლომ, მეცნიერებამ და ა.შ. შესაძლოა ჩემი სახით მათ ვალდებულებათა ერთგული მსახური ჰპოვოს.

აქ ჩვენ ძველ ცლომლებასთან გვაქვს საქმე ადამიანებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ნასწავლი კლერიკალიზმის გარეშე ცხოვრება. იდეისათვის ცხოვრება და შექმნა ადამიანის მოწოდება და მისკენ ლგოლვის სიმკიცის შესაბამისად იზომება მისი ადამიანური ღირებულება.

ეს იდეათა ბაგონობა ანუ კლერიკალიზმია. მაგალითად, რობესპიერი ან სენ-ჟიუსტი სრულად იყვნენ გამსჭვალულები იდეით, ისინი მღვდლები, ენთუზიასტები, ამ იდეათა თანმიმდევრული ინსტრუმენტები, იდეალური ადამიანები იყვნენ. სენ-ჟიუსტი ერთ-ერთ სიგყვაში ამბობს: „სამშობლოს წმინდა სიყვარულში არის რაღაც საზარელი: ის იმდენად ყოვლისმომცველია, რომ უმოწყალოდ და უშიშრად წირავს მსხვერპლად ყველაფერს საზოგადოებრივი ინტერესების სანაცვლოდ, არ ზრუნავს რა ამ დროს ცალკეულ ადამიანებზე. ის უფსკრულში ისვრის მანლიუსს და მსხვერპლად სწირავს საკუთარ კერძო მიდრეკილებებს; იგი მიუძღვება რეგულუსს კართაგენში, უფსკრულში ისვრის რომაელს, ხოლო მარაგს, როგორც მისი ერთგულების მსხვერპლს, პანთეონში ათავსებს.“

ამ იდეალურ ანუ წმინდა ინტერესთა საპირისპიროდ დგას „პირად“, მიწიერ ინტერესთა ურიცხვი რაოდენობა. არც ერთი იდეა თუ სისტემა, არც ერთი წმინდა საქმე არ არის იმდენად ღილი, რომ არასოდეს იქნას დამარცხებული ან სახეცვლილი ამ პირადი ინტერესებით. დუმდებიან რა წამიერად ფანაგიზმის ეპოქაში, ისინი კვლავ ბრუნდებიან „ერის ჯანსაღი განცდის“ წყალობით. ეს იდეები მხოლოდ მაშინ იმარჯვებენ, როდესაც მგრულად აღარ არიან გაწყობილი პირადი ინტერესისადმი ანუ როდესაც ეგოიზმს აკმაყოფილებენ.

ადამიანს, რომელიც ეს-ესაა გაიძახოდა ჩემი ფანჯრების ქვეშ: „აბა, კარგი ქაშაყი“, თევზის გაყიდვის პირადი ინტერესი გააჩნდა და, მიუხედავად იმისა, მეუღლე ან სხვა ვინმეც თუ იგივეს უსურვებს, ეს მაინც პირად ინტერესად დარჩება. მაგრამ თუ ქურდი მოპარავს მას კალათს, მყისიერად წარმოიშობა მრავალის, მთელი ქალაქის, ქვეყნის, ერთი სიტყვით, ყველას ინტერესი, რომლებიც აღშფოთებულნი იქნებიან ქურდობით; ქაშაყის გამყიდველის პიროვნებას მნიშვნელობა აღარ ენიჭება, მის ნაცვლად შემოდის „გაძარცვულის“ კატეგორია. მაგრამ აქაც არის შესაძლებელი ყველაფრის დაყვანა პირად ინტერესამდე, რადგან თითოეულ დაინტერესებულ ადამიანს შეიძლებოდა გადაეწყვიტა, რომ ის უკვე იმიგომ უნდა უწყობდეს ხელს ქურდის დასჯას, რომ დაუსჯელობა ქურდობის გავრცელებას შეუწყობდა ხელს, რაც მის ჯიბეზეც აისახებოდა. თუმცა ასეთი გათვლის ვარაუდი რთულია. პირიქით, უფრო ხშირად ამბობენ: ქურდი „დამნაშავეა“. ეს კი განაჩენია, რომლითაც ქურდის ქმედება განისაზღვრება ცნებით „დამნაშავე“. ახლა საქმის ვითარება ასეთია: თუკი დანაშაულს არც ჩემთვის მოაქვს ზიანი და არც ჩემი ახლობლებისთვის, მე მაინც აღვსდგები მის წინააღმდეგ. რაგომ? იმიგომ, რომ მე აღვცინებული ვარ მნეობით, მნეობის იდეითა და ვლევნი ყველაფერს, რაც მგრულად არის მისადმი განწყობილი. პრულონს, მაგალითად, ქურდობა უღაოდ ამამრმენად მიაჩნია და იმიგომ თვლის, რომ სიტყვებით „საკუთრება-ქურდობა“ მან საკუთრებას სირცხვილი აჭამა. კლერიკალური გაგებით

ქედობა ყოველთვის დანაშაული ან, სულ მცირე, გადაცდომა მაინც არის. აქ წყდება პირადი ინტერესი. განსაზღვრული პიროვნება, რომელმაც კალათი მოიპარა, ჩემს პიროვნებას სრულიად არ აინტერესებს: მე მხოლოდ ქურდი მაინტერესებს - ცნება, რომლის წარმომადგენელი ის პიროვნებაა. ქურდი და ადამიანი ჩემს გონებაში შეურიგებელი წინააღმდეგობებია, რადგან შეუძლებელია იყო ნამდვილი ადამიანი, თუ ქურდი ხარ; ის, ვინც იპარავს, საკუთარ თავში „ადამიანს“ ანუ „კაცობრიობას“ ამცირებს. ვიმორებით რა პირადი მონაწილეობის შესახებ ცნებას, ჩვენ ფილანტროპიზმს ვეზიარებით, კაცთმოყვარეობას, რაც, ჩვეულებრივ, მცდარად არის გაგებული, როგორც სიყვარული ადამიანების, თითოეული ადამიანის მიმართ, როდესაც სინამდვილეში ეს სხვა არაფერია, გარდა სიყვარულისა „ადამიანის“, ამ მოჩვენებითი ცნების, აჩრდილისადმი. არა ხალხი, არამედ ადამიანი უყვარს ფილანტროპს. მართალია, იგი ცალკეული ადამიანის შესახებ ზრუნავს, მაგრამ სურს, რომ მისი საყვარელი იდეალი ყველგან განხორციელებული იხილოს.

შესაბამისად, აქ არ არის საუბარი ჩემს, შენს, ჩვენს შესახებ ზრუნვაზე: ეს პირადი ინტერესი იქნებოდა და იგი „მიწიერი სიყვარულის“ სფეროს ეკუთვნის. ფილანტროპიზმი კი ზეციური, სულიერი, კლერიკალური სიყვარულია. რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენში „ადამიანი“ უნდა აღვადგინოთ, თუნდაც ამის გამო დავიღუპოთ საბრალონი. ეს იგივე კლერიკალური პრინციპია, როგორც ცნობილი *fiat justitia, pereat mundus*[3]. ადამიანი და სამართლიანობა - იდეები, აჩრდილებია, რომელთათვის ყველაფერს სწირავენ მსხვერპლად და ამიგომ მღვდელთა გულები ყველაზე მეტად გვიჩვენებს „თავგანწირვას“.

ვინც ადამიანის შესახებ ოცნებობს, ის - საკუთარ ზმანებათა ფარგლებში - პიროვნებას ყურადღების გარეშე გოვებს და იდეალურ, წმინდა ინტერესში ეფლობა. ადამიანი ხომ არა პიროვნება, არამედ იდეალი, აჩრდილია.

ადამიანის აგრიბუტებს მრავალი რამ შეგვიძლია მივაკუთვნოთ. თუ მათ შორის უმთავრესად დეთისმოსაობა ითვლება, წარმოიქმნება რელიგიური კლერიკალიზმი, ხოლო თუ მნებობა - მაშინ თავს მნებობრივი კლერიკალიზმი წამოწევს. თანამედროვეობის კლერიკალური თავები ცდილობენ ყველაფერი „რელიგიად“ აქციონ: არსებობს „თავისუფლების რელიგია, თანასწორობის რელიგია“ და ა.შ. და ყველა იდეა მათთვის „წმინდა საქმედ“ იქცევა, მათ შორის მოქალაქეობის, პოლიტიკის, საზოგადოების, ბეჭდვის თავისუფლების, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი და სხვა.

რას ნიშნავს ამ აზრით „უანგარობა“? მხოლოდ იდეალური ინტერესის ქონას, რომლის წინაშე პიროვნება გამქრალია.

ამას ეწინააღმდეგება ერისკაცის ჯიუგი გონება, მაგრამ ის იმდენჯერ იქნა დამარცხებული ათასწლეულების განმავლობისას, რომ იბულებული იყო ჭირვეული ზურგი მოეხარა და „უზენაეს ხელისუფლებას დამორჩილებოდა“: კლერიკალიზმმა გასრისა იგი. როგორც კი

მიწიერი ეგოისტი რომელიმე უზენაეს ხელისუფლებას დაამხობდა, მაგალითად ძველი ალექსანდრის კანონს ან რომის პაპს, მყისიერად ჩნდებოდა ახალი ხელისუფლება, შვიდჯერ უფრო მძლავრი, მაგალითად რწმენა კანონის ნაცვლად, ყველა საერთო კაცის ქცევა კლერიკალად ნაცვლად მანამ არსებული შემზღვეული რაოდენობის კლერიკალებისა და ა.შ. მას იგივე ემართებოდა, რაც ეშმაკეულს, რომელსაც შვიდი ეშმაკი იპყრობდა, როდესაც ეგონა, რომ ერთისგან თავისუფლდებოდა.

გემომოყვანილ ციგაგაში ბურჟუაზიულ კლასს ყოველგვარ იდეალურობაზე ეუბნებიან უარს. უდაოა, რომ იგი იმ იდეალურ თანმიმდევრულობას ებრძოდა, რომლითაც რობესპიერს პრინციპის სისრულის გაგარება სურდა. ინგერესის ინსტინქტი კარნახობდა ბურჟუაზიას, რომ ეს თანმიმდევრულობა არ შეესაბამებოდა მის ჭეშმარიტ სურვილს და თუ ის მეგისმეგად აღფრთოვანდებოდა პრინციპებით, ამით საკუთარი თავის წინააღმდეგ იმოქმედებდა! ნუთუ იმდენად უანგარო უნდა იყოს და უარი თქვას ყველა მიზანზე, რათა რომელიღაც უხეში თეორიის ზეიმს შეუწყოს ხელი? რასაკვირველია, მღვდლების საქმე გაკეთდებოდა თუ ადამიანები მათ შემდეგ მოწოდებას გაყვებოდნენ: „ განიშორე ყველაფერი და გამომყევი “ ან „ გაყიდე ყველაფერი, რაც გაგაჩნია და ღაგაკებს დაურიგე, ამით შენ ბეციურ განძს მოიპოვებ, მოდი და გამომყევი “. ზოგი ურყევი იდეალისტი მიყვება ამ მოწოდებას, თუმცა უმრავლესობა სანახევროდ მღვდლების მითითებებს იცავს, სანახევროდ კი საეროს, ღმერთსაც ემსახურება და მამონასაც.

მე არ ვსაყვედურობ ბურჟუაზიას იმას, რომ მან ნება არ ღართო რობესპიერს საკუთარ მიზნებს დაშორებოდა, რომ ის საკუთარ ეგოიზმს დაეკითხა, თუ რა ზომის ადგილი დაეთმო რევოლუციური იდეისთვის, მაგრამ შესაძლებელია საყვედური (თუკი საყვედურის შესახებ საუბარი შესაძლებელია) მათი მისამართით, რომლებმაც დაუშვეს, რომ ბურჟუაზიის ინგერესებს მათი ინგერესები გაენადგურებინათ. მაგრამ ისინიც მალე ისწავლიან ამ ინგერესების გაგებას. ავგუსტ ბეკერი[4] ამბობს: „ იმისათვის, რომ საკუთარ მხარეს გადმოვიბიროთ მწარმოებლები (პროლეტარები), რასაკვირველია, საკმარისი არ იქნება სამართლის ჩვეულებად ქცეული ნორმების უარყოფა. სამწუხაროდ, ადამიანები ნაკლებად ბრუნავენ იდეის თეორიული გამარჯვების შესახებ. მათ ad oculos[5] უნდა უჩვენო, როგორ არის შესაძლებელი ამ გამარჯვების გამოყენება პრაქტიკულად “. და შემდეგ: „ ადამიანთა ნამდვილ ინგერესს უნდა შეეხო, თუ მათზე გავლენა გსურს “. ამის შემდეგ იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ვრცელდება ჩვენს გლეხობაში საკმაოდ წონადი უზნეობა, იმდენად, რამდენადაც ისინი მეტი ხალისით საკუთარ ინგერესს მისდევენ და ნაკლებად ემორჩილებიან მზნეობრივ ბრძანებებს.

სახელდობრ იმ მიზეზით, რომ რევოლუციონერი მღვდლები და მოძღვრები „ ადამიანს “ ემსახურებოდნენ, ისინი თავებს კვეთდნენ ჩვეულებრივ ადამიანებს. მართალია, არც პროფანი რევოლუციონერები და საერო წრის წარმომადგენლები თაკილობდნენ თავების კვეთას, მაგრამ ისინი ნაკლებად ბრუნავდნენ ადამიანთა, „ ადამიანის “ უფლებებზე, ვიდრე

საკუთარზე. მაშ რაგომ ხდება, რომ მათი ეგოიზმი, ვინც პირად ინტერესს ამკვიდრებს და მუდამ ყურს უგდებს მას, ყოველთვის მღვდლის ან სკოლის, ანუ იდეალური ინტერესის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდება? მათი პიროვნება მათ უკიდურესად მცირედ და უმნიშვნელოდ ეჩვენებათ (ის სინამდვილეშიც ასეთია) იმისათვის, რომ ყველაფერი დაიმორჩილონ და სრულად დაიცვან საკუთარი თავი. აღნიშნულის სანდო ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თავად ყოფენ საკუთარ თავს ორ პიროვნებად - დროებითად და მარადიულად - რომელთაგან თითოეული მხოლოდ ერთის შესახებ ზრუნავს: კვირადღეს - მარადიულის, სადაგ ღღეს - დროებითის; ლოცვაში - პირველის, მუშაობისას - მეორეს შესახებ. ისინი მღვდელს საკუთარ თავში აგარებენ და სწორედ ამიტომ ვერ ახერხებენ მის მოშორებას.

რამდენი განსჯა და ბრძოლა დასჭირდა ადამიანს ამ ღუალისგური არსის მოსაფიქრებლად! იდეა მიყვებოდა იდეას, პრინციპი - პრინციპს, სისტემა - სისტემას, მაგრამ ვერაფერმა შეძლო წინააღმდეგობის ჩამოშორება დიდი ხნით „ მიწიერი ადამიანის “ ანუ ე.წ. ეგოისტის წარმოდგენაში. ნუთუ არ ამგვიცებს ეს იმას, რომ ყველა ეს იდეა უძლური იყო, რათა საკუთარ თავში ჩაეგია და სრულად დაეკმაყოფილებინა ადამიანური „ მეს “ ნება? ისინი იყვნენ და რჩებოდნენ მტრულად განწყობილნი „ მეს “ მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მტრობა დიდი ხნის განმავლობისას ფარული იყო. მოხდება თუ არა იგივე თავისებურებასთან მიმართებით?

ნუთუ ისიც მხოლოდ მორიგების მცდელობაა? რომელი პრინციპისთვისაც არ უნდა მიმემართა, მაგალითად, გონებისათვის, მუღმივად მიწევდა მისგან განდგომა. ნუთუ არ შემძლია ყოველთვის გონების შესაბამისად ვიმოქმედო და ცხოვრება მის მიხედვით მოვიწყო? გონიერებისაკენ ლგოლვა, რასაკვირველია, შესაძლებელია, შესაძლებელია მისი სიყვარული, როგორც ღმერთისა და ყველა სხვა იდეის, შემძლია ვიყო ფილოსოფოსი, სიბრძნის მოყვარული, ისევე, როგორც ღმერთი მიყვარს. მაგრამ ის, რაც მიყვარს, რისკენაც ვილგვი, მხოლოდ ჩემს იდეაში, ჩემს წარმოდგენაშია: ის ჩემს გულშია, ჩემს თავში, ჩემშია, მაგრამ ის მე არ ვარ. მე არ ვარ ის.

კლერიკალურ გვინთა მოქმედების სფეროს განეკუთვნება ის, რასაც ხშირად „ მორალურ ზემოქმედებას “ უწოდებენ.

მორალური ზემოქმედება დამცირებით იწყება და ის სხვა არაფერია, თუ არა თავად დამცირება, სიმაჰაცის დასახიჩრება და იტულება თვინიერებისკენ. თუკი ქანის აფეთქებისას მე ვუყვირი ვინმეს, რომ გაიწიოს, ამ რჩევით მორალურ ზემოქმედებას არ ვახდენ. თუ მე ბავშვს ვეცყვი, რომ ის მშიერი დარჩება, თუ იმას არ შეჭამს, რაც სუფრაზეა გამოგანილი, ეს მორალური ზემოქმედება არ იქნება. მაგრამ თუ მე ვეცყვი მას: შენ უნდა ილოცო, პატივი სცე მშობლებს, მოკრძალება გამოიჩინო ჯვარცმის გამოსახულების წინაშე, ილაპარაკო სიმართლე და ა.შ., რადგან ეს ყველაფერი ადამიანის შესახებ წარმოდგენის არსს შეადგენს

და ასეთია მისი მოწოდება ან, რაც უარესია, ასეთია ღმერთის ნება, ეს მორალური ბემოქმედება იქნება: ადამიანმა აქ თაყვანი უნდა სცეს ადამიანის მოწოდებას, უნდა დაემორჩილოს, იქცეს თვინიერად, დათრგუნოს საკუთარი ნება სხვა ნების სანაცვლოდ, რომელიც წარმოდგენილია, როგორც წესი და კანონი; მან თავი უნდა დაიმციროს რაღაც უფრო მაღალის წინაშე, ეს დამცირების თეორიაა. „ ვინც თავს დაიმცირებს, ამაღლდება “. რა თქმა უნდა... ბავშვებს დროულად უნდა ვასწავლოთ ღვთისმოსაობა და პატიოსნება. სათანადოდ აღზრდილი ადამიანი ის არის, ვისაც ჩაუნერგეს, შეასმინეს, გაუმზადეს, განუმარტეს, დაამბეპირებინეს „ სათანადო საფუძვლები “. თუ ამაზე გავიცინებთ, კეთილად ამიანებს იმავე წამს სასო წარეკვეთებათ და წამოიძახებენ: „ ღმერთო ჩემო! რა ხდება? თუკი ბავშვებს სათანადო წესებს არ ჩაუნერგავთ, ისინი პირდაპირ ცოდვაში აღმოჩნდებიან და უსარგებლო გარყვნილებად იქცევიან “. დამშვიდდით, უბედურების წინასწარმეტყველნო! უსარგებლოებად ისინი თქვენეული გაგებით ნებისმიერ შემთხვევაში იქცევიან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თქვენეული გაგებაა უვარგისი. თავხელი ბიჭუნები აღარ მოგცემენ იმის უფლებას, რომ თავი ყოველგვარი სისულელით გამოუტყნოთ, აღარ თანაუგრძობენ იმ უგუნურებას, რომელსაც თქვენ ოდითგან ამკვიდრებთ და რომლითაც თავს იქცევთ. ისინი გაანადგურებენ მემკვიდრეობის უფლებას ანუ ისინი არ ისურვებენ თქვენი უგუნურების მემკვიდრეობით მიღებას, როგორც თქვენ მიიღეთ იგი თქვენი მამებისგან, ისინი აღმოფხვრიან მემკვიდრეობით ცოდვას. თუ თქვენ ეტყვიან მათ: ქელი მოიხარეთ უფლის წინაშე, ისინი გიპასუხებენ: თუ ჩვენი დამორჩილება სურს, მოვიდეს და თავად გააკეთოს ეს, ჩვენ კი ნებაყოფლობით ქელის მოხრას არ ვაპირებთ. თუკი თქვენ მათ რისხვითა და სასჯელით დაემუქრებით, მათთვის ეს იგივე იქნება, თითქოს ბუათი ემუქრებოდეთ. თუკი თქვენ ვეღარ შეძლებთ მოჩვენებათა წინაშე შიში ჩაუნერგოთ მათ, მოჩვენებათა სამეფო დასრულდება, ზღაპრები კი ნღობას დაკარგავენ.

ხომ ლიბერალები მოითხოვენ დაქინებით სათანადო აღზრდასა და პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესებას?! სხვაგვარად, დისციპლინის გარეშე, მათი ლიბერალიზმი, მათი „ თავისუფლება კანონის ფარგლებში “ ხომ ვერ შედგებოდა?! თუკი მათ არ სურთ სახელდობრ ღვთისმოშიშობის ჩანერგვა, კაცთმოშიშობას მაინც მოითხოვენ მკაცრად, წვრთნის გზით კი „ წმინდად ადამიანური მოწოდებით აღგაცებას “ ქმნიან.

დიდი ხნის განმავლობისას კმაყოფილებოდნენ ჭეშმარიტების ფლობის ილუზიით და სერიოზულად არც კი დაფიქრებულან იმის შესახებ, უნდა იყო თუ არა ჭეშმარიტი თავად, რათა ჭეშმარიტებას ფლობდე. ეს შუა საუკუნეებში ხდებოდა. ითვლებოდა, რომ მარტივი, საგნობრივი ცნობიერებით, იმ ცნობიერებით, რომელიც მხოლოდ საგნობრივსა და გრძნობადზე რეაგირებს, არის შესაძლებელი არასაგნობრივისა და არაგრძნობადის შეცნობა. ისევე, როგორც თვალებს დაბავენ, რათა დამორებული იხილონ, როგორც ავარჯიშებენ ხელს, რათა უფრო გაწაფულად ითამაშონ, ასევე განჯავდნენ საკუთარ თავს სხვადასხვა ხერხებით, რათა საკუთარ თავში მთელი არაგრძნობიერის ჩატყვის უნარი განევითარებინათ. მაგრამ ის, რასაც განჯავდნენ, იყო მხოლოდ და მხოლოდ გრძნობიერი

ადამიანი, ჩვეულებრივი ცნობიერება, ე.წ. სასრული და საგნობრივი ამროვნება. ვინაიდან ამ ამროვნებას, ამ გონს, რომელსაც ლუთერი გონების სახელით კიცხავს, არ შესწევს ღვთიური აღქმის უნარი, მისმა გამოვლევამ ისევე შეუწყო ხელი ჭეშმარიტების ჩაწვდომას, როგორც იმან, რომ ადამიანს წლიდან წლამდე ევარჯიშებინა ფეხები ცეკვაში იმ იმედით, რომ ისინი ფლეიგაზე დაკვრას ისწავლიდნენ. მხოლოდ ლუთერი, რომლითაც სრულდება შუა საუკუნეები, მიხვდა, რომ ადამიანი, რომელსაც ჭეშმარიტების ჩაწვდომა სურს, თავად უნდა შეიცვალოს, ანუ გახდეს ისეთივე ჭეშმარიტი, როგორც თავად ჭეშმარიტება. მხოლოდ მას, ვინც უკვე ფლობს ჭეშმარიტებას რწმენაში, ვისაც სწამს მისი, შეუძლია მისი გამიარება ანუ მხოლოდ მორწმუნესთვის არის იგი მისაწვდომი და შეიცნობს მის სიღრმეებს. ადამიანის მხოლოდ ის ორგანო უწყობს ხელს ფლეიგაზე დაკვრას, რომლითაც სუნთქავს და მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია ჭეშმარიტების თანამიარობა, რომელსაც ამისათვის შესაბამისი ორგანო გააჩნია. ის, ვინც გრძნობადით, საგნობრივით ამროვნებს, ჭეშმარიტებაშიც მხოლოდ საგნობრივს ჭვრევს. მაგრამ ჭეშმარიტება სულისაა, რაღაც უპირობოდ არაგრძნობიერი და ამიგომ განკუთვნილი „ უმაღლესი ცნობიერების “ და არა „ მიწიერისთვის “ .

ამიგომაც, მხოლოდ ლუთერით დაწყებული იქმნება ცნობიერება, რომ ჭეშმარიტება, სახელდობრ იმ მიზეზით, რომ იგი ამროს წარმოადგენს, მხოლოდ მოამროვნე ადამიანისთვის არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა ამიერიდან ახალი თვალსაზრისი უნდა გამოიმუშაოს - მეციური, რწმენის, მეცნიერების, სულთან მიმართებით ამროვნების თვალსაზრისი. შესაბამისად, მხოლოდ გოლი შეიცნობს გოლს! „ შენ ჰგავხარ სულს, რომელსაც შეიცნობ “ .

იმის გამოისობით, რომ პროტესტანტიზმმა შუასაუკუნეობრივი იერარქია მოღრიკა, შესაძლებელი იყო დამკვიდრებულიყო ამრი, რომ მან დაამხო იერარქია ზოგადად, თუმცა ამ დროს ივიწყებდნენ, რომ ის „ რეფორმაციას “ და, შესაბამისად, მოძველებული იერარქიის განახლებას წარმოადგენდა. შუასაუკუნეობრივი იერარქია სუსტი იყო: იგი თავის გვერდით ყველა სახის მიწიერ ბარბაროსობას უშვებდა. მხოლოდ რეფორმაციამ გამოაწრთო იერარქიის ძალა. ბრუნო ბაუერი ამბობს: „ როგორც რეფორმაციამ იყო ძირითადად რელიგიური პრინციპის განყენებული განთავისუფლება სახელმწიფოს ხელოვნებისა და მეცნიერებისა და, შესაბამისად, ძალებისგან, რომლებთანაც იყო იგი დაკავშირებული ძველ ეკლესიასა და შუასაუკუნეობრივ იერარქიაში, ზუსტად ასევე რეფორმაციიდან გამოსული საღვთისმეტყველო და საეკლესიო მიმდინარეობები რელიგიური პრინციპის კაცობრიობის სხვა ძალებისგან თანმიმდევრულ განყენებას ახორციელებენ. “ მე კი, პირიქით, ჭეშმარიტებას საპირისპიროში ვჭვრევ და ვთვლი, რომ სულების მბრძანებლობა ანუ სულიერი თავისუფლება (რაც ერთი და იგივეა) არასოდეს ყოფილა იმდენად ყოვლისმომცველი და ყოვლისშემძლე, როგორც ახლანა: ნაცვლად იმისა, რომ რელიგიური პრინციპი ხელოვნებას, სახელმწიფოსა და მეცნიერებას ჩამოაშოროს, მან ისინი მიწიერიდან „ სულის სამეფოში “ აღაზვეა და რელიგიურად აქცია.

ლუთერსა და დეკარტეს სრულიად სამართლიანად აღარებდნენ ერთმანეთს მათი დებულებების მიხედვით: „ვისაც სწამს, ღმერთია“ და „ვაზროვნებ, შესაბამისად, ვარსებობ“. ალამიანის ბეცა აზროვნება, სულია. მას ყველაფერი შეიძლება ჩამოართვა, მაგრამ არა აზროვნება და რწმენა. კონკრეტული რწმენა, მაგალითად ბევსის, ასტარტას, იელოვას, ალაჰის და ა.შ. რწმენა შესაძლოა განადგურებულ იქნას, მაგრამ თავად რწმენა - უკვდავია. აზროვნებაშია თავისუფლება. ის, რაც მე მჭირდება და მწადია, აღარ მეძლევა არანაირი წყალობით (მაგალითად, ქალწულ მარიამის, წმინდანთა ქომაგობის, ან დამაკავშირებელი და განმათავისუფლებელი ეკლესიის მეშვეობით), მას მე თავად მოვიპოვებ. მოკლედ, ჩემი არსებობა (Sum) - ცხოვრებაა აზროვნებისა და სულის ბეცაზე, cogitare. თავად მე კი სხვა არაფერი ვარ, გარდა სულისა, რომელიც აზროვნებს (დეკარტეს მიხედვით) და სწამს (ლუთერის შესაბამისად). ჩემი სხეული არ ვარ მე. ჩემი სხეული შესაძლოა ვნების ან განჯვისგან წვალობდეს, მაგრამ მე არ ვარ ჩემი სხეული, მე - სული, მხოლოდ სული ვარ.

ეს აზრი გასდევს რეფორმაციის მთელ ისტორიას დღევანდელ დღემდე.

მხოლოდ დეკარტით დაწყებულმა ახალმა ფილოსოფიამ აჩვენა ქრისტიანობის ჭეშმარიტი ქმედუნარიანობა, აღიარა რა „მეცნიერული ცნობიერება ერთადერთ ძალმოსილ პრინციპად“ . ამიგომაც იწყებს იგი აბსოლუტური ეჭვით, dubitare-თი - „განადგურებით“ მარტივი ცნობიერებისა და უარყოფით ყველაფრისა, რაც „სულის“, „აზროვნების“ მიერ არ არის დაკანონებული. მას არაფრად მიაჩნია ბუნება, ალამიანის აზრი, „ალამიანის დადგენილება“ და მხოლოდ მაშინ მშვიდდება, როდესაც ყველაფერში გონების შეყვანასა და თქმას ახერხებს: „ყველაფერი ნამდვილი - გონიერია, ყველაფერი გონიერი - ნამდვილია“ . ამით მიიღწევა საბოლოოდ სულისა და გონების გამარჯვება: ყველაფერი სულია, რადგან ყველაფერი გონიერია. მთელი ბუნება, როგორც ალამიანთა ყველაზე გახრწნილი შეხედულებები, გულისხმობენ საკუთარ თავში გონებას, რადგან „ყველაფერი ხომ უკეთესობისკენ უნდა მიდიოდეს“, გონების გამარჯვებისკენ.

დეკარტეს dubitare გულისხმობს გადამწყვეტ განცხადებას, რომ მხოლოდ cogitare, აზროვნება, სული არსებობს. სრული განხეთქილება „ჩვეულებრივ“ აზროვნებასთან, რაც ნამდვილ არსებობას აკუთვნებს არაგონიერ საგნებს, არის მხოლოდ გონიერი, მხოლოდ სული! აი, რაში მდგომარეობს ახალი ფილოსოფიის, ჭეშმარიტად ქრისტიანულის ძირითადი პრინციპი. უკვე დეკარტე მკვეთრად მიჯნავდა სულს სხეულისგან, გოეთე კი ამბობს: „სული ის არის, რაც საკუთარი თავისთვის სხეულს ქმნის“ .

მაგრამ ამ ქრისტიანულ ფილოსოფიასაც არ შეუძლია დამოუკიდებლად გონიერისგან თავის დაღწევა და ამიგომ „მხოლოდ სუბიექტურის“ , „კაპრიზების, შემთხვევითობების, ნებაყოფლობითის“ და ა.შ. წინააღმდეგ იმალეებს ხმას. მას სურს, რომ ყველაფერში ღვთიურის გამოვლინება ხდებოდეს, რომ ყოველი ცნობიერება ღვთიურის ცოდნად იქცეს და

რომ ადამიანი ყველაფერში ღმერთს ჭვრეტდეს, მაგრამ ღმერთს ყოველთვის ეშინება ახლავს თან.

აი, რატომ არ შეიძლება ფილოსოფოსი ვუწოდოთ მას, ვინც თუმცა ხელავს საგნობრივსა და მახვილი მზერა გააჩნია, ვინც მართებულად მსჯელობს სამყაროს შესახებ, მაგრამ სამყაროში მხოლოდ სამყაროს ჭვრეტს, საგნებში - მხოლოდ საგნებს, მოკლედ ის, ვინც ყველაფერს ისე პრობაულად აღიქვამს, როგორც ეს სინამდვილეშია. ფილოსოფოსი მხოლოდ ის არის, ვინც მიწაში ცას ხელავს, მიწიერში - ბეციურსა და ღვთიურს და არა მარტო ჭვრეტს, არამედ განმარტავს ან ამტკიცებს კიდევ.

ვერ განჭვრიტა ბრძენმა რაცო

ბავშვის წრფელმა გულმა გვამცნო[6].

სწორედ ეს ბავშვიური გულბრყვილობა აქცევს ადამიანს ფილოსოფოსად: ფილოსოფოსს უნდა გააჩნდეს „თვალი“, რომელიც ღვთიურს ჭვრეტს. საწინააღმდეგო შემთხვევისას არსებობს მხოლოდ „ჩვეულებრივი ცნობიერება“, ხოლო ის, ვინც იცის ღვთიური და მისი გამოხატვა შეუძლია, „მეცნიერულ“ ცნობიერებას ფლობს. ამ საფუძვლით გააძევეს ბეკონი ფილოსოფოსთა სამეფოდან. იმავდროულად, ის, რასაც ინგლისურ ფილოსოფიას უწოდებენ, ვერ გაცდა ე.წ. „ნათელი თავების“, როგორებიც ბეკონი და იუმი არიან, აღმოჩენებს. ინგლისელებმა ვერ მოახერხეს გულბრყვილობის ამალგება ფილოსოფიურ მნიშვნელობამდე, ვერ შეძლეს ბავშვთა სულებიდან ფილოსოფოსების შექმნა. სხვა სიტყვებით, მათი ფილოსოფია არ იქცა თეოლოგიურად ან თეოლოგიად, როდესაც მხოლოდ თეოლოგიის სახით შეუძლია მას ჭეშმარიტად განვითარება და საკუთარი თავის დასრულება. თეოლოგიაშია მისი სიკვდილისწინა ბრძოლის ველი. ბეკონი თეოლოგიურ საკითხებსა და კარდინალურ პუნქტებზე არ ზრუნავდა.

შემეცნების საგანი ცხოვრებაა. გერმანული ამროვნება სხვებზე მეტად ისწრაფვის ცხოვრების საწყისამდე ჩაღრმავებისკენ და ცხოვრებას თავად შემეცნებაში ხელავს. მოამროვნე ცხოვრება „სულიერ ცხოვრებას“ ნიშნავს! ცხოვრობს მხოლოდ სული და მხოლოდ მისი ცხოვრებაა ჭეშმარიტი. მუსტად ასევე, ბუნების ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ „მარადი კანონები“, მისი სული ან გონებაა. როგორც ბუნებაში, ასევე ადამიანში, მხოლოდ ამრიცხვობა, სხვა ყველაფერი კი მკვდარია! სულის ისტორია უნდა მივიდეს ამ აბსტრაქციამდე, ცხოვრებაში აბსოლუტი ანუ უსიცოცხლო უნდა გააგაროს. მხოლოდ ღმერთია ცოცხალი, ის კი სულია: არაფერია ცოცხალი, გარდა აჩრდილისა.

როგორ შეიძლება ახალი ფილოსოფიის შესახებ ვამტკიცოთ, რომ მან თავისუფლებასთან მიგვიყვანა, როდესაც საგნობრივის ძალაუფლებისგანაც ვერ გაგვანთავისუფლა? ნუთუ თავისუფალი ვარ ღვთისგან, თუ თვითმპყრობელის პიროვნებას აღარ ვუფრთხი, მაგრამ

მეშინია ღვთისმოსაობის ყოველი დარღვევისა, რასაც მასთან მიმართებით ვაღიარებდეთ ვალდებულებად ვთვლი? არც უახლეს დროს შეუცვლია რაიმე. ის მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ნამდვილი მბრძანებლის ობიექტებს წარმოსახვითად აქცევს - ცნებებად, რომელთა წინაშე ძველი პატივისცემა არა თუ გაქრა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. ღმერთი და ეშმაკი მათი არსებული უხეში ფორმით, მართალია, დამხობილ იქნენ, მაგრამ მით მეტი ყურადღება დაეთმო მათ ცნებებს. „ეშმაკისგან განთავისუფლდნენ, მაგრამ ბოროტება არსად გამქრალა[7]“. არსებული სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყება, არსებული კანონების დამხობა - ამის წინაშე არასოდეს ჩერდებოდნენ, რადგან ერთხელ და სამუდამოდ იყო გადაწყვეტილი, ქელი არ მოეხარათ არსებულისა და ხელშესახებისათვის. მაგრამ ვინ გაბედავდა სახელმწიფოს ცნების წინააღმდეგ ცოდვის ჩადენას ან კანონის ცნებისადმი დაუმორჩილებლობას? ასე რჩებოდა ყოველი „მოქალაქედ“ და „კანონიერ“, ლოიალურ ადამიანად. მეტიც: რაც უფრო რაციონალურად ცვლიდნენ წინამორბედ არასრულყოფილ კანონს, რათა ჯეროვნად დაეფასებინათ „კანონის სული“, მით მეტად თვლიდნენ საკუთარ თავს კანონიერების წარმომადგენლებად. ამ ყველაფერში ობიექტები მხოლოდ ფერიცვალებას განიცდიდნენ, მაგრამ ყოველისშემძლედ და მბრძანებლებად რჩებოდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანები, თავით ფეხამდე მორჩილებასა და ობსესიაში ჩაფლულები, ცხოვრობდნენ რეფლექსიით და განაგრძობდნენ რეფლექსიის ობიექტის ფლობას, რომელსაც პატივს სცემდნენ, და რომლის წინაშე მოკრძალება და შიში თან სდევდათ. საგნები აქციეს საგნების შესახებ წარმოდგენად, ამრებად და ცნებებად, რითიც მათზე დამოკიდებულება კიდევ უფრო ღრმა და ურღვევი გახდა. მაგალითად, იოლად აღწევენ თავს მშობელთა მორჩილებას და აღარ უსმენენ ბიძა-დეიდების ჩაგონებებს ან დედამამიშვილთა თხოვნას, მაგრამ პრინციპულად უარყოფილი მორჩილება სინდისს იპყრობს, ხოლო რაც უფრო ნაკლებად დაყვებიან სხვა ადამიანთა ჩაგონებებს, თვლიან რა მათ უგუნურებად, მით მეტად არიან ჩაფრენილნი თავად ვალდებულების და ახლობლებისადმი პატივისცემის პრინციპს და მით უფრო რთულად პატიობენ საკუთარ თავს ცოდვას ნათესაური სიყვარულისა და პატივისცემის მათეული წარმოდგენის წინაშე. თავისუფლებიან რა კონკრეტულ ოჯახზე დამოკიდებულებისგან, კიდევ უფრო მბოჭავ დამოკიდებულებაში ცვივიან - დამოკიდებულებაში ოჯახის ცნებისგან, - ოჯახის სულის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდებიან. მოცემული ოჯახი, რომელიც ჰანსის, გრეგჰენისა და ა.შ. შემდგება, რომლის ძალაუფლება შერყეულია, მკვიდრდება, როგორც „ოჯახი“ ზოგადად. მის მიმართ ძველი გამოთქმა გამოიყენება: ღმერთს მეტად უნდა დაემორჩილო, ვიდრე ადამიანს, ანუ, თუმცა მე არ შემიძლია თქვენს უამრო მოთხოვნებს დავემორჩილო, მაგრამ, როგორც ჩემი „ოჯახი“, თქვენ კვლავაც რჩებით ჩემი სიყვარულისა და ზრუნვის ობიექტად, რადგან „ოჯახი“ - წმინდა ცნებაა, რომელიც ცალკეულმა ადამიანმა არასოდეს არ უნდა ხელყოს. და ეს ოჯახი, გაცილებით უფრო ღრმად დასაბუთებული და ამრად, წარმოდგენად ქცეული, გარდაისახება რაღაც „წმინდად“, მისი დესპოტიზმი კი ათკეცდება, რადგან იგი უკვე სინდისს ამოთებს. ეს დესპოტიზმი მხოლოდ მაშინ განადგურდება, როდესაც ოჯახის ცნებას არაფრად იქცევა ჩემთვის. „რა გინდა ჩემგან, დედაკაცო?[8]“, „მოვედი, რათა გავყო კაცი თავის მამისაგან, ასული - თავის დედისაგან[9]“ და სხვა მსგავს გამონათქვამებს თან ახლავთ მინიშნება

ბეციურ ანუ ნამდვილ ოჯახზე და გულისხმობენ სახელმწიფოს მოთხოვნას, რომ მას და ოჯახს შორის კოლიზიის შემთხვევაში, სახელმწიფოს დაემორჩილონ.

ზუსტად ასე დგას საკითხი მწიგნობართან მიმართებითაც. ადათის ძალაუფლებას მრავალი საკმაოდ იოლად აღწევს თავს, მაგრამ უაღრესად რთულია წარმოდგენისგან განთავისუფლება. მწიგნობა - ადათის იდეა, მისი სულიერი ძალმოსილება, სინდისზე მისი ძალაუფლება, ადათი კი ბედმეგად მაგერიალურია იმისათვის, რომ სულზე მბრძანებლობდეს და ბოჭავდეს „სულიერ“ , ე.წ. დამოუკიდებელ, „თავისუფლად მოაზროვნე“ ადამიანს.

რაც არ უნდა თქვას პროტესტანტმა, მისთვის „წმინდა წერილი“ და „უფლის სიტყვა“ წმინდად რჩება. ვისთვისაც იგი წმინდა აღარ არის, ის აღარც პროტესტანტს წარმოადგენს. ამასთან, ასევე წმინდად რჩება ის, რაც წერილშია ნაბრძანები, ღმერთის მიერ დამკვიდრებული ხელისუფლება და ა.შ. ეს ყველაფერი მისთვის ურღვევი, ხელუხლებელი, „ყველა ეჭვზე მაღლაა“. ხოლო რადგან ეჭვი, რომელიც პრაქტიკულად მერყეობაში გადადის, ადამიანის განმასხვავებელი თვისებაა, ეს საგნები მის თავს „ზემოთ“ აღმოჩნდებიან. ვინც თავს ვერ დააღწევს ამას, ის რწმენით იქნება, რადგან ამის რწმენა მასთან მიბმულობას ნიშნავს. იმის შედეგად, რომ პროტესტანტიზმში რწმენაცა და მონობაც უფრო შინაგანად იქცა, ყველაფერი, რაც წმინდად იყო აღიარებული, ასევე შეიწოვეს, საკუთარ მრახვებს გადააწნეს და „სინდისის საქმედ“ , „წმინდა ვალდებულებად“ აქციეს. ამიგომაცაა, რომ პროტესტანტისთვის წმინდაა ყველაფერი, რისგანაც მისი სინდისი ვერ თავისუფლდება, მისი ყველაზე დამახასიათებელი თვისება კი სინდისიერებაა.

შეიძლება ითქვას, რომ პროტესტანტიზმმა ადამიანი „იღუმალ პოლიციურ სახელმწიფოდ“ აქცია. ჯამში და მოყურადე - „სინდისი“ ადევნებს თვალყურს სულის ყოველ მოძრაობას, ხოლო მისი ყველა ქმედება და ფიქრი „სინდისის საქმე“ ანუ პოლიციური საქმეა. ადამიანის ამ ხლენაში, „ბუნებრივ ლტოლვადა“ და „სინდისად“ (შინაგანი ბრბო და შინაგანი პოლიცია) გაორებაშია პროტესტანტის არსი. ბიბლიის გონი (ნაცვლად კათოლიკური „ეკლესიის გონისა“) წმინდად ითვლება, ხოლო ბიბლიის სიწმინდის შეგნებას სინდისი ეწოდება. სიწმინდე „სინდისშია ჩაჭვდილი“. სინდისისგან განთავისუფლების, სიწმინდის შეგნების გარეშე საქციელი შესაძლოა იყოს არასინდისიერი, მაგრამ არასოდეს იქნება უსინდისო.

კათოლიკე, ასრულებს რა ბრძანებას, კმაყოფილებას განიცდის, როდესაც პროტესტანტი „შეგნებისა და სინდისის“ მიხედვით მოქმედებს. კათოლიკე ხომ საერო პირია, პროტესტანტი კი სასულიერო. სწორედ აღნიშნულში მდგომარეობს პროტესტი შუა საუკუნეებთან შედარებით და, იმავედროულად, რეფორმაციის პერიოდის წყევლა.

იეზუიტური მორალი მხოლოდ ინდულგენციებით ვაჭრობის გაგრძელება იყო, იმ განსხვავებით, რომ ცოდვებისგან განთავისუფლებულს საშუალება ჰქონდა მიგვევას

ჩაწვდომოდა და დარწმუნებულიყო, რომ ცოდვა მას მართლაც მოეხსნა და რომ ამა თუ იმ განსაზღვრული შემთხვევისას ის, რაც მან მოიმოქმედა, სულაც არ წარმოადგენს ცოდვას. ინდულგენციებით ვაჭრობამ ყველა ცოდვა და გადაცდომა დასაშვებად აქცია და სინდისის ყოველგვარი მოძრაობა ჩაახშო. გრძნობიერება უმაღლეს ველად იჭრებოდა, როგორც კი მას ეკლესიისგან გამოისყიდინდნენ. ამ მფარველობით უმეტესწილად იეზუიტები იყვნენ დაკავებული, როდესაც მკაცრი მნებობის მქონე, პირქუში, ფანატიური, მომნანიებელი და მლოცველი პროტესტანტები, როგორც ჭეშმარიტი დამსრულებლები ქრისტიანობისა, არსებობის უფლებას მხოლოდ სულიერ და ეკლესიურ ადამიანს აკუთვნებდნენ. ამ გზით კათოლიციზმმა, განსაკუთრებით კი იეზუიტებმა, ხელი შეუწყო ეგოიზმის განვითარებას, ეს კი არა და თავად პროტესტანტიზმში აღმოაჩინეს უნებური და გაუცნობიერებელი მხარდაჭერა, რითიც გადაშენებასა და გრძნობიერების გაქრობას გადაგვარჩინეს. და მაინც, პროტესტანტული სული სულ უფრო მეტად ავრცელებს საკუთარ მბრძანებლობას, ხოლო ვინაიდან მისი თანმხლები იეზუიტური, „ღვთიური“ საწყისი, ღვთიურისგან განუმორებელ „ემაკეულსაც“ წარმოადგენს, მას არსად არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა. შედეგად, გვიწევს იმის ხილვა თუ როგორ იმარჯვებს, მაგალითისთვის, საფრანგეთში პროტესტანტიზმის ფილისტერობა და ყველაფერს სული იმორჩილებს.

ჩვეულებრივ, პროტესტანტიზმის დამსახურებად იმას თვლიან, რომ მან კვლავ აღიარა მიწიერი ღირებულებები: ქორწინება, სახელმწიფო და ა.შ. მისთვის სწორედაც რომ ყველაფერი მიწიერი მეტად განურჩეველია, ვიდრე კათოლიციზმისთვის, რომელიც ძალმოსილებას უგოვებს რეალურ სამყაროს და მის სიამებებსაც კი აგემოვნებს, როდესაც გონიერი და თანმიმდევრული პროტესტანტი ცდილობს ყოველივე მიწიერი გაანადგუროს და ამ მიზნით მას სიწმინდეს ანიჭებს. მაგალითად, ქორწინებას მთელი მისი ბუნებრიობა აქვს დაკარგული იმით, რომ წმინდად არის გამოცხადებული არა კათოლიკური საიდუმლოების ამრით, სადაც ეკლესიის მიერ მისი კურთხევა ხდება და, შესაბამისად, სიღრმისეულად წმინდა არ არის, არამედ იმ მნიშვნელობით, რომ იგი თავისთავად წმინდად, წმინდა კავშირად იქცევა. ზუსტად ასეა სახელმწიფოც. უწინ პაპი აკურთხებდა სახელმწიფოსა და მთავრებს, ახლა კი სახელმწიფო თავისთავად არის წმინდა: ის უდიდებულესობაა, რომელიც არ საჭიროებს მოძღვრისეულ კურთხევას. საერთოდაც, ბუნებრივი წესრიგი ანუ „ბუნებრივი უფლება“ „ღვთიური წესრიგის“ რანგში აგანილი და წმინდად აღიარებული იქნა. ამიგომაც არის ნათქვამი აუგსბურგის აღსარებაში, მუხლი II: „ამგვარად, ვაღიარებთ გამოთქმას, რომელიც კანონშემოქმედებმა გამოხატეს ბრძნულად და სამართლიანად: ის, რომ ქალი და მამაკაცი ერთად არიან - ბუნებრივი კანონია. ხოლო თუ ეს ბუნებრივი კანონია, ეს ღვთიური წესრიგი, შესაბამისად, „ღვთიური კანონია.“ და თუ ფოიერბახი მნებრივ ურთიერთობებს ღვთიურ წესრიგს არ უწოდებს, მაგრამ მათში არსებული სულისათვის მათ სიწმინდეს აღიარებს, ნუთუ ეს მხოლოდ და მხოლოდ განათლებული პროტესტანტიზმი არ არის? „მაგრამ ქორწინება, როგორც თავისუფალი სასიყვარულო კავშირი, თავისთავადაა წმინდა, წმინდაა გამომდინარე ბუნებიდან თავად კავშირისა, რომელსაც ვამყარებთ. მხოლოდ ჭეშმარიტი ქორწინება, რომელიც ქორწინების არსს - სიყვარულს შეესაბამება, არის

ჭემმარიგად რელიგიური. ასე ღვას საკითხი ყველა მწეობრივ ურთიერთობასთან მიმართებით. ისინი მხოლოდ იქ არიან მორალურნი, მხოლოდ იქ იცავენ მათ მორალურ-მწეობრივად, სადაც თავისთავად რელიგიურებად ითვლებიან. ჭემმარიგი მეგობრობა მხოლოდ იქ არსებობს, სადაც მეგობრობის საზღვრებს რელიგიური კეთილსინდისიერებით იცავენ, იმ სინდისიერებით, რომლითაც მორწმუნე საკუთარი ღმერთის ღირსებას იცავს. წმინდაა და წმინდა იყოს თქვენი მეგობრობა, წმინდაა საკუთრება, წმინდაა ქორწინება, წმინდაა თითოეული ადამიანის სიკეთე, მაგრამ წმინდაა თავისთავად [10]. უკიდურესად არსებითი მომენგია. თუმცა კათოლიციზმი ცნობს საეროს კურთხევას, მაგრამ ამ მოძღვრისეული ლოცვის გარეშე იგი წმინდა ვერ იქნება; პროტესტანტიზმში კი პირიქითაა, საერო ურთიერთობები წმინდაა თავისთავად, წმინდაა უკვე მისი არსებობით. კურთხევასთან, რაც სიწმინდეს გვამცნობს, მჭიდროდ არის დაკავშირებული იეზუიტთა მთავარი კანონი: „ მიზანი ამართლებს საშუალებას “. არც ერთი საშუალება არ არის თავისთავად წმინდა. მხოლოდ მისი ღამოკიდებულება ეკლესიისადმი, ამ უკანასკნელისათვის მის მიერ მოგანილი სარგებელი აქცევს საშუალებას წმინდად. მეფისკვლასაც ასეთ საშუალებად ასალებდნენ. თუ ეს ეკლესიისთვის ხდებოდა, მის ჩამდენს შეედლო ღარწმუნებული ყოფილიყო ეკლესიის მიერ მისი საქციელის ფარულ კურთხევაში. პროტესტანტიზმის მონარქი რაღაც წმინდას წარმოადგენს, კათოლიკესთვის კი მხოლოდ ის მონარქი ითვლებოდა წმინდად, რომელიც მეფედ უზენაესმა მღვდელმსახურმა აკურთხა, და სინამდვილეშიც, იგი მეფეს მხოლოდ იმიგომ აღიარებს, რომ პაპმა, თუმცა განსაკუთრებული აქტის გარეშე, ერთხელ და სამუდამოდ უბოძა მას ეს სიწმინდე. მას რომ კურთხევა გამოეთხოვა, კათოლიკესთვის მეფე „ საერო ადამიანად “ , „ არაკურთხეულად “ ღარჩებოდა. პროტესტანტი გრძნობადშიც მხოლოდ რაიმე სიწმინდის მოძიებას ცდილობს, რათა შემდეგ მხოლოდ წმინდა დაიცვას. კათოლიკე კი, პირიქით, ცდილობს გრძნობადი განაშოროს საკუთარ თავს და ისეთ სფეროში გადაიგანოს, სადაც ის, როგორც მთელი ღანარჩენი ბუნება, მის განსაკუთრებულ ფასეულობას იცავს. კათოლიკურმა ეკლესიამ საკუთარი წმინდა საზღვრებიდან გააძევა ქორწინება და მღვდლებს ცოლის შერთვა აუკრძალა, პროტესტანტულმა ეკლესიამ კი ქორწინება და ოჯახური კავშირი წმინდად გამოაცხადა, რის საფუძელზეც პასგორებს ქორწინების უფლება მისცა.

იეზუიტს, როგორც სათანადო კათოლიკეს, ყველაფრის კურთხევა შეუძლია. მაგალითად, მას შეუძლია უთხრას საკუთარ თავს: როგორც მოძღვარი, მე ვჭირდები ეკლესიას და მით უფრო გულმოდგინედ ვემსახურები, რაც უფრო მეგად ვიკმაყოფილებ ჟინს; შესაბამისად, მე გავაუპატიურებ ამ გოგონას, მოვწამლავ მგერს, რადგან ჩემი მოძღვრისეული მიზანი წმინდაა და ამიგომ იგი აკურთხებს ანუ ამართლებს საშუალებას. ბოლოს და ბოლოს ეს ყოველივე ხომ არგებს ეკლესიას?! რაგომ არ მიაწოდოს კათოლიკე პასგორმა მოწამლული კვერი ჰენრი VII-ეს ეკლესიის საკეთილდღეოდ? ჭემმარიგად ეკლესიური პროტესტანტები ყოველგვარი „ უბიწო გართობის “ წინააღმდეგ იმალლებდნენ ხმას, რადგან უბიწო შესაძლოა მხოლოდ წმინდა, სულიერი ყოფილიყო. მათ ყველაფერი უნდა გაეკიცხათ, რაშიც სული

წმიდას ვერ აღმოაჩენდნენ: ცეკვები, თეატრი, ბრწყინვალეობა (მაგალითად, ეკლესიაში) და ა.შ.

ამ პურიგანულ კალვინიზმთან შედარებით ლუთერანობა უფრო რელიგიურ ანუ სულიერ გზას ადგას, ის მეტად რადიკალურია. კალვინიზმი მრავალ რამეს, როგორც გრძნობას და მიწიერს, გამორიცხავს, და წმინდს ეკლესიას. ლუთერანობა კი პირიქით, ცდილობს ყველაფერში შეძლებისდაგვარად სული ჩაასახლოს, ყველაფერში სული წმიდა შეიცნოს, როგორც ყოველივეს არსი და ამგვარად აკურთხოს ყველაფერი მიწიერი. („პატიოსან ამბორზე უარი არ ითქმება“ . პატიოსნების სული აკურთხებს მას). ამიგომაც მოახერხა ლუთერანელმა ჰეგელმა (ის აცხადებს ერთგან, რომ „ისურვებდა ლუთერანელად დარჩენილიყო“) ყველაფერზე სრულად გაეგარებინა ცნება. ყველაფერშია გონი ანუ სული წმიდა ანუ „არსებული - გონიერია“. სინამდვილე ფაქტიურად ყველაფერს შეიცავს საკუთარ თავში, რადგან ყველაფერში, მაგალითად ყოველ სიცრუეში შესაძლოა ვიპოვოთ ჭეშმარიტება: არ არსებობს აბსოლუტური სიცრუე, აბსოლუტური ბოროტება და ა.შ.

მხოლოდ პროტესტანტებმა შეძლეს დიადი „სულიერი ქმნილებების“ შექმნა, რადგან მხოლოდ ისინი იყვნენ სულის ჭეშმარიტი მოსწავლეები და ამსრულებლები.

ადამიანს მცირედის დამორჩილება ძალუძს! მან უნდა მიუშვას მზე - საკუთარი გზით იაროს, მღვა - აბობოქროს გალღები, მთები - აიზიდონ ცისაკენ. ის უძლური დგას გადაულახავის წინაშე. ნუთუ შესაძლებელია ვერ გრძნობდეს, რომ იგი უძლურია ამ ვეებერთელა სამყაროს პირისპირ? სამყარო - მტკიცე კანონია, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ის, რომელიც მის ბედს განსაზღვრავს. რისკენ ისწრაფოდა ქრისტიანობამდელი კაცობრიობა? იმისკენ, რომ თავი აერიდებინა ბედის შემოჭრისათვის და არ მიეცა მისთვის მისი შემოფოთების უფლება. სგოიკოსებმა აღნიშნულს აპათიით მიაღწიეს, გამოაცხადეს რა ბუნების ჩარევა უმნიშვნელოდ, რითიც არ მისცეს ასეთ ჩარევას შემოფოთების უფლება. ჰორაციუსი წარმოთქვამს ცნობილს *nil admirari*[11], რითიც ასევე აცხადებს ყოველივე გარეგნულის, სამყაროს უმნიშვნელობას: მას არ უნდა ჰქონდეს გავლენა ჩვენზე და არ უნდა იწვევდეს ჩვენს გაკვირვებას. *impavidum ferient ruinae*[12] იმავე ურყეობას გამოხატავს: „არაფრის გვეშინია, თუნდაც მთელი სამყარო დაინგრეს“. ეს ყველაფერი ათავისუფლებს ადგილს სამყაროსადმი ქრისტიანული სიძულვილისთვის, იმ გამოთქმისათვის, რომ სამყარო ამაოა.

„ბრძენთა“ უდრეკმა სულმა, რომლითაც ძველი სამყარო საკუთარ აღსასრულს ამზადებდა, მას შემდეგ შინაგანი რყევა განიცადა, რომლისგან მას ვერანაირი ათარაქსია, ვერანაირი სგოიკური სიმამაცე ვერ დაიცავდა. სული, დაცული სამყაროს ყოველგვარი გავლენისგან, უგრძნობი მისი ბიძგებისადმი, რომელიც მის შეგვევებზე მაღლა დგას, რომელსაც არაფერი უკვირს და სამყაროს ვერანაირი ნგრევა ვერ დააკარგვინებს სიმშვიდეს, - შეუკავებლად გადაცდა კიდეებს, რადგან მის შიგნით განვითარდნენ გაზები (სულები), ხოლო მას შემდეგ,

რაც გარედან მომავალი მექანიკური ბიძგი უქმი გახდა, შიგნიდან ამგზნებმა ქიმიურმა დაძაბულობამ მისი უცნაური თამაში წამოიწყო.

და მართლაც, ძველი ისტორია სრულდება იმით, რომ „ მე ვპოვე სამყაროში ჩემი საკუთრება “ . „ ყველაფერი მამისაგან მომეცა მე [13] “ . სამყარო აღარ არის ჩემთვის ყოველისშემძლე, ხელშეუხებელი, წმინდა, ღვთიური, მას „ აკლია ღვთაება “ . ამიერიდან მე მას ისე ვეპყრობი, როგორც მოვისურვებ. მასზე რომ სასწაულმოქმედი ძალა ანუ სულის ძალა გამომეცადა, მთებს გადავაადგილებდი, ვუბრძანებდი ლეღვის ხეებს, რომ აღმოფხვრილიყვნენ მღვაში გადასანერგად [14], საერთოდაც, შევძლებდი ყოველივე შესაძლებლის, გააზრებადის გამოყენებას: „ ყველაფერი შესაძლოა მორწმუნისათვის [15] “ . მე ვარ სამყაროს ბატონი, ყველა უფლება ჩემია. სამყარო პრობაულად იქცა, რადგან ღვთიური გაუჩინარდა მასში: ის - ჩემი საკუთრებაა, რომელსაც განვკარგავ ისე, როგორც მე (ანუ სულს) მომესურვება.

როდესაც მე სამყაროს მესაკუთრის მდგომარეობამდე ავმალდი, ეგოიზმმა პირველი სრული გამარჯვება იმეიმა. გადალახა სამყარო, სამყაროგარეშედ იქცა და მრავალი საუკუნის მონაპოვარს

ბოქლომი დაადო.

პირველი საკუთრება, პირველი „ პრივილეგია “ - მოპოვებულია!

და მაინც, სამყაროს ბატონი ჯერ კიდევ არ არის საკუთარი აზრების, გრძნობების, საკუთარი ნების ბატონი: ის არ არის საკუთარი სულის მესაკუთრე, რადგან სული ჯერ კიდევ წმინდაა, ის - „ სული წმიდაა “ , „ სამყაროსგარეშე “ ქრისტიანს კი არ სურს უღმერთობა. ანგიკური ბრძოლა იყო ბრძოლა სამყაროს წინააღმდეგ, შუასაუკუნეობრივი (ქრისტიანული) - ბრძოლა საკუთარ თავთან, სულთან; პირველი - გარე სამყაროს, მეორე - შინაგანი სამყაროს წინააღმდეგ. შუასაუკუნეობრივი ბრძოლა - საკუთარი თავისკენ არის მიმართული, გააზრებადი, გონივრულია.

ძველების სიბრძნე ფილოსოფიაა, ახლების მთელი სიბრძნე - ღვთისმეტყველება.

სამყაროს წარმართები (მათ შორის, იუდეველები) გაუსწორდნენ, რის შემდეგ საჭირო იყო სულთან ანგარიშის გასწორება ანუ „ უსულოდ “ , უღმერთოდ ქცევა.

თითქმის ორიათასი წელიწადია სულის დასამორჩილებლად ვიღწვით და სიწმინდის არაერთი ელემენტი ჩამოვაჭვრით მას და გავთელეთ, მაგრამ გიგანტური მოწინააღმდეგე ყოველ ჯერზე ხელახლა გვაბრკოლებს, შეცვლილი სახითა და ახალი სახელით. სული ჯერ კიდევ არ მოისაკლისებს ღვთიურობას, სიწმინდესა და კურთხევას. თუმცა მტრედის მსგავსად ჩვენს თავგემოთ აღარ დაფრინავს და აღარც მხოლოდ წმინდანებთან ჩადის, არამედ საქმეში

ჩაუხედავთა ხელთაც ხვდება, მაგრამ კაცობრიობის სული, როგორც ადამიანური სული ანუ სული „ადამიანისა“, ჩემთვის და შენთვის უცხო სულად რჩება, რომელიც ჯერ კიდევ შორს არის იმისგან, რომ ჩვენს შეუზღუდავ საკუთრებად იქცეს, რომელსაც საკუთარი სურვილისამებრ განვკარგავთ. იმავედროულად, ერთი რამ მოხდა უდაოდ, რამაც, როგორც ჩანს, ქრისტიანული ისტორიის შემდგომი პერიოდი განსაზღვრა: სწრაფვა სული წმიდა უფრო ადამიანურად ექციათ, რათა იგი ადამიანებთან დაეახლოვებინათ. ამიტომაც მოხდა, რომ ბოლოს და ბოლოს ის შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო, როგორც „კაცობრიობის სული“ და სხვადასხვა სახელწოდებებით, როგორც არის „კაცობრიობის იდეა“, ადამიანურობა, ჰუმანურობა, ზოგადასაკაცობრიო სიყვარული - უფრო ახლობელი და მისაწვდომი გახდა.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ახლა უკვე ყველას შეუძლია სული წმიდის ფლობა, კაცობრიობის იდეის საკუთარ თავში მიღება და კაცობრიობისთვის საკუთარი ხაგის მიცემა?

არა, სული არ მოისაკლისებს სიწმინდესა და მიუწვდომლობას, ის ისევე მიუწვდომელია ჩვენთვის, როგორც მანამდე, ისევე არ წარმოადგენს ჩვენს საკუთრებას, რადგან კაცობრიობის სული ჩემი სული არ არის. ის შეიძლება იყოს ჩემი იდეალი და როგორც ამრს, მე მას ჩემსას ვუწოდებ: კაცობრიობის ამრი - ჩემი საკუთრებაა და მე საკმარისად ვამტკიცებ ამას იმით, რომ სრულად ჩემი სურვილისამებრ მივმართავ, დღეს - ასე, ხვალ კი ისე; ჩვენ მას მრავალი სახით წარმოვიდგენთ. მაგრამ იმავედროულად ის მემკვიდრეობითი სიკეთეა, რომელსაც მე ვერც გავეყიდი და ვერც სხვას გადავცემ.

მრავალი სახეცვლილების შემდეგ სული დროთა განმავლობაში აბსოლუტურ იდეად იქცა, რომელიც მრავალფეროვან გარდაცხათა შედეგად სხვა იდეებად დაიყო: ადამიანთა სიყვარულად, გონიერებად, მოქალაქეობრივ ღირსებად და ა.შ.

მაგრამ ნუთუ შემიძლია საკუთარი ვუწოდო იდეას, თუ არსებობს იდეა კაცობრიობისა, შემიძლია თუ არა გადაღახულად ჩავთვალო სული, თუკი უნდა ვემსახურო მას და საკუთარი თავი „მსხვერპლად მივიგანო“? აღსასრულის პირას მყოფმა ძველმა დრომ მხოლოდ მაშინ დაისაკუთრა სამყარო, როდესაც მისი ყოვლისშემძლეობა და „ღვთიურობა“ გადაღახა, როდესაც მისი უძლურება და „ამაოება“ გააცნობიერა.

ასევე დგას საკითხი სულთან მიმართებითაც. თუ მე მას მოჩვენებად დავიყვან, ხოლო ჩემზე მის ძალაუფლებას - სიგიჟედ, ის ჩემთვის სიწმინდეს, კურთხევას დაკარგავს და მე შევძლებ იგი ისე გამოვიყენო, როგორც თავისუფლად და სურვილისამებრ იყენებენ ბუნებას.

მიჩნეულია, რომ მასთან ურთიერთობაში მე „საქმის არსით“, „ურთიერთობის ცნებით“ უნდა ვიხელმძღვანელო. თითქოს რაიმეს ცნება თავისთავად არსებობს და, საპირისპიროდ ამისა, არ არის წარმოდგენა, რომელსაც რაიმეს შესახებ იქმნიან. თითქოს ურთიერთობა, რომელშიც ჩვენ შემაჯავლის ერთადერთობის წყალობით შევდივართ, თავად არ იყოს

ერთადერთი! თითქოს საქმე იმაზე იყოს დამოკიდებული, თუ რომელ რუბრიკაში მოვითავსებთ მას. მსგავსად იმისა, როგორც „ ადამიანის არსი “ ჩამოაშორეს ნამდვილ ადამიანს და მის შესახებ პირველის მიხედვით მსჯელობდნენ, - ზუსტად ასევე აშორებენ მას მის საქმეებს და „ ადამიანური ღირებულების “ მიხედვით აფასებენ. ცნებები წყვეტენ ყველაფერს, ცნებები არეგულირებენ ცხოვრებას, ცნებები ბატონობენ. ეს ის რელიგიური სამყაროა, რომელსაც ჰეგელმა სისტემატური გამოხატულება იმით მისცა, რომ მეთოდი აბსურდამდე დაიყვანა, ხოლო ცნებათა დადგენა დამრგვალებული, მკაცრად შებოჭილი დოგმატურობით დაასრულა. ყველაფრის შესახებ ცნებების მიხედვით მსჯელობენ, ნამდვილ ადამიანს (ანუ მე) კი აიძულებენ ამ ცნებათა კანონების მიხედვით იცხოვროს. ნუთუ შესაძლებელია კანონის კიდევ უფრო მძლავრი ბატონობა? ქრისტიანობამ დასაწყისიდანვე აღიარა, რომ მას კანონის იუდეური ბატონობის გამყარება სურდა („ კანონის ერთი ასოც კი არ უნდა დაიკარგოს! “).

ლიბერალიზმმა მხოლოდ ახალი ცნებები შემოიღო: ღვთიურის ნაცვლად - ადამიანური, ეკლესიურის ნაცვლად - სახელმწიფოებრივი, რწმენის ცნების ნაცვლად - „ მეცნიერული “ ან, უფრო ზოგადად, „ უხეშ დებულებათა “ და დადგენილებათა ნაცვლად - ნამდვილი ცნებები და მარადი კანონები.

ახლა აღარაფერი ბატონობს სამყაროში, გარდა სულისა. ცნებათა ურიცხვი რაოდენობა შლეგურად დაქრის თავებში. რას აკეთებენ წინმსწრაფნი? ისინი უარყოფენ ამ ცნებებს, რათა მათ ნაცვლად ახლები შემოიღონ! ისინი ამბობენ: თქვენ არასწორი წარმოდგენა გაქვთ უფლების, სახელმწიფოს, ადამიანის, თავისუფლების, ჭეშმარიტების, ღირსების და ა.შ. შესახებ - ეს უფრო ის ცნებებია, რომლებსაც ჩვენ ახლა ვამკვიდრებთ. ამგვარად, ცნებათ აღრევა წინ მიიწევს, მსოფლიო ისტორია ჩვენ სასტიკად მოგვექცა და სულმა ყოველისშემძლე ძალაუფლება მოიპოვა. შენ პატივს უნდა სცემდე ჩემს ფეხსაცმელს, რომელსაც შენი შიშველი ფეხების დაცვა შეეძლო; ჩემს მარილს, რომლისგან შენი კარგოფილი საჭმელად ვარგისი იქნებოდა; ჩემს ეგლს, რომელიც თავისი ღირებულებით ყოველგვარ საჭიროებას აგარიდებდა თავიდან, მაგრამ ამ ყველაფრისკენ ხელი არ უნდა გაიწვინო. ადამიანმა ამ ყველაფრისა და კიდევ მრავალი რამის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს, ის მისთვის მიუწვდომელი უნდა იყოს, ადამიანი უნდა მოისაკლისებდეს ამას. ის პატივს უნდა სცემდეს და აფასებდეს ამ ყველაფერს. ვაი მას, თუ ხელებს იწვდენს დაუფლების სურვილით, ჩვენ ამას „ ქურდობას “ ვუწოდებთ!

რა საბრალოდ ცოცხა დაგვრჩა - სწორედ რომ ვთქვათ, თითქმის არაფერი! ყველაფერი გაწიეს ჩვენგან, ვერაფერზე ვაცხადებთ პრეტენზიას, თუ რაიმე არ გვეძლევა. ჩვენ ჯერ კიდევ გამცემის წყალობით ვცხოვრობთ. შენ ქინძისთავის ალების უფლებაც კი არ გაქვს სანამ საამისო ნებართვას არ მოიპოვებ. ნებართვა - ვისგან? პატივისცემისგან! თუკი ის გიბოძებს მას, როგორც საკუთრებას, თუ შეძლებ პატივი სცეს მას, როგორც საკუთრებას - მხოლოდ მაშინ შეძლებ მის აღებას. და კვლავ, ამრიც არ უნდა გაივლო თავში, არ წარმოთქვა ფრაზა,

არ ჩაიდინო ქმედება, რომელიც მხოლოდ შენშია გამართლებული, ნაცვლად იმისა, რომ სანქცია მიიღო ზნეობის, გონების ან ადამიანურობისგან. მსურველი კაცობრიობის ბედნიერი ძალდაუგანებლობა, რა უღმობლად ცდილობდნენ ადამიანები შენს მოკვდინებას იძულების საკურთხეველზე!

მაგრამ საკურთხეველის გარშემო ეკლესიაა აზიდული, მისი კედლები კი სულ უფრო ფართოვდება. ის, რასაც ისინი მოიცავენ - წმინდაა. შენ ვეღარ შეძლებ მის დაუფლებას, მასთან შეხებას. ღმუი რა მგანჯველი შიმშილისგან, შენ კედლების გარშემო დახეგიალობ, რათა მცირედი საამქვეყნო მოიპოვო იქიდან, რაც დარჩა და სულ უფრო განიერი ხდება წრე, რომელსაც აღასრულებ. მაღე ეს ეკლესია მთელ დედამიწას მოიცავს და შენ კიდისკენ იქნები განდევნილი. ერთი ნაბიჯიც და წმინდანის სამყარო გაიმარჯვებს: შენ უფსკრულში გადავარდები. ამიგომ გამოფხიზლდი, სანამ ჯერ კიდევ არის დრო, ნუ იხეგიალებ მეგად მოცელილ ამქვეყნიურში, გაბეღე და გადახტი - და კარიდან შევარდი პირდაპირ გაძარში. როდესაც წმინდას ჩახეთქავ, ის შენი საკუთრება გახდება! გადაამუშავე წმიდათაწმიდა ძღვენი - და შენ გათავისუფლები მისგან.

შენიშვნები

1 ↑ ლ. ფოიერბახი, „ქრისტიანობის არსი“ .

2 ↑ ბრუნო ბაუერი (06.09.1809-13.04.1882) - გერმანელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი; ჰეგელის მოწაფე. გამოირჩეოდა რადიკალური შეხედულებებით.

3 ↑ ღაე, იბეიმოს სამართლიანობამ, თუნდაც სამყარო დაიღუპოს (ლათ.).

4 ↑ ავგუსტ ბეკერი (დაახლ. 1810-1875) - გერმანელი პოლიტიკური ფიგურა და ჟურნალისტი.

5 ↑ თვალნათლივ (ლათ.).

6 ↑ შილერი, „Die Worte des Glaubens“ .

7 ↑ პაროდია მეფისტოფელის მიერ გრძნეულის სამზარეულოში ნათქვამ სიტყვებზე (გოეთე, „ფაუსტი“).

8 ↑ იოანე, 2:4.

9 ↑ მათე, 10:35.

10 ↑ ლ. ფოიერბახი, „ქრისტიანობის არსი“.

11 ↑ არაფერი გაგვიკვირდეს (ლათ.).

12 ↑ ნანგრევთა უშიშრობა (ლათ.).

13 ↑ მათე, 11:27.

14 ↑ ლუკა, 17:6.

15 ↑ მარკოზი, 9:23.

“პოლიტიკური ლიბერალიზმი”

მას შემდეგ, რაც ე.წ. აბსოლუტური მონარქიის სასმისი სრულად დაიშრიტა, მეთვრამეტე საუკუნის ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ მათ სასმელს ადამიანისთვის შესაფერისი გემო არ ჰქონდა - გელმეგად ცხადად გააცნობიერეს, რათა ახალი სასმისი მოეთხოვათ; და ვინაიდან, ასე თუ ისე, ჩვენი მამები „ადამიანები“ იყვნენ, მათაც ისურვეს, რომ ასეთებად ყოფილიყვნენ მიხნეულნი.

ვინც ჩვენში ხელდას რაიმეს, გარდა ადამიანისა, მასში ჩვენ ასევე ვერ დავინახავთ ადამიანს, არამედ დავინახავთ არა-ადამიანს და დავხვდებით, როგორც ანგი-ადამიანს. მეორეს მხრივ, მას, ვინც ჩვენში ადამიანს აღიარებს და დავიცავს არაადამიანური მოპყრობის საფრთხისგან, ჩვენ პატივს ვცემთ, როგორც მცველსა და მფარველს.

მაშ, ერთად დავდგეთ და ერთმანეთში დავიცვათ ადამიანი; ერთად დგომაში აღმოვაჩინოთ აუცილებელ უსაფრთხოებას, ხოლო ჩვენში, ერთად მდგომებში, მათ გაერთიანებას, ვინც აცნობიერებს საკუთარ ადამიანურ ღირსებას და ერთად დგას, როგორც „ადამიანი“; ჩვენი ერთად დგომა არის სახელმწიფო; ჩვენ, ვინც ერთად ვდგავართ - ხალხი.

ხალხის ანუ სახელმწიფოს სახით ერთად დგომაში ჩვენ მხოლოდ ადამიანები ვართ. როგორ გამოვაგვლენთ საკუთარ თავს სხვა ურთიერთობებში, როგორც პიროვნებები, და რომელ პიროვნულ მისწრაფებებს დავემორჩილებით, სრულად ჩვენი პირადი ცხოვრების საქმეა. ჩვენი საჯარო ანუ სახელმწიფო ცხოვრება წმინდად ადამიანურია. ყოველივე არა-ადამიანური ანუ „ეგოისტური“, რაც ჩვენთვისაა დამახასიათებელი, დეგრადირდება „

პიროვნულ ნივთიერებაზე “ და ჩვენ შეგვიძლია სახელმწიფო ცალსახად გავმიჯნოთ ,, სამოქალაქო სამოგალოებისგან “ , რაც ,, ეგოიზმის “ მოქმედების არეალს წარმოადგენს.

ჭეშმარიტი ადამიანი ყოველთვის ხალხია, თუმცა ინდივიდუალი - ეგოისტი. შესაბამისად, ჩამოიგლიჯეთ ინდივიდუალობა ანუ იზოლირებულობა, რაშიც ეგოისტური უთანასწორობა და უთანხმოება ბინადრობს, და საკუთარი თავი სრულად ჭეშმარიტ ადამიანს - ხალხს ანუ სახელმწიფოს მიუძღვნით. შემდეგ მიიღებთ ადამიანის წოდებას და ყველაფერს, რაც ადამიანისაა; სახელმწიფო, ჭეშმარიტი ადამიანი მოგანიჭებთ იმას, რაც მას ეკუთვნის, და მოგანიჭებთ ,, ადამიანის უფლებებს “. ადამიანი მოგანიჭებთ მის უფლებებს!

ასეთია ბურჟუაზიის შეხედულება.

ბურჟუაზია არაფერია, თუ არა აზრი, რომ სახელმწიფოა, ბოლოს და ბოლოს, ჭეშმარიტი ადამიანი, ხოლო ინდივიდის ადამიანური ღირსება სახელმწიფოს მოქალაქედ ყოფნაში მდგომარეობს. კარგ მოქალაქედ ყოფნაში ეძიებს იგი უღრმეს პატივისცემას. ამის მიღმა მან არაფერი იცის უფრო ღიალი, ვიდრე ყველაზე მოძველებული ,, იყავი კარგი ქრისტიანი “ .

ბურჟუაზია პრივილეგირებულ კლასებთან ბრძოლაში განვითარდა, ვინც ქედმაღლურად უწოდებდა მას ,, მესამე ფენას “ და ნაძირლებთან აიგივებდა. სხვა სიტყვებით, იმ დრომდე სახელმწიფო ცნობდა კასტას. კეთილშობილი ადამიანის ვაჟს აირჩევდნენ თანამდებობაზე, რომელზეც ბურჟუაზიის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი ფუჭად გამოაცხადებდა პრეტენზიას. სამოქალაქო განცდა აჯანყდა ამის წინააღმდეგ. აღარავითარი განსხვავება, არავითარი პრივილეგიები პიროვნებებს, არანაირი სხვაობა კლასებს შორის! დაე, ყველა გათანაბრდეს. არა კერძო ინტერესი უნდა იქნას მიზნად დასახული, არამედ ყველას საერთო ინტერესი. სახელმწიფო უნდა იყოს თავისუფალ და თანასწორ ადამიანთა ერთობა, თითოეულმა კი საკუთარი თავი ,, ყველას კეთილდღეობას “ უნდა მიუძღვნას, უნდა განზავდეს სახელმწიფოში, აქციოს სახელმწიფო საკუთარ იდეალად და დასასრულად. სახელმწიფო! სახელმწიფო! ასე ღრიალებს სამოგალოება, მას შემდეგ კი ადამიანები ,, სახელმწიფოს სწორი ფორმის “ , საუკეთესო კონსტიტუციის და, ამგვარად, სახელმწიფოს საუკეთესო კონფეციის ძიებას შეუდგნენ. სახელმწიფოს შესახებ ფიქრებმა გულები დაიპყრო და ენთუზიამში გააღვიძა. ამ პროზაული ღმერთის მსახურებისთვის ახალი ღვთისმსახურება და თავყვანისცემა იქნა შემოღებული. ეს რეალური პოლიტიკური ეპოქის გარიჟრაჟი იყო. სახელმწიფოს ანუ ხალხის სამსახური უზენაეს იდეალად იქცა, სახელმწიფოს ინტერესი - უზენაეს ინტერესად, სახელმწიფო სამსახური (რისთვისაც სრულებით არ იყო საჭირო ყოფილიყავი ოფიციალური პირი) - უდიდეს პატივად.

შემდეგ კერძო ინტერესები და პიროვნებები შიშმა აიგანა, ხოლო სახელმწიფოსთვის მსხვერპლად შეწირვა შიბოლეგად[1] იქცა. ადამიანმა უარი უნდა თქვას საკუთარ თავზე და მხოლოდ სახელმწიფოსთვის იცხოვროს. მან ,, უანგაროდ “ უნდა იმოქმედოს, სარგებლის

მოსაგანად არა საკუთარი თავის, არამედ სახელმწიფოსთვის. შედეგად ეს უკანასკნელი იქცა ჭეშმარიტ პიროვნებად, რომლის წინაშე ინდივიდუალური პერსონა იკარგება; მე კი არ ვცხოვრობ, არამედ ის ცხოვრობს ჩემში. შესაბამისად, წარსულის ანგარებასთან შედარებით ეს თავად უანგარობა და არაპიროვნულობაა. ამ ღმერთის - სახელმწიფოს - წინაშე ეგოიზმი სრულად გაქრა, და მის წინაშე ყველა თანასწორი ვართ. მათ შორის აღარაფერი იყო განმასხვავებელი - ისინი აღამიანები იყვნენ, არაფერი, გარდა აღამიანებისა.

რევოლუცია საკუთრების აალებად მასალაზე გააჩაღეს. მთავრობას ფული სჭირდებოდა. ახლა მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ის აბსოლუტურია და, ამგვარად, მთელი საკუთრების ბაგონ-პაგრონი, ერთადერთი მესაკუთრე; ის უნდა დაესაკუთროს მის ფულს, რომელიც ქვეშევრდომების მხოლოდ მფლობელობაში იყო, მაგრამ მათ საკუთრებას არ წარმოადგენდა. ნაცვლად ამისა, იგი იხმობს გენერალურ ასამბლეას, რათა ეს ფული მას აჩუქონ. მკაცრად ლოგიკური ქმედებიდან გადახვევამ დაანგრია აბსოლუტური მთავრობის ილუზია; ის, ვისაც რაღაც უნდა „აჩუქონ“, არ შეიძლება აბსოლუტურად იქნას მიჩნეული. ქვეშევრდომებმა გააცნობიერეს, რომ ისინი იყვნენ რეალური მფლობელები და რომ მათ ფულს მოითხოვდნენ. ვინც აქამდე ქვეშევრდომი იყო, გააცნობიერა, რომ მესაკუთრეს წარმოადგენდა. ბეილი[2] აღნიშნულს რამდენიმე სიგყვით გადმოგვცემს:

„ თუ შენ არ შეგიძლია ჩამომართვა ქონება ჩემი თანხმობის გარეშე, რაოდენ ნაკლებად შეგეძლება ეს ჩემს პიროვნებასთან მიმართებით, იმ ყველაფერთან, რაც ჩემს მენტალურ და სოციალურ პოზიციას უკავშირდება? ეს ყოველი ჩემი საკუთრებაა, როგორც მიწის ნაგლეჯი, რომელსაც მე ვხნავ. და მე მაქვს უფლება და ინტერესი, რომ თავად შეექმნა კანონები “ .

ბეილის სიგყვები ისე ჟღერს, თითქოს ყველა მესაკუთრედ ქცეულიყოს. მიუხედავად ამისა, მთავრობისა და მთავარის ნაცვლად, ხალხი იქცა მესაკუთრედ და მეპატრონედ. იმ დროიდან იდეალის, როგორც „ სახალხო თავისუფლების “ , „ თავისუფალი ხალხისა “ და ა.შ. შესახებ საუბრობენ.

უკვე 1789 წლის 8 ივლისს ოგონისა და ბარერის ეპისკოპოსმა[3] კანონმდებლობაში ყოველი და თითოეული ინდივიდის მნიშვნელობის შესახებ მუხლები გააუქმა; დემონსტრირებულ იქნა პრინციპალთა სრული უძღურება. წარმომადგენელთა უმრავლესობა იქცა კანონის შემოქმედად. როდესაც 9 ივლისს შემოთავაზებულ იქნა კონსტიტუციის განსაახლებელი შრომის დანაწილების გეგმა, მირაბომ[4] შენიშნა, რომ „ მთავრობას მხოლოდ ძალა აქვს და არა უფლებები; მხოლოდ ხალხში შეიძლება მოიძებნოს ყველა უფლების წყარო “ . 16 ივლისს იგივე მირაბო შესძახებს: „ ხომ ხალხია ყველა ძალის წყარო? “ შესაბამისად, წყარო ყველა უფლებისა და წყარო ყველა ძალის! სხვათა შორის, აქ „ უფლების “ არსი ხილული ხდება; ეს - ძალაა. „ ვისცაა ძალა, მისივეა უფლება “ .

ბურჟუაზია პრივილეგიებული კლასების მემკვიდრეა. ფაქტიურად ბარონთა უფლებები, რომლებიც მათგან „უმურპირებული“ იქნა, ბურჟუაზიას გადაეცა. ბურჟუაზიას ახლა „ხალხი“ ეწოდება. „ხალხის ძალაუფლებას“ დაუბრუნდა ყველა პრეროგატივა. შესაბამისად, ისინი აღარ წარმოადგენენ „პრეროგატივებს“ [Vorrechte], ისინი „უფლებებად“ [Rechte] იქცნენ. იმ დროიდან დაწყებული ხალხი მოითხოვს მეთაულსა და სავალდებულო სამსახურს. მას მემკვიდრეობით ერგო უზენაესი სასამართლო, უფლება ნანადირევსა და მოგროვილზე, ყმებზე. 4 აგვისტოს დამე იყო პრივილეგიების ანუ „პრეროგატივების“ (ქალაქები, კომუნები, მაგისტრატა საბჭოები ასევე გახლდნენ პრივილეგირებულნი, აღჭურვილნი პრეროგატივებითა და ფეოდალური უფლებებით) სიკვდილის დამე, რომელიც „უფლების“, „სახელმწიფოს უფლების“, „ხალხთა უფლების“ განთიადით დასრულდა.

განპიროვნებული მონარქი „მეფე-ბაგონის“ სახით უმნიშვნელო მბრძანებელი იყო ახალ მონარქთან, „სუვერენულ ხალხთან“ შედარებით. აღნიშნული მონარქია ათასწილ უფრო სასტიკი, მკაცრი და მეტად თანმიმდევრული იყო. ახალი მონარქიის წინააღმდეგ საერთოდ აღარ არსებობდა რაიმე უფლება ან პრივილეგია. რაოდენ შეზღუდულად მოჩანს ანტიკური რეჟიმის „აბსოლუტური ხელმწიფე“ მასთან შედარებით! რევოლუციამ გამოიწვია შეზღუდული მონარქიის ქცევა აბსოლუტურ მონარქიად. ამ დროიდან მოყოლებული ყველა უფლება, რომელიც ამ მონარქის მიერ არ არის მინიჭებული, „უმურპაციაა“, მაგრამ ყველა პრეროგატივა, რომელსაც იგი უწყალობებს - „უფლება“. დრომ აბსოლუტური სამეფო ხელისუფლება, აბსოლუტური მონარქია მოითხოვა. შესაბამისად, დაემხო ის ე.წ. აბსოლუტური სამეფო ხელისუფლება, რომელსაც იმდენად სუსტად ესმოდა, თუ როგორ გამხდარიყო აბსოლუტური, რომ ათასობით პაგარა ბაგონით იფარგლებოდა. რისთვისაც ათასობით წლის განმავლობაში იბრძოდნენ და რასაც ეწრაფვოდნენ, - სახელდობრ კი დადგენა იმისა, რომ აბსოლუტური ბაგონის გვერდით აღარ არსებობს სხვა ბაგონი ან ბაგონები, რომლებიც მისი ხელისუფლების შეკვეცას შეძლებენ - ის, ბურჟუაზია იშვა ამქვეყნად. მან გამოაგლინა ბაგონი, რომელიც მარგოლმარგო ანიჭებს „კანონიერ უფლებებს“ და ვისი მოწმობის გარეშე ვერაფერი გამართლდება. „ვიცით, რომ კერპი არაფერია ამ ქვეყნად და არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ერთისა“ [1 კორ., 8:4].

აღარავის შეუძლია უფლების წინააღმდეგ, როგორც ზოგადად უფლების წინააღმდეგ გამოთქმა ამრისა, რომ იგი „უსამართლოა“. მაგანს შეუძლია მხოლოდ ის თქვას, რომ ის უამრობის, ილუბიის ნაწილია. თუ ვინმე იტყვის, რომ იგი უსამართლოა, მან მის საპირისპიროდ სხვა უფლება უნდა ჩამოაყალიბოს, და მის მიხედვით გამოძოს იგი. თუ, საპირისპიროდ ამისა, ვინმე უარყოფს უფლებას, როგორც ასეთს, უფლებას საკუთარ თავში და თავისთავად, იგი ასევე უარყოფს უსამართლობის კონცეფციას და სრულად ანგრევს უფლების კონცეფციას (რომელსაც უსამართლობის კონცეფცია ეკუთვნის). რა არის არსი ლოქტრინისა „პოლიტიკურ უფლებათა თანასწორობა“? მხოლოდ შემდეგი: სახელმწიფო არაფრად მთვლის მე და მე, როგორც ყველა სხვა, ვარ მხოლოდ ადამიანი, სხვა მნიშვნელობის გარეშე, რომლითაც მის პატივისცემას დავიმსახურებდი. მე არ ვიმსახურებ

მის პატივისცემას, როგორც არისტოკრატია, როგორც წარჩინებულის შვილი ან თუნდაც, როგორც ოფიციალური პირის მემკვიდრე, რომლის თანამდებობა მე მემკვიდრეობით მერგო (როგორც შუა საუკუნეებში საგრაფოები, ხოლო მოგვიანებით, აბსოლუტური მონარქიის პირობებში, მემკვიდრეობითი თანამდებობები). ახლა სახელმწიფოს უთვალავი უფლება აქვს დასარიგებლად: ათასეულის, კომპანიის და ა.შ. ხელმძღვანელობის უფლება; უნივერსიტეტში ლექციების კითხვის და ა.შ. უფლება; მან იგი უნდა გასცეს, რადგან ის მისი საკუთრებაა, სახელდობრ, სახელმწიფო ანუ „ პოლიტიკური “ უფლებაა. ამასთან ერთად, სახელმწიფოსთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვის გადასცემს იგი მათ, თუკი მიძღები მოვალეობებს ასრულებს, რომლებიც დელეგირებული უფლებებიდან წარმოიქმნება. მისთვის ჩვენ ყველა შესაბამისები ვართ და თანასწორები, ერთი მეორეზე არც მეტად და არც ნაკლებად ღირებული. ჩემთვის სულ ერთია, ვინ მიიღებს შეიარაღებული ჯარების სარდლობას, ამბობს სუვერენული სახელმწიფო, იმ პირობით, რომ მიძღები ვალდებულებებს სათანადოდ აცნობიერებს. შედეგად, „ პოლიტიკურ უფლებათა თანასწორობას “ აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ნებისმიერმა შეიძლება მიიღოს ნებისმიერი უფლება, რომელიც სახელმწიფომ უნდა გადასცეს, თუკი იგი აკმაყოფილებს თანდართულ პირობებს, პირობებს, რომელთა მოძიება მხოლოდ კონკრეტული უფლების ბუნებაში შეიძლება და არა პიროვნულ უპირატესობაში (persona grata): ოფიცრად შედგომის უფლების ბუნება გულისხმობს იმას, რომ მავანს ძლიერი კიდურები და შესაბამისი ცოდნა გააჩნია, მაგრამ პირობად კეთილშობილ წარმომავლობას არ განიხილავს; მეორეს მხრივ, თუ ბურჟუაზიის ყველაზე ღირსეული წევრი ვერ მიაღწევს ამ მდგომარეობას, ადგილი ექნება პოლიტიკურ უფლებათა უთანასწორობას. დღევანდელ სახელმწიფოთა შორის თანასწორობის უფლებას ზოგი მეტად ახორციელებს, ზოგი კი ნაკლებად.

კასტოკრატია (ასე ვუწოდებ მე აბსოლუტურ მონარქიებს ანუ მეფეთა დროს რევოლუციამდე) პიროვნებას მრავალი უფრო მცირე მონარქიის დამოკიდებულებაში ინარჩუნებდა. ეს იყო ამხანაგობები [Genossenschaften] (სამოგალოებები [Gesellschaften]), მსგავსი გილდიის, თავადაზნაურობის, სამღვდელოების, ბურგერთა კლასის, ქალაქისა და თემის. საკუთარი თავი პიროვნებას ყველგან ჯერ ამ მცირე სამოგალოების წევრად უნდა განეხილა და მხოლოდ შემდეგ დამორჩილებოდა მის სულს, esprit de corps, როგორც მონარქს. პიროვნულობაზე, თუნდაც საკუთარ პიროვნულობაზე მეტად მას ოჯახი და მისი თემის ღირსება უნდა დაეყენებინა. მხოლოდ მისი კორპორაციის, მისი კლასის საშუალებით ჰქონდა პიროვნებას ურთიერთობა უფრო ღიდ კორპორაციასთან ანუ სახელმწიფოსთან - როგორც კათოლიციზმში, სადაც პიროვნება ღმერთთან კავშირს მღვდლის მეშვეობით ამყარებს. აქ უკვე მესამე კლასმა, რომელიც საკმარისად გაბედული აღმოჩნდა, რათა უარეყო საკუთარი თავი, როგორც კლასი, არსებობა დაასრულა. მან გადაწყვიტა, რომ აღარ წოდებულყო და აღარ ყოფილიყო კლასი სხვა კლასთა გვერდით, არამედ განედიდებინა და განემოგადებინა საკუთარი თავი „ ხალხად “. ამგვარად მან კიდევ უფრო სრული და აბსოლუტური მონარქია შექმნა და მართვის წინამორბედი პრინციპი კლასებისა [Stände] - პაგარა მონარქიებისა უფრო ღიდის შემადგენლობაში - აღესრულა. შესაბამისად, ვერ ვიგყვით, რომ რევოლუცია

იყო რევოლუცია პირველი ორი პრივილეგირებული კლასის[5] წინააღმდეგ. ეს იყო რევოლუცია კლასთა პაგარა მონარქიების წინააღმდეგ ზოგადად. მაგრამ, თუ კლასები და მათი დესპოტიზმი განადგურებულ იქნა (მეფე, როგორც ჩვენ ვიცით, იყო მხოლოდ კლასთა მეფე და არა მეფე-მოქალაქე), კლასთა უთანასწორობისგან განთავისუფლებული პიროვნებები უნდა არსებულებოდნენ. ნუთუ ახლა ისინი მართლაც უნდა ყოფილიყვნენ კლასის გარეშე, „გამორთულები“, შეუზღუდავები რომელიმე კლასის მიერ, ერთიანობის ბორკილის გარეშე? არა, რადგან მესამე კლასმა საკუთარი თავი ხალხად მხოლოდ იმიტომ გამოაცხადა, რომ არ ყოფილიყო კლასი სხვა კლასთა გვერდით ანუ ქცეულიყო ერთადერთ კლასად. ეს ერთადერთი კლასია ხალხი, „სახელმწიფო“. რად იქცა ახლა პიროვნება? პოლიტიკურ პროტესტანტად, რადგან იგი მყისიერ კავშირში აღმოჩნდა მის ღმერთთან - სახელმწიფოსთან. ის უკვე აღარ იყო, არისგოკრატიის მსგავსად, კეთილშობილთა მონარქიაში; ხელოსნის მსგავსად - გილდიის მონარქიაში, მაგრამ იგი, ყველას მსგავსად, ცნობდა და აღიარებდა ერთადერთ ბატონს - სახელმწიფოს, რომლის მსახურთა სახით ყოველი მათგანი იღებს თანასწორი პატივის წოდებას - „მოქალაქე“.

ბურჟუაზია ღირსების არისგოკრატიას, მისი ლომუნგი - „ღირსებამ დაიდგას კუთვნილი გვირგვინი“. იგი ებრძოდა „ზარმაც“ არისგოკრატიას, რადგან მის შესაბამისად ის, ვინც არისგოკორატია შრომითა და სიბეჯითით მოიპოვა, თავისუფალი არ „დაბადებულა“, არც მე ვარ თავისუფალი; თავისუფალი - „ღირსეული“ ადამიანი, პატიოსანი მსახურია (მეფის, სახელმწიფოსი, ხალხისა კონსტიტუციურ ქვეყნებში). მსახურების მეშვეობით იხვეჭს ადამიანი თავისუფლებას, ანუ „ღირსებას“, იმ შემთხვევაშიც თუ მამონას ემსახურება. ადამიანი სახელმწიფოს ღირსი უნდა გახდეს, მისი პრინციპებისა და მისი მორალური სულის. ის, ვინც სახელმწიფოს სულს ემსახურება, კარგი მოქალაქეა და შეუძლია საკუთარი თავი ნებისმიერ პროფესიას მიუძღვნას. მისი შეხედულებით „ნოვაგორები“ ცხოვრებაში ატარებენ „ზარალიანი ხელოვნების“ პრინციპს. მხოლოდ „მელუქნა“ „პრქტიკული“ და სული, რომელიც საჯარო სამსახურისკენ მიიღწევს, იმდენადვეა მელუქნისა, როგორც მისი, ვინც ცდილობს ცხვარი გაპარსოს კომერციული მიზნით ან სხვა გზით იყოს სასარგებლო საკუთარი თავისა თუ სხვებისთვის.

მაგრამ თუ ღირსეულნი თავისუფლები არიან (ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს თავისუფლება ბურჟუაზიისთვის, ვისაც კომფორტი უყვარს და კეთილსინდისიერად ასრულებს მოვალეობებს?), „მომსახურენიც“ თავისუფლები აღმოჩნდებიან. მორჩილი მსახური თავისუფალი ადამიანია! რა თვალისმომჭრელი სისულელეა! და მაინც, ეს არის ბურჟუაზიის განცდა, ხოლო მისმა პოეტმა გოეთემ, ისევე, როგორც მისმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა, წარმატებას მიაღწიეს სუბიექტის ობიექტზე დამოკიდებულების, ობიექტური სამყაროსადმი მორჩილების განდიდებაში. მოაზროვნეთა შორის მიზეზი გონია, რომელიც ეკლესიისა და სახელმწიფოს მსგავსად ზოგად კანონებს იძლევა, და პიროვნებას კაცობრიობის იდეის მარწუხებში აქცევს. ის განსაზღვრავს, რა არის „ჭეშმარიტი“, რის მიხედვითაც უნდა

იმოქმედოს ადამიანმა. არავინაა უფრო „ რაციონალური “ , ვიდრე ნამუსიანი მოსამსახურე, ვისაც პირველ რიგში უწოდებენ კარგ მოქალაქეს სახელმწიფოს მსახურის სახით.

გარყვნილი მდიდარი იქნები თუ ღარიბ-ღაგაკი - ბურჟუაზიული სახელმწიფო არჩევანს შენ გიგოვებს, მაგრამ „ მართებული მსოფლშეგრძნება “ უნდა იქონიო. ამას ითხოვს ის შენგან და მის გადაუღებელ ამოცანად მიიჩნევს აღნიშნულის დამკვიდრებას ყველგან. შესაბამისად, იგი დაგიცავთ „ ბოროტი განზრახვებისგან “ , ეყოლება რა კონგროლს ქვეშ „ ავის მდომელები “ და დააღუმებს რა მათ ფეთქებად ხმებს ცენზორებისა და მედია-ჯარიმებისა და საგუსალოების საშუალებით, მეორეს მხრივ კი ცენზორებად „ კეთილის მდომელ “ ადამიანებს დანიშნავს და ყველა გზით მოახდენს თქვენზე მორალურ გავლენას „ კეთილის მდომელი და კეთილის გამომხატველი “ ადამიანების მეშვეობით. თუ მან ყრუდ გაქციათ ბოროტი განზრახვებისადმი, ახლა იგი უფრო ბეჯითად მოგანიჭებთ ყურთასმენას კეთილისადმი.

ბურჟუას დროსთან ერთად იწყება ლიბერალიზმი.

ხალხს სურს იხილოს, რა არის „ რაციონალური “ , „ დროის შესაფერისი “ და ა.შ. ლიბერალიზმის შემდეგი განმარტება, რომელიც მისი ღირსების აღსანიშნავად იყო ნავარაუდვი, სრულად ახასიათებს მას: „ ლიბერალიზმი სხვა არაფერია, თუ არ რაციონალური ცოდნა, მისადაგებული არსებულ ურთერთობებს[6] “. მისი მიზანია „ რაციონალური წესრიგი “ , „ მნებობრივი ქმედებები “ და „ შემზღვეული თავისუფლება “ და არა ანარქია, თვითნებობა და ეგოიზმი. მაგრამ, სადაც გონება მეფობს, იქ პიროვნება ნებდება, ხელოვნება დიდი ხნის განმავლობაში არა მხოლოდ ცნობდა სიგონჯეს, არამედ მას აუცილებლად მიიჩნევდა საკუთარი არსებობისთვის და საკუთარ თავში იღებდა; მას ბოროტმოქმედი სჭირდება. რელიგიის სამფლობელოშიც, ექსტრემისტი ლიბერალები იმდენად შორს მიდიან, რომ სურთ ყველაზე რელიგიური ადამიანი მოქალაქედ მიიჩნეოდეს ანუ რელიგიურ ბოროტმოქმედად. მათ მეგად აღარ სურთ ერეგიკოსთა დენის ხილვა. მაგრამ „ რაციონალური კანონის “ წინააღმდეგ ვერავინ აჯანყდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უმკაცრესი სასჯელი ელის. ის, რაც ლიბერალიზმს სურს, არის არა პიროვნების ან მე-ს, არამედ გონების რეალიზაცია, გონების მბრძანებლობა, მბრძანებლობა. ლიბერალები ბილოგები[7] არიან, მაგრამ არა უშუალოდ რწმენის ან ღმერთის, არამედ, რაღა თქმა უნდა, გონების, მათი ბაგონისა. მათთვის მიუღებელია არაკეთილგონიერება და, შესაბამისად, თვითგანვითარება და თვითგამორკვევა. ისინი მეურვის როლს ისევე ეფექტურად ასრულებენ, როგორც ყველაზე აბსოლუტური მბრძანებლები.

რა უნდა გავიგოთ ჩვენ „ პოლიტიკური თავისუფლების “ ქვეშ? იქნებ პიროვნების დამოუკიდებლობა სახელმწიფოსა და მისი კანონებისგან? არა. პირიქით, პიროვნების მორჩილება სახელმწიფოსა და მისი კანონებისადმი. მაშ რატომ „ თავისუფლება “ ? რადგან პიროვნება აღარ არის გამიჯნული სახელმწიფოსგან შუამავლების დახმარებით, არამედ

მასთან პირდაპირ და უშუალო კავშირში იმყოფება, რადგან მავანი მოქალაქე წარმოადგენს, არა სხვისადმი მორჩილს, თუნდაც განპიროვნებული მეფისა, არამედ მისი, როგორც „სახელმწიფოს მთავრისა“ . პოლიტიკური თავისუფლება, ლიბერალიზმის ეს ფუნდამენტური დოქტრინა, სხვა არაფერია თუ არა პროტესტანტიზმის მეორე ფაზა და მიმდინარეობს „რელიგიური თავისუფლების“ პარალელურად. ან იქნებ მართებული იყოს ამ უკანასკნელის ქვეშ რელიგიის დამოუკიდებლობა გავიგოთ? ყველაფერი. გარდა ამისა. ყველაფერი, რისი გამოხატვაც მას სურს, არის შუამავალთა დამოუკიდებლობა, დამოუკიდებლობა მომრიგებელი მღვდელმსახურების, გაუქმება „ერისკაცობისა“ და, ამგვარად, მყისიერი კავშირი რელიგიასა ან ღმერთთან. მხოლოდ იმის დაშვებით, რომ მავანს რელიგია გააჩნია, შესაძლებელია რელიგიური თავისუფლება; რელიგიის თავისუფლება არ ნიშნავს რელიგიის გარეშე ყოფნას, არამედ რწმენის მიმართულობას შიგნით, ღმერთთან ურთიერთობას შუამავლის გარეშე. მისთვის, ვინც „რელიგიურად თავისუფალია“ , რელიგია გულისმიერი საქმეა, მისი საქმე, „უწმინდესი და სერიოზული საკითხია“ . ასევე, „პოლიტიკურად თავისუფალი“ ადამიანისთვის სახელმწიფო უწმინდესი და სერიოზული საკითხი, მისი გულის საქმე, მთავარი საქმე, მისი საქმეა.

პოლიტიკური თავისუფლება ნიშნავს, რომ პოლისი, ანუ სახელმწიფო, თავისუფალია. რელიგიის თავისუფლება ნიშნავს, რომ რელიგია თავისუფალია, სინდისის თავისუფლება ნიშნავს, რომ სინდისი თავისუფალია, და იმას არა, რომ მე ვარ თავისუფალი სახელმწიფოს, რელიგიის, სინდისისგან ან რომ მე თავს ვაღწევ მათ. ეს არ ნიშნავს ჩემს თავისუფლებას, არამედ თავისუფლებას იმ ძალისა, რომელიც ჩემზე ბატონობს და მიმორჩილებს. ეს ნიშნავს, რომ ერთ-ერთი ჩემი დესპოტი, როგორცაა სახელმწიფო, ეკლესია ან სინდისი, თავისუფალია. სახელმწიფო, ეკლესია და სინდისი, ეს დესპოტები მაქცევენ მე მონად და მათი თავისუფლება ჩემს მონობას უგოლდება. ის, რომ აღნიშნულში ისინი არიან მიმდევრები პრინციპისა „ მიზანი ამართლებს საშუალებას “ , თვითცხადია. თუ სახელმწიფოს კეთილდღეობა მიზანია, ომი - გამართლებული საშუალება; თუ სამართლიანობა სახელმწიფოს დასასრულია, თვითმკვლელობა - გამართლებული საშუალება, ცნობილი მისი წმინდა სახელით: „ აღსრულება “ . წმინდა სახელმწიფო ამართლებს ყველაფერს, რაც მისთვის ვარგისია. „ ინდივიდუალური თავისუფლება “ , რასაც სამოქალაქო ლიბერალიზმი მოშურნედ აღეგნებს თვალს, არასგმით არ ნიშნავს სრულ თვითგამორკვევას, რომლის მეშვეობით ქმედებები სრულიად ჩემად იქცევა, არამედ მხოლოდ პიროვნებათა დამოუკიდებლობას. ინდივიდუალურად თავისუფალი ის არის, ვინც არავის წინაშე პასუხისმგებელი. ამ გაგებით - და ჩვენ არ გვაქვს უფლება აღნიშნული სხვაგვარად გავიგოთ - არა მხოლოდ მბრძანებელია ინდივიდუალურად თავისუფალი და არაპასუხისმგებელი ადამიანების წინაშე („ ღმერთის წინაშე “ , როგორც ვიცით, იგი ცნობს პასუხისმგებლობას), არამედ ისინიც, ვინც „ პასუხისმგებელია მხოლოდ კანონის წინაშე არიან “ . მსგავსი თავისუფლება მიღწეულ იქნა საუკუნის რევოლუციური მოძრაობის წყალობით, კერძოდ კი ნება-სურვილის დამოუკიდებლობით ანუ *tel est notre plaisir*[8]. ვინაიდან კონსტიტუციურ ხელმწიფეს მთელი ინდივიდუალობა, ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების უფლება

ჩამორთმეული აქვს, მას, როგორც პიროვნებას, როგორც ინდივიდუალურ ადამიანს, არ შეუძლია სხვათა „ ინდივიდუალური თავისუფლების “ ხელყოფა. კონსტიტუციურ ხელმწიფეში მბრძანებლის ინდივიდუალური ნება გაუჩინარებულია. შესაბამისად, მართებულია ის განცდა, რომლითაც აბსოლუტური მონარქები ეწინააღმდეგებიან აღნიშნულს. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი „ ქრისტიანი ხელმწიფეები “ უნდა იყვნენ, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ამისთვის ისინი წმინდად სულიერ ძალად უნდა იქცნენ, რადგან ქრისტიანი მხოლოდ სულს ემორჩილება (“ ღმერთი სულია “). წმინდად სულიერი ძალა თანმიმდევრულად წარმოდგენილი მხოლოდ კონსტიტუციური ხელმწიფის მიერ არის, ვინც ყოველგვარი პირადი მნიშვნელობის გარეშე დგას განსულიერებული იმ ხარისხამდე, რომ იგი შეიძლება ამკარა, იღუმალ „ სულად “ იქნას მიჩნეული, როგორც იდეა. კონსტიტუციური ხელმწიფე ჭეშმარიტი ქრისტიანი ხელმწიფეა, ნამდვილი, ვინც ქრისტიანულ პრინციპებს აგარებს. კონსტიტუციურ მონარქიაში ინდივიდუალური მბრძანებლობა - ჭეშმარიტი მბრძანებელი, ვისაც ნებაავს - დასრულდა. შესაბამისად, აქ ინდივიდუალური თავისუფლებაა გაბაგონებული, დამოუკიდებლობა ყოველი ინდივიდუალური დიქტატორისა, ნებისმიერისა, ვისაც შეუძლია tel est notre plaisir მიბრძანოს. ეს გახლავთ დასრულებული ქრისტიანული სახელმწიფო ცხოვრება, განსულიერებული ცხოვრება.

ბურჟუაზიის ქცევა სრულად ლიბერალურია. სხვისი სფეროს ყოველ პერსონალურ შემოჭრას სამოქალაქო განცდის ამბობება მოჰყვება; თუ მოქალაქე ხედავს, რომ მავანი იუმორზე, სიამოვნებასა ან ნებაზეა დამოკიდებული, როგორც პიროვნება (არა უფლებამოსილი „ უზენაესი ძალის “ მიერ), მას წინა პლანზე ლიბერალიზმი გამოაქვს და კვილს რთავს „ თვითნებობის “ შესახებ. საერთოდ, მოქალაქე საკუთარ თავისუფლებას ამტკიცებს იმით, რასაც ბრძანება [Befehl] (დაქვემდებარება) ეწოდება: „ არავის შეუძლია ჩემთვის ბრძანებების მოცემა! “ ბრძანება იმ ამრის მაგარებელია, რომ მე უნდა გავაკეთო ის, რაც სხვა ადამიანის ნებას წარმოადგენს, როდესაც კანონი [Gesetz] არ განსაზღვრავს სხვის პერსონალურ ძალაუფლებას. ბურჟუაზიის თავისუფლება არის თავისუფლება ან დამოუკიდებლობა სხვა პიროვნების ნებისგან ანუ ე.წ. პერსონალური ანუ ინდივიდუალური თავისუფლება. პერსონალური თავისუფლება ნიშნავს ისეთ თავისუფლებას, როდესაც სხვა პიროვნებას არ შეუძლია ჩემი თავისუფლების შეზღუდვა ან ის, რაც მე შემიძლია გავაკეთო ან არ გავაკეთო, არ არის დამოკიდებული სხვა ადამიანის პირად ბრძანებაზე. მაგალითად, პრესის თავისუფლება ლიბერალიზმის იმგვარი თავისუფლებაა, როდესაც ლიბერალიზმი ებრძვის ცენზორულ ძალადობას, როგორც პირად თვითნებობას, მაგრამ სხვა შემთხვევაში უკიდურესად განწყობილსა და მსურველს წარმოადგენს პრესის გირანიბება მოახდინოს „ პრესის კანონდებლობის “ მეშვეობით. სამოქალაქო ლიბერალებს წერის თავისუფლება საკუთარი თავისთვის სურთ, რადგან, სანამ ისინი კანონმორჩილები არიან, მათი ნაწერები კანონს მათ წინააღმდეგ არ მიაქცევს. მხოლოდ ლიბერალური და კანონიერი საკითხების გამოქვეყნებაა ნებადართული. სხვა შემთხვევაში „ პრესის კანონდებლობა “ „ მედია-ჯარიმებით “ გვაფრთხობს. თუ მავანისთვის პირადი თავისუფლება უზრუნველყოფილია, იგი ვერ შეამჩნევს, როგორ, თუკი ახალი საკითხი წარმოიშობა, იქცევა

ყველაზე კამკაშა არა-თავისუფლება დომინანტად. მავანი თავს აღწევს ბრძანებებს და „ არავის შეუძლია ჩვენთვის ბრძანებების მოცემა “ , მაგრამ ადამიანი გაცილებით მეტად მორჩილი გახდა კანონისა. ადამიანი უკვე სათანადო კანონიერი ფორმით არის დამორჩილებული.

სამოქალაქო სახელმწიფოში [Bürger-Staat] მხოლოდ ისეთი „ თავისუფალი ადამიანები “ არსებობენ, ვინც ათასობით რაიმეს ემორჩილება (პატივისცემას, აღმსარებლობას და ა.შ.). მაგრამ რას ნიშნავს ეს ყოველივე? დიახ, ეს მხოლოდ სახელმწიფო, მხოლოდ კანონი იმორჩილებს მათ და არა ადამიანი!

რას ნიშნავს ბურჟუაზია, რომელიც გმობს ყველა პირად ბრძანებას, ყველა ბრძანებას, რომელიც „ მიგმსა “ [Sache] ან „ გონებაზე “ არ არის დაფუძნებული? ეს უბრალოდ „ მიგმის “ ინტერესიდან გამომდინარე ბრძოლაა „ პიროვნებათა “ მბრძანებლობის წინააღმდეგ! მაგრამ გონების მიგმები არის რაციონალური, კეთილი, კანონიერი და ა.შ. ანუ „ კეთილი მიგმები “ . ბურჟუაზიას უპიროვნო მბრძანებელი სჭირდება.

მეტიც, თუ პრინციპი ის არის, რომ მიგმმა უნდა მართოს ადამიანი, კერძოდ კი მნეობის მიგმმა, კანონიერების მიგმმა და ა.შ., მაშინ არც ერთის მიერ მეორისთვის ზიანის მიყენება უნდა იქნას უფლებამოსილი (როგორც უწინ, როდესაც ბურჟუაზიის მიუღწეველი იყო არისგოკორაგთა თანამდებობა, არისგოკრაგებისთვის - საჯარო ვაჭრობა და ა.შ.). თავისუფალი კონკურენცია აუცილებელია. მხოლოდ საგნის [Sache] მეშვეობით შეუძლია ერთ ადამიანს მეორის შევიწროვება (როგორც მდიდარი ადამიანი ავიწროვებს გაჭირვებულ ფულის - საგნის მეშვეობით) და არა პიროვნებისა. შესაბამისად, ერთადერთი ძალაუფლება, სახელმწიფოს ძალაუფლებაა ნებადართული. პიროვნულად აღარავინ წარმოადგენს სხვის ბატონს. უკვე დაბადებისას ბავშვები ეკუთვნიან სახელმწიფოს, ხოლო მშობლებს - მხოლოდ სახელმწიფოს სახელით, ვინც არ უშვებს შვილის მკვლელობას, მოითხოვს მათ ნათლობას და ა.შ.

მაგრამ, გარდა ამისა, სახელმწიფოს ყველა შვილი უკიდურესად თანასწორია მისი შეხედულებით („ სამოქალაქო ანუ პოლიტიკური თანასწორობა “) და მათ თავად უწევთ იმის განსაზღვრა, როგორი ურთიერთობა დაამყარონ ურთიერთთან: ისინი უნდა შეეჯიბრონ.

თავისუფალი კონკურენცია სხვა არაფერია, თუ არ ის ფაქტი, რომ ყველას შეუძლია იმოქმედოს სხვის წინააღმდეგ, ეკამათოს და ებრძოდეს სხვას. რასაკვირველია, ფეოდალური პარგია ბუნებრივად იყო დაცული აღნიშნულისგან, რადგან მისი არსებობა უკონკურენტო პირობებშია შესაძლებელი. რესტავრაციის პერიოდის საფრანგეთში დაპირისპირებას ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ბურჟუაზია კონკურენციას ესწრაფვოდა, ფეოდალები კი კორპორატიულ-მონოპოლური სისტემის დაბრუნებისთვის იბრძოდნენ.

კონურენციამ გაიმარჯვა, გაიმარჯვა კორპორატიული-მონოპოლური სისტემის წინააღმდეგ (მეგისათვის იხილეთ ქვევით).

რევოლუცია რეაქციით დასრულდა და ამან გვიჩვენა მისი რეალური არსი. ყოველი ძლიერი ძალისხმევა რეაქციას იწვევს, როდესაც საქმე გონივრულ ანალიზს ეხება და საწყის ქმედებაში მანამ მიიწევს წინ, სანამ გაბრუნებული, „წინდაუხედავია“ . „კეთილგონიერება“ ყოველთვის საკვანძო სიგყვა იქნება რეაქციის, რადგან იგი აწესებს საზღვრებს და ათავისუფლებს იმას, რაც ჭეშმარიტად სურდათ ანუ საწყისი „თავაშვებულობისა“ და „შეუკავებლობის“ პრინციპს. თავდაჯერებული ახალგაზრდები, შფოთისთავი სტუდენტები, ვისთვისაც უცხოა ყველა სახის შეხედულება, ჭეშმარიტი ბურჟუები არიან, რადგან მათთვის შეხედულებები წარმოადგენს ქცევის არსს. როგორც მეამბოხენი, ისინი შეხედულებებისადმი ნეგატიურად არიან განწყობილნი, მაგრამ როგორც ბურჟუები მოგვიანებით ნებლებიან მათ და დადებითი განწყობა უჩნდებათ. მათი ფიქრი და ქმედება ორივე შემთხვევაში „შეხედულებებს“ ეფუძნება, მაგრამ ბურჟუა რეაქციულად არის განწყობილი სტუდენტის მიმართ; ის არის თავდაჯერებული ახალგაზრდა, ვინც კეთილგონივრულ გააზრებაზე მივიდა, როდესაც ბურჟუა მეშხანია, რომელიც არ იაზრებს. ყოველდღიური გამოცდილება ადასტურებს ამ ფერიცვალებას და გვიჩვენებს, როგორ იქცევა მეამბოხე - ბურჟუად ჭაღარის მაგებასთან ერთად.

ამგვარადვე ადასტურებს გერმანიის ე.წ. რეაქცია, რომ ის მხოლოდ კეთილგონივრული გაგრძელება იყო თავისუფლების სამხედრო ბეიმისა.

რევოლუცია მიმართული იყო არა დამკვიდრებულის, არამედ დასამკვიდრებელის, კონკრეტული ესთაბლიშმენტის წინააღმდეგ. მან ეს მბრძანებელი მოიშორა და არა მბრძანებელი მოგადაღ - შესაბამისად, საფრანგეთი არნახული დესპოტიზმის უღელქვეშ აღმოჩნდა. მან ძველი ბიწიერი მთავარ-მართებელი მოაკვდინა, მაგრამ უბიწოებისთვის საიმედოდ დაცულის პოზიციის მინიჭება მოიწადინა ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ბიწიერების ღირსებით ჩანაცვლება ისურვა (ბიწიერება და ღირსება ერთმანეთისგან მხოლოდ ისე განსხვავდება, როგორც თავშეუკავებელი ახალგაზრდა და ბურჟუა).

რევოლუციური პრინციპი ღღემდე არ შეცვლილა: ესაა იერიშის მიგანა ერთ ან მეორე კონკრეტულ ისთაბლიშმენტზე ანუ რეფორმაგორობა. რამდენადაც გაუმჯობესება და მისთვის „კეთილგონივრული პროგრესის“ იარაღის მინიჭება შესაძლებელია, იმდენადვე მხოლოდ ახალი ბატონი გვყავს ძველის ნაცვლად, დამხობა კი შენებაა. ჩვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მოხუცი ბურჟუას განსხვავების ეგაპზე ვიმყოფებით. რევოლუცია ბურჟუაზიულ ყაიდაზე დაიწყო მესამე, საშუალო კლასის აჯანყებით; ბურჟუაზიულ ყაიდაზევე ხდება მისი გაუჩინარება. არა ინდივიდუალური ადამიანი - და მხოლოდ იგია ადამიანი - არამედ მოქალაქე, პოლიტიკური ადამიანი გათავისუფლდა, რომელიც სწორედ ამ მიზნით

წარმოადგენს არა ადამიანს, არამედ ადამიანის გვარის ერთგვარ ნიმუშს, უფრო კონკრეტულად კი ნიმუშს მოქალაქის, თავისუფალი მოქალაქის გვარისა.

რევოლუციაში არა პიროვნება ცვლიდა მსოფლიო ისტორიას, არამედ ხალხი; ხალხს, თავისუფალ ხალხს სურდა ყველაფრის მოხდენა. წარმოსახვითი მე, იდეა, როგორცაა ხალხი, მოქმედად გვევლინება. პიროვნებებს საკუთარი წვლილი ამ იდეის იარაღის სახით შეაქვთ და მოქმედებენ, როგორც „ მოქალაქეები “ .

ბურჟუაზიას აქვს ძალაუფლება და, იმავდროულად, აქვს შეზღუდვები - სახელმწიფოს ფუნდამენტური კანონის, წესდების, კანონმდებლობის [rechtlich] ან მთავარის სახით, რომელიც თავად მართავს „ რაციონალური კანონების “ მიხედვით და, შესაბამისად, სამართლიანობის უკმარობის სახით. ბურჟუაზიის პერიოდს სამართლიანობის ბრიგანული სული სცხია. პროვინციულ სამოგადობათა შეხვედრებზე ახსოვთ, რომ მათი უფლებები შეუზღუდავი არ არის, მათი მინიჭება კეთილგანწყობის საფუძველზე ხდება, ხოლო ჩამორთმევა - ათვალწუნებით. მას არასოდეს ავიწყდება მისი ხელობა. ერთმნიშვნელოვნად ვერ უარყოფთ იმას, რომ მამაჩემმა გამაჩინა; მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც მე გააჩნდი, მისი მიზნები ჩემთან დაკავშირებით მე სრულიად არ მალელებს და, მიუხედავად იმისა, თუ რისთვის მიხმო მან, მე ჩემი სურვილის მიხედვით ვმოქმედებ. შესაბამისად, მოწვეული ასამბლეაც საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისში მართებულად მიიჩნევა, რომ იგი დამოუკიდებელი იყო მომწვევისაგან. იგი არსებობდა, და უგუნური იქნებოდა თუ ის არ ისარგებლებდა არსებობის უფლებით და მამაზე დამოკიდებულად წარმოიდგენდა თავს. მოწვეულს აღარ უნდა ეკითხა: „ რა სურდა მომწვევს, როდესაც მე მქმნიდა? “ არამედ „ რა მსურს მე მას შემდეგ, რაც ძახილზე მოვედი “ . არც მომწვევი, არც წევრები, არც წესდება, რომლის შესაბამისად მოხდა სათათბიროს მოწვევა, არაფერი წარმოადგენს მისთვის წმინდა, ხელშეუხებელ ძალაუფლებას. იგი ყველაფერზეა უფლებამოსილი, რაც მის ძალებშია. მისთვის უცხოა შემზღუდავი „ უფლებამოსილება “ , მას არ სურს იყოს ლოიალური. ასეთი, თუ მსგავსი რამ საერთოდ შეიძლება იყოს მოსალოდნელი სათათბიროსგან, წარმოქმნის სრულიად ეგოისტურ სათათბიროს, დაშორებულს უმბილიკუმს და, შესაბამისად, იგი განუსჯელია. მაგრამ სათათბიროები ყოველთვის ღვთისმომშინი არიან და არავის უნდა გაუკვირდეს მათში ასეთი სანახევრო და გაუბედავი, სხვა სიგყვებით რომ ვთქვათ, ფარისევლური „ ეგოიზმის “ ზეიმი.

პარლამენტის წევრები იმ ფარგლებში უნდა რჩებოდნენ, რომლებიც მათთვის წესდების, მეფის და ა.შ. არის დადგენილი. თუ მათ არ სურთ ან არ შეუძლიათ ამის გაკეთება, ისინი უნდა „ გადადგნენ “ . რომელი კანონმორჩილი ადამიანი იმოქმედებდა სხვაგვარად, და საკუთარ თავს, შეხედულებებსა და ნებას დააყენებდა ყველაფერზე წინ? ვინ შეიძლება იყოს იმდენად უზნეო, რომ საკუთარი ინდივიდუალობა მოახვიოს სხვებს თავს სხეულისა, მასთან ერთად კი ყველაფრის განადგურების რისკის სანაცვლოდ? ადამიანები დიდ სიფრთხილეს ინარჩუნებენ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. რასაკვირველია, ადამიანი

საკუთარი ძალის ფარგლებშიც უნდა რჩებოდეს, რადგან არავის შეუძლია იმაზე მეტის გაკეთება, ვიდრე ძალა შესწევს. „ ჩემი ძალა ან, დაე, ასე იყოს, ჩემი უძლურება იყოს ჩემი ერთადერთი ბღვარი, მაგრამ უფლებამოსილება - მხოლოდ შემზღუდავი წესი? უნდა ვაღიარო ეს ყოვლის დამანგრეველი შეხედულება? არა, მე კანონმორჩილი მოქალაქე ვარ! “

ბურჟუაზია აღიარებს მნეობას, რომელიც ყველაზე ახლოს არის მის არსთან. ამ მნეობის პირველი მოთხოვნაა, რომ ადამიანს მდგრადი ბიზნესი გააჩნდეს, პაგიოსანი ვაჭრობა აწარმოოს და მნეობრივ ცხოვრებას მისდიოს. მისთვის უზნეოა გაიძვერა, ავანტიურისტი, ქურდი, მძარცველი, ბანქოს მოთამაშე, მდგომარეობის არმქონე ღატაკი, არასერიოზული ადამიანი. მამაცი ბურჟუა ამ „ უზნეო “ ადამიანთა წინააღმდეგ „ ღრმა აღშფოთების “ გრძნობებს ამკვიდრებს.

ვინაიდან იგი მოისაკლისებს ამ კეთილდღეობას, მდგრად საქმიანობას, რიგიან ცხოვრებას, ფიქსირებულ შემოსავალსა და ა.შ. იგი, რადგან მისი არსებობა მყარ საფუძველზე არ დგას, ეკუთვნის საშიშ „ ინდივიდუალებს ანუ იზოლირებულ პირებს “ , სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საფრთხის შემცველ პროლეგარიაგს. ისინი ინდივიდუალები არიან, ვინც არანაირ „ გარანტიას “ არ იძლევა, არაფერი აქვს „ დასაკარგი “ და შესაბამისად, არაფერს „ რისკავს “. ოჯახის შექმნა აბამს ადამიანს. ის, ვინც დაბოძლია, ცდილობს კეთილდღეობის შექმნას; მისთვის ხელის ჩაღება შესაძლებელია. განსხვავებულია მდგომარეობა მეძავეთან მიმართებით. ბანქოს მოთამაშე ყველაფერს თამაშში ღებს, ანადგურებს საკუთარ და სხვების ცხოვრებას - არანაირი გარანტია. ყველა, ვინც ბურჟუასთვის საეჭვო, მგრულად განწყობილი ან სახიფათოა, შესაძლოა ჩაგველ იქნას ერთ ცნებაში - „ უქნარა “. ცხოვრების ყველა „ უქნარული “ გზა მისთვის არასასიამოვნოა. ინგელექტუალური უქნარებიც არსებობენ, ვისაც მამებისგან მემკვიდრეობით მიღებული საცხოვრებელი მეღმეგად შემზღუდავად და ვიწროდ ეჩვენება, რათა შეინარჩუნოს სურვილი მომავალშიც დაკმაყოფილდეს შემზღუდავი სივრცით: ნაცვლად იმისა, რომ ამროვნების თავშეკავებული ფორმა შეინარჩუნონ და ურღვევად ჩათვალონ ჭეშმარიტება, რომელიც ათასობით ადამიანის კომფორტსა და სიმშვიდეს განაპირობებს, ისინი უგიფარი კრიტიკითა და ეჭვის მოუთოკავი მანიით გრადიციის ყველა ბღვარს გადადიან - ეს თავგუნება უქნარები. ისინი აყალიბებენ არასტაბილურ, დაუდგარ, მერყევ კლასს პროლეგარიაგისა, ხოლო როდესაც საკუთარ ცვალებად ბუნებას გამოხატავენ, „ ურჩ ყმაწვილებად “ იწოდებიან.

ასეთია პროლეგარიაგის ანუ უკიდურესი სიღატაკის ფართო მნიშვნელობა. რაოდენ უნდა ცლებოდეს მავანი, თუკი ირწმუნებს, რომ ბურჟუაზიას სურვილი აქვს შეძლებისამებრ აღმოფხვრას სიღარიბე! პირიქით, ჯეროვანი მოქალაქე თავს იმ შეუღარებლად მანუგემებელი შეხედულებით იმშვიდებს, რომ „ კეთილდღეობისათვის საჭირო საშუალებები არათანაბრადაა განაწილებული და მომავალშიც ასე ღარჩება - ღმერთის ბრძნული გადაწყვეტილების თანახმად. “ სიღარიბე, რომელსაც ჭეშმარიტი ბურჟუა ყოველ კუთხესთან ხვდება, აღარ აშფოთებს მას იმაზე მეტად, რომ მოწყალება გაიღოს, ან სამუშაო და საკვები

უშოვოს „ პატიოსან და წესიერ “ ახალგაზრდას. მაგრამ მის გუბობაში სიმწარე ერევა ახალი და უკმაყოფილო ღატაკების გამოჩენით, ღატაკებისა, ვინც აღარ ინარჩუნებს სიმშვიდეს და აღარ სურს არსებული მდგომარეობის აგანა, არამედ თავაწყვეტილი და დაუდგრომელი ხდება. დააგყვევით უქნარა, ჩააგდეთ არეულობის მთესველი მიწისქვეშა დილეგში! მას სახელმწიფოში „ უკმაყოფილების აღძვრა და არსებული წესების წინააღმდეგ ხალხის წაქეზება “ სურს - ჩაქოლეთ, ჩაქოლეთ!

ამ იდენტურ უკმაყოფილო პირთაგან მოდის შემდეგი სახის მსჯელობა: კარგი მოქალაქისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იცავს მათ და მათ პრინციპებს, აბსოლუტური ან კონსტიტუციური მონარქი თუ რესპუბლიკა, თუკი ისინი დაცულები არიან. და რა არის მათი პრინციპი, რომლის დამცველი მათ ასე „ უყვართ “ ? ეს არ არის შრომა; ეს არც დაბადებაა; ეს არის საშუალობა, ოქროს შუაგული ანუ მცირე შრომა და მცირე დაბადება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კაპიტალი, რომელსაც მოაქვს პროცენტი. კაპიტალი აქ ფიქსირებული, მოცემული, მემკვიდრეობით მიღებულია (დაბადება); პროცენტი - განხორციელებული ძალისხმევა (შრომა) ანუ სამუშაო კაპიტალია. მაგრამ არავითარი მომაგადასულობა, არავითარი მედმეგობა, არავითარი რადიკალიზმი! დაბადების უფლება - ცალსახად, მაგრამ მხოლოდ მემკვიდრეობითი საკუთრება; შრომა - ცალსახად, თუმცა მცირე ოდენობით მავანის მხრიდან ან სრულებით უშრომელობა, მაგრამ მუშაობა კაპიტალისა და ხელქვეითი მშრომელების.

როდესაც ეპოქა შეცდომებით არის აღსავსე, ზოგიერთები სარგებელს იღებენ ამ შეცდომებიდან, სხვები კი ზარალდებიან. შუა საუკუნეების ქრისტიანებს შორის გავრცელებული შეცდომა ის გახლდათ, რომ ეკლესიას უნდა ჰქონოდა სრული ძალაუფლება და სამყაროული ბატონობა. ეკლესიის მსახურებს ერისკაცებზე ნაკლებად არ სწამდათ ეს „ ჭეშმარიტება “ და ორივე მსგავსი შეცდომით იყო ცლუნებული. მაგრამ ეკლესიის მსახურებს მის მიხედვით ძალაუფლების უპირატესობა გააჩნდათ, როდესაც ერისკაცებს მორჩილება უნდა აეგანათ. ასე თუ ისე, როგორც გამოთქმა ამბობს: „ სიბრძნე განჯვასთან ერთად მოდის. “ საბოლოოდ ერისკაცებმა ისწავლეს სიბრძნე და აღარ სწამთ შუა საუკუნეთა „ ჭეშმარიტების “ . მსგავსი დამოკიდებულებაა ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის. ბურჟუასა და მშრომელს ფულის „ ჭეშმარიტება “ სწამთ. მათ, ვისაც იგი არ გააჩნია, არანაკლებად სწამთ ფულის მათზე, ვისაც იგი აქვს: შესაბამისად, ერისკაცებსაც და მღვდლებსაც.

სამოქალაქო [b ü rgerlich] ეპოქის ლომუნგია „ ფული მართავს მსოფლიოს “ . ღარიბი არისგოკრატი და ღარიბი მუშა, როგორც „ დაშრეგილები “ , აღარაფერს წარმოადგენენ პოლიტიკური თვალსაზრისით. დაბადება და შრომა არა, მაგრამ ფული იძლევა ძალმოსილებას [Geld gibt Geltung]. მართავენ მქონენი, მაგრამ სახელმწიფო ბრძის ღატაკთაგან „ მოსამსახურეს “ , ვისაც, მართვისადმი დამოკიდებულების პროპორციულად უხდის ხელფასს.

მე ყველაფერს სახელმწიფოსგან ვიღებ. გამაჩნია რაიმე სახელმწიფოს თანხმობის გარეშე? რაც მე ამის გარეშე გამაჩნია, იგი მას მართმევს, მყისიერად მას შემდეგ, რაც „კანონიერი უფლების“ უქონლობას აღმოაჩენს. შესაბამისად, მისი წყალობითა და თანხმობით არ გამაჩნია ყველაფერი?

ბურჟუაზია მხოლოდ ამას, კანონიერ უფლებას, ეყრდნობა. ბურჟუა იმას წარმოადგენს, რაც იგი სახელმწიფოს მიერ დაცვის მეშვეობით, სახელმწიფოს წყალობით არის. ის აუცილებელი წესით უნდა უფროსად იყოს ყველაფრის დაკარგვას, თუკი სახელმწიფო დაიშლება.

მაგრამ როგორია ვითარება მასთან მიმართებით, ვისაც არაფერი აქვს დასაკარგი ანუ პროლეტართან? რადგან მას არაფერი აქვს დასაკარგი, არც სახელმწიფოს მხრიდან დაცვა სჭირდება ამ „არაფრისთვის“. პირიქით, მან შესაძლოა სარგებელიც კი ნახოს, თუ პროტექტს სახელმწიფოსმიერ დაცვას ჩამოართმევს.

შესაბამისად, უქონელი სახელმწიფოს თვლის ძალად, რომელიც მქონეს იცავს და პრივილეგიას ანიჭებს ამ უკანასკნელს, მაგრამ მისთვის არაფერს აკეთებს, გარდა მისი სისხლის წოვისა. სახელმწიფო - ბურჟუას სახელმწიფოა [Bürgerstaat], ბურჟუას სამფლობელო. იგი აღადგინებს არა მისი შრომის, არამედ მისი მორჩილების („ლოიალობის“) შესაბამისად იცავს, კერძოდ კი შესაბამისად იმისა, მისთვის სახელმწიფოს მიერ მინდობილი უფლებების გამოყენება სახელმწიფოს სურვილის, ანუ კანონების შესაბამისად, ხდება თუ არა. ბურჟუაზიის რეჟიმის ქვეშ მუშები ყოველთვის მქონეთა ხელთ არიან, მათი, ვინც სახელმწიფოს რაღაც ნაწილს ფლობს (ხოლო ყველაფერი, რასაც სახელმწიფოში ფლობენ, ეკუთვნის სახელმწიფოს; პიროვნება მასში საზღაურს იხდის), განსაკუთრებით ფულსა და მიწას; ანუ კაპიტალისტების ხელთ არის. მუშას არ შეუძლია შეაფასოს საკუთარი შრომა ღირებულებით, რომელიც მას მომხმარებლისთვის აქვს. „შრომაში ცუდად იხდიან!“ უდიდეს მოგებას აქედან კაპიტალისტი იღებს. კარგად და კიდევ უკეთ უხდიან მხოლოდ იმ მუშებს, ვინც სახელმწიფოს ბრწყინვალეობას და ბაგონობას გაუგოლდა ანუ სახელმწიფოს მაღალმობელებს. სახელმწიფო კარგად უხდის „ჯეროვან მოქალაქეებს“ ანუ მქონეთ, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ ცუდად გადაიხადონ საფრთხის გარეშე. იგი საკუთარ თავს იცავს მოსამსახურეებისთვის კარგად გადახდით, ვისგანაც დამცავ ზღუდეს ანუ „პოლიციას“ ქმნის (პოლიციის ქვეშ იგულისხმება ჯარი, სხვადასხვა ოფიციალური პირები, იუსტიცია, განათლება და ა.შ., მოკლედ რომ ვთქვათ, „მთელი სახელმწიფო მანქანა“) „ჯეროვანი მოქალაქეებისთვის“, ხოლო ეს უკანასკნელნი სიხარულით იხდიან მაღალ გადასახადებს, რათა ესოდენ მცირე თანხები გადაუხადონ საკუთარ მუშებს. მაგრამ მუშათა კლასი, ვინაიდან იგი არსებითად დაუცველია (ისინი არ სარგებლობენ სახელმწიფოს მხრიდან დაცვით, როგორც მუშები, არამედ, როგორც მის ქვეშევრდომებს, წილი აქვთ პოლიციის მიერ გაწეულ მომსახურებაში, ანუ ე.წ. დაცვაში კანონის შესაბამისად), სახელმწიფოს, მქონეთა სახელმწიფოს, ამ „მოქალაქეთა სამეფოსადმი“ მგრულად განწყობილ ძალად რჩება. მისი

პრინციპი, შრომა, არ არის აღიარებული ღირებულებად; მას იყენებენ [ausgebeutet], მჭონეთა ამ ნადავლს [Kriegsbeute], მგერს.

მუშების ხელთაა უდიდესი ძალა და თუ ისინი ერთხელ მაინც სრულად გააცნობიერებენ მას და გამოიყენებენ, წინ ვერაფერი დაუდგებათ. მათ მხოლოდ შრომა უნდა შეწყვიტონ, შრომის პროდუქტი საკუთრად მიიჩნიონ და ისარგებლონ მისით. ეს გახლავთ არსი მუშათა არეულობისა, რასაც აქა-იქ აქვს ადგილი პერიოდულად.

სახელმწიფო შრომის მონურობას ეფუძნება. თუ შრომა თავისუფლება, სახელმწიფო ილუპება.

შენიშვნები

1 ↑ შიბოლეგი არის სიგყვა, რომლის სხვადასხვა ვერსიები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა კულტურული და ლინგვისტური ჯგუფების განსასხვავებლად. ამ შემთხვევაში იგი გამოიყენება სახელმწიფოს მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ზღვრის გასაყვებად.

2 ↑ ჟან-სილვენ ბეილი (1736-1793) - ცნობილი ასტრონომი და პარიზის მერი (1789-1791) საფრანგეთის რევოლუციის პირველ წლებში. გილიოტინაზე მოჰკვეთეს თავი 1793 წლის 12 ნოემბერს, ტერორის ზეობის ხანაში.

3 ↑ შარლ მორის დე გალეირან-პერიგო (1754-1838) - ოგონისა და ბარერის ეპისკოპოსი (1789-1791). შემდგომში იგი მარჯვე დიპლომატი იყო მრავალი მბრძანებლის სამსახურში (ლუი XVI, ნაპოლეონი, ლუი XVIII, შარლ X, ლუი-ფილიპე).

4 ↑ საფრანგეთის სამოგადოება იმ დროს სამ ფენად იყოფოდა: 1) კლერიკალები (პირველი ფენა); 2) წარჩინებულები (მეორე ფენა); 3) ჩვეულებრივი ხალხი (მესამე ფენა).

5 ↑ გრაფი მირაბო (1749-1791) - ძირითადი სპიკერი მესამე ფენის სახელით გენერალურ ასამბლეაში 1789-1791 წწ., საფრანგეთის რევოლუციის პირველ ფაზაში.

6 ↑ შტირნერს მოაქვს ციგაგა გეორგ ჰარვეგის ნაშრომის Ein und zwanzig Bogen aus der Schwei, ციურიხი და ვინტერგური, მე-12 გვერდიდან. გექსტი, რომელიც გერმანულ რადიკალთა ესსეებს შეიცავს, გერმანული პრესის ცენზურის გვერდის ასაყვებად შვეიცარიაში გამოქვეყნდა.

7 ↑ ზილოტები - იუდეის მეორე გაძრის პერიოდის (პირველი საუკუნე) პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ძალის გამოყენებით რომაელთა წინააღმდეგ აჯანყებისკენ მოუწოდებდა ხალხს.

8 ↑ tel est notre plaisir - ასეთია ჩვენი ნება (ფრ.).

სოციალური ლიბერალიზმი

ჩვენ თავისუფალი ადამიანები ვართ, მაგრამ ყოველი მხრიდან ვხედავთ, რომ ეგოისტთა მსახურებად გვაქციეს! ნუთუ ამის გამო ჩვენც ეგოისტებად უნდა ვიქცეთ? ღმერთო დაგვიფარე! სჯობს ისე გავაკეთოთ, რომ ეგოისტები აღარ არსებობდნენ. ამისთვის კი ყველა უნდა გაგაღარიბოთ: დაე, არავის არაფერი გააჩნდეს, რათა „ყველას“ ჰქონდეს. ასე ამბობენ სოციალისტები. ვინ არის ის პიროვნება, რომელსაც „ყველას“ უწოდებთ? ეს - „სამოგალოებაა“. ნუთუ მას ხორცი გააჩნია? ჩვენ ვართ მისი სხეული! თქვენ? მაგრამ თქვენ ხომ ხორცი არ ხართ? თუმცაღა შენ გაგაჩნია სხეული, შენც, და მასაც, მაგრამ ერთად თქვენ სხეულები ხართ და არა ერთიანი სხეული. ამიგომაც ერთიან სამოგალოებას შეუძლია საკუთარ სამსახურში ჩააყენოს სხეულები, მაგრამ მას არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი, ერთიანი სხეული. ის მხოლოდ „სულია“, როგორც პოლიტიკანთა „ერი“; მისი სხეული კი მხოლოდ აჩრდილია. ადამიანის თავისუფლება პოლიტიკური ლიბერალიზმის პრინციპების მიხედვით, არის თავისუფლება პიროვნებების, პიროვნებათა ბაგონობის, ბაგონისაგან. ეს არის თითოეული ცალკე აღებული პიროვნების დაცვა სხვა პიროვნებებისგან, ეს პირადი თავისუფლებაა. ვერავინ ვერაფერს გიბრძანებს: მხოლოდ კანონი მბრძანებლობს. მაგრამ თუკი გათანაბრდნენ კიდევაც პიროვნებები, მათი ქონება მაინც არ არის ასეთი. მაინც სჭირდება ღარიბი მდიდარს და მდიდარი ღარიბს: პირველს მეორის ფული სჭირდება, მეორეს - პირველის შრომა. შესაბამისად, არავის სჭირდება სხვისი პიროვნება, არამედ ერთმანეთის აუცილებლობას განიცდიან, როგორც ერთიმეორის მიმწოდებლები. შესაბამისად, ის აქცევს თითოეულს ადამიანად, რაც მას გააჩნია. მამულით ანუ „ქონებით“ არიან ადამიანები თანაბარნი. შესაბამისად, ასე ასკვნის სოციალური ლიბერალიზმი, არავის არაფერი არ უნდა გააჩნდეს, როგორც პოლიტიკურ ლიბერალიზმში, სადაც არავინ უნდა მბრძანებლობდეს, ანუ, როგორც უკანასკნელში მხოლოდ სახელმწიფოს ენიჭება მბრძანებლობის უფლება, ასევე პირველში მხოლოდ სამოგალოებას გააჩნია ქონება. იცავს რა პიროვნებასა და საკუთრებას ერთმანეთისგან, სახელმწიფო იმავდროულად აცალკევებს კიდევ მათ: ყველა თავისთვის და, რაც მას გააჩნია, მხოლოდ მისია. ვინც იმით კმაყოფილდება, რასაც იგი წარმოადგენს და რაც მას გააჩნია, რასაკვირველია ასეთი მდგომარეობით კმაყოფილი ღარჩება. მაგრამ მას, ვისაც სურს იყოს და ჰქონდეს მეტი, ამ „მეტს“ სხვა პიროვნებათა მფლობელობაში პოულობს. აქ კი ის წინააღმდეგობას ხვდება: როგორც პიროვნება, არავინ დგას სხვაზე მაღლა, და მაინც, ერთს გააჩნია ის, რასაც მოისაკლისებს სხვა ან რაც მას შეიძლებოდა, რომ ჰქონოდა.

შესაბამისად, ასკენის ის, ერთი პიროვნება მაინც მეგია მეორეზე, რადგან მას გააჩნია ის, რაც სჭირდება, მეორეს კი ეს არ აქვს; ერთი მდიდარია, მეორე - ღარიბი.

ღირს კი, განაგრძობს ის საკუთარი თავისთვის კითხვების დასმას, იმის აღდგენა, რაც ჩვენ სრული საფუძვლიანობით დავკრძალეთ: უნდა დავუშვათ თუ არა პიროვნებათა შემოვლითი გზით აღდგენილი უთანასწორობა? არა, პირიქით, ჩვენ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ ის, რაც სანახევროდ არის შესრულებული. სხვისი პიროვნებისგან ჩვენი თავისუფლება ჯერ კიდევ მოისაკლისებს თავისუფლებას იმისგან, რითიც ამ პიროვნებას მართვა შეუძლია, რასაც იგი განკარგავს, მოკლედ რომ ვთქვათ, „კერძო საკუთრებისგან“. ამიგომ კერძო საკუთრება უნდა გავანადგუროთ. ნურავის ნურაფერი ექნება, ყველა ღატაკი იყოს. დაე, საკუთრება უპიროვნო იყოს და ის საზოგადოებას ეკუთვნოდეს. უზენაესი მბრძანებლის, ერთმპყრობელი ბაგონის წინაშე ყველა გავეთანაბრდით, ყველა თანასწორი პიროვნებები ვართ, ანუ ნულები. უზენაესი მესაკუთრის წინაშე ყველა ერთნაირებად ვიქცეით ანუ ღატაკებად. ახლა კიდევ ერთი ადამიანი ჩაითვლება სხვის თვალში „ღატაკად“, „უქონელად“, შემდეგ კი ეს შეფასებას გაქრება და შეგვეძლება მთელ კომუნისტურ საზოგადოებას „ღატაკი“ ვუწოდოთ. თუკი პროლეტარი მართლაც განახორციელებს მის მიერ ნავარაუდევ „საზოგადოებას“, რომელშიც მდიდარსა და ღარიბს შორის განსხვავება წაშლილი იქნება, ის ღატაკად იქცევა, მაგრამ, ის ღატაკი იქნება შეგნებით, რომ ეს რაღაც ფრიად მნიშვნელოვანია: „ღატაკი“ საპატიო მიმართვად იქცევა, როგორც რევოლუციისდროინდელი „მოქალაქე“. ღატაკი - პროლეტარის იდეალია, მას სურს, რომ ყველა ღატაკად იქცეს. ეს - მეორე ძარცვაა „პიროვნებისა“ გამომდინარე „ადამიანურობის“ ინტერესებიდან. ერთპიროვნულ პიროვნებას აღარც მბრძანებლობის უფლება რჩება და აღარც საკუთრება: ერთი მას სახელმწიფომ ჩამოართვა, მეორე - საზოგადოებამ. ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებაში მძიმე ნაკლოვანებები ვლინდება, ჩაგრულები ანუ საზოგადოების უმდაბლესი ფენების წარმომადგენლები ამოცანად ისახავენ საზოგადოება აქციონ ისეთად, როგორიც ის უნდა ყოფილიყო. ძველი ამბავია: აქაც ყველაფერში ეძებენ ბრალეულობას, გარდა საკუთარი თავისა: სახელმწიფოში, მდიდართა ანგარებაში და ა.შ., მაშინ, როდესაც ყველაფერი ჩვენი ბრალეულობით ხდება. კომუნიზმის მსჯელობა და გამომდინარე დასკვნები უაღრესად მარტივია. არსებულ მდგომარეობაში, თანამედროვე სახელმწიფო პირობებში მიმდინარეობს ყველას ომი ყველას წინააღმდეგ და ამასთან უმცირესობა ბაგონობს უმრავლესობაზე. ასეთ პირობებში უმცირესობა ნეგარებაშია, როდესაც უმრავლესობა გაჭირვებას განიცდის. ამიგომ თანამედროვე მდგომარეობა ანუ სახელმწიფო უნდა განადგურდეს. რამ უნდა დაიკავოს მისი ადგილი? საყოველთაო კეთილდღეობამ, ყველას კეთილდღეობამ უნდა ჩაანაცვლოს ცალკეულ პიროვნებათა კეთილდღეობა. რევოლუციამ ბურჟუაზია ყოველისშემძლედ აქცია, ხოლო ყველა სახის უთანასწორობა იმით იქნა აღმოფხვრილი, რომ თითოეული ამაღლებულ ან დამცირებულ იქნა „მოქალაქის“ საფეხურამდე. უბრალო ადამიანი - ამაღლებულ იქნა, არისტოკრატი - დამცირებული; მესამე ფენა იქცა ერთადერთად, კერძოდ კი სახელმწიფოს მოქალაქეთა ფენად. ამის საწინააღმდეგოდ კომუნიზმი ამბობს: ჩვენი არსი და მნიშვნელობა იმაში კი არ არის, რომ ჩვენ სახელმწიფოს, ჩვენი დედის თანასწორი შვილები ვართ,

გაჩენილნი თანაბარი უფლებებით სიყვარულით მის დასაცავად, არამედ იმაში, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვარსებობთ. ამაშია ჩვენი თანასწორობა, ჩვენ იმით ვართ თანასწორები, რომ მე, ისევე, როგორც შენ და ნებისმიერი სხვა, „ემუშაობთ“ და ვჯახირობთ ერთმანეთისთვის ანუ იმაში, რომ ყოველი ჩვენგანი მშრომელია. საქმე იმაში კი არ არის, რომ სახელმწიფოსთვის იცხოვრო, იყო მოქალაქე, საქმე ჩვენს მოქალაქეობაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ყოველი ჩვენგანი სხვისი წყალობით არსებობს: როდესაც ვიღაც ჩემი საჭიროებებისთვის ზრუნავს, მე სხვათა საჭიროებებს ვაკმაყოფილებ. მაგალითად, ის ჩემს სამოსს ამზადებს (თერძი), მე კი მის გართობაზე ვზრუნავ (აკრობატი, კომედიათა ავტორი და ა.შ.); ის ჩემი საკვებისთვის ზრუნავს (მეურნე), მე კი მისი განათლების შესახებ (სწავლული და ა.შ.). შესაბამისად, ჩვენი ღირსება და ჩვენი თანასწორობა შრომაშია. მოაქვს თუ არა ჩვენთვის რაიმე სარგებლობა ბურჟუაზიას? არა, ის მხოლოდ გვირთად გვაწევს! ჩვენს შრომას როგორ აფასებენ? ყველაზე დაბალ ფასად: შრომა ჩვენი ერთადერთი ღირებულებაა; ის, რომ მშრომელები ვართ - ჩვენი საუკეთესო ნაწილია, ამაშია ჩვენი სამყაროული მნიშვნელობა, ამიტომაც ეს უნდა იქცეს ჩვენს სამომად, სრულად უნდა გამოვლინდეს. რა შეგიძლიათ დაგვიპირისპიროთ? შრომა, მხოლოდ შრომა. ვალდებულნი ვართ მხოლოდ თქვენი შრომა ავანაზღაუროთ და არა ის ფაქტი, რომ თქვენ არსებობთ; და არც ის, რომ თქვენ თქვენთვის ხართ, არამედ მხოლოდ ის, რასაც თქვენ ჩვენთვის წარმოადგენთ. რაში მდგომარეობს თქვენი უფლებები ჩვენზე? თქვენ წარმომავლობაში ხომ არა? არა, მხოლოდ იმაში, რომ თქვენ ჩვენთვის სასურველსა ან სასარგებლოს ასრულებთ. დაე, იყოს ასე: ჩვენ გვსურს, რომ მომავალშიც იმდენად გაგვაჩნდეს ღირებულება თქვენთვის, რამდენადაც თქვენთვის ვეწევით რაღაცის ჭაპანს, მაგრამ თქვენდამი ჩვენი დამოკიდებულებაც ასეთივე იქნება. ღირებულება საქმით განისაზღვრება, იმ სამუშაოთი, რომელსაც ჩვენთვის ღირებულება გააჩნია, ანუ სამუშაოთი ერთმანეთისთვის, ზოგადსასარგებლო სამუშაოთი. სხვის თვალში თითოეული მშრომელი უნდა იყოს ის, ვინც სხვისთვის რაიმე სასარგებლოს აკეთებს, სხვაზე დაბალი არ არის ანუ ყველა მშრომელი (მშრომელი „ზოგადსასარგებლოს“ მნიშვნელობით ანუ კომუნისტური მშრომელი) თანასწორია. ხოლო ვინაიდან მშრომელი ანაზღაურებით ფასდება, დაე, ისიც თანაბარი იყოს. სანამ ადამიანის ღირსებისა და პატივისთვის რწმენა იყო საკმარისი, შეუძლებელი გახლდათ პრეტენზია თუნდაც ყველაზე მძიმე შრომის წინააღმდეგ, თუკი ის ადამიანის რწმენას არ აშფოთებდა. მაგრამ ახლა, როდესაც თითოეულმა საკუთარ თავში ადამიანი უნდა გამოზარდოს, ადამიანის დატყვევება მექანიკური შრომით დამონების გოლფასია. თუ ფაბრიკის მუშა თორმეტი საათს ან მეტს, ძალების სრულ დამრეგამდე მუშაობს, ამით ის ადამიანურ ღირსებას კარგავს. ყოველი შრომის მიზანს ადამიანის კმაყოფილება უნდა შეადგენდეს. ამიტომ იგი მის ოსტატად უნდა იქცეს ანუ მისი სრულად შესრულება შეეძლოს. ის, ვინც, მაგალითად, ქინძისთვის კეთებისას მავთულს ჭიმავს ან თავებს ასვამს და ა.შ. ანუ წმინდად მექანიკურ სამუშაოს ასრულებს, ის მანქანად იქცევა; ის მუშად რჩება და არ იქცევა ოსტატად. მისი სამუშაო ვერ ანიჭებს მას კმაყოფილებას, იგი მხოლოდ ქანცს აცლის მას. მისი სამუშაო, თუკი მას ერთიანი წარმოებიდან გამოვაცალკევებთ, თავის თავში არანაირ მიზანს არ შეიცავს, არ წარმოადგენს რაიმე მთლიანს. მშრომელი მხოლოდ სხვისთვის შრომობს, ეს სხვა კი შრომის

პროლექტებით სარგებლობს (ექსპლოატაციას ეწევა). ასეთი დაქირავებული მშრომელისთვის არ არსებობს სულიერი სიამოვნება, უკეთეს შემთხვევაში მისთვის მხოლოდ უხეში სიამეა მისაწვდომი, ხოლო განათლება მიუწვდომელი. იმისათვის, რომ კარგი ქრისტიანი იყო, უნდა გწამდეს, რისი განხორციელება მხოლოდ უკიდურესად მძიმე პირობებშია შესაძლებელი. ამიტომაც ქრისტიანულად მოაზროვნე ადამიანები მხოლოდ ჩაგრული მშრომელის ღეთისმოსაობის, მისი მოთმინების, მორჩილებისა და ა.შ. შესახებ ზრუნავენ. სანამ ჩაგრული კლასები ქრისტიანებად რჩებოდნენ, მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ საშინელი გაჭირვების აგანა, რადგან ქრისტიანობის განცდიდან გამომდინარე საკუთარ თავში ახშობდნენ ღრგვინვასა და აღშფოთებას. მაგრამ ახლა მშრომელი აღარ კმაყოფილდება საკუთარ საჭიროებათა ჩახშობით, ის მათ განხორციელებას ითხოვს. ბურჟუაზიამ სამყაროული, მაგერიალური სიამოვნების სახარება გამოაცხადა, ახლა კი იმით არის გაკვირვებული, რომ ჩვენს, უბედურ ღაგაკებს შორის, მისი მოძღვრების მიმღევრები აღმოჩნდნენ. ბურჟუაზიამ გვიჩვენა, რომ არა რწმენა და სიღარიბე გვანიჭებს ნეგარებას, არამედ სიმდიდრე და განათლება. ეს ჩვენც, პროლეტარებმაც, გავაცნობიერეთ. ბურჟუაზიამ ცალკეულ პიროვნებათა თავნებობისა და ბრძანებებისგან გაგვათავისუფლა. მაგრამ შემორჩენილია თავნებობა, რომელიც გარემოებებზე დამოკიდებული, ის, რასაც შემთხვევითობა შეიძლება ვუწოდოთ: ჯერ კიდევ შემორჩენილნი არიან ბედნიერება და „ბედნიერი იღბლიანები“. თუ, მაგალითად, წარმოების რომელიმე დარგი იღუპება და ათასობით ადამიანი უმუშევარი რჩება, ცდილობენ იმის აღიარებით დაიძვინონ თავი, რომ დამნაშავე არა კონკრეტული პიროვნება, არამედ „შექმნილი პირობებია“. მაშ, შევცვალოთ პირობები, შევცვალოთ სრულად, რათა მათი შემთხვევითობა გადავლახოთ და კანონად ვაქციოთ იგი! ნუ დავრჩებით შემთხვევის მონებად! ახალი წესრიგი შევქმნათ, რომელიც ბოლოს მოუღებს მიწიერ რყევებს. წმინდა იყოს ასეთი წესრიგი! უწინ, რაიმეს მისაღწევად, ბაგონისთვის უნდა გეამებინა. რევოლუციის შემდეგ „ბედნიერების ძიებას“ შეუდგნენ! წარმატების ძიება და ამარგული თამაშები - ამბზე დაიყვანებოდა ბურჟუაზიის ცხოვრება. აღნიშნულს თან ერთვოდა მოთხოვნა, რომ რაიმეს მიღწევის შემდეგ არ ღირდა ამ ყველაფრით დაუფიქრებლად ფსონის გაკეთება. უცნაური და მაინც ფრიად ბუნებრივი წინააღმდეგობაა. კონკურენცია, რომელშიც მთელი ბურჟუაზიული და პოლიტიკური ცხოვრება თამაშდება, თავიდან ბოლომდე ამარგული თამაშია, საბირჟო სპეკულაციებით დაწყებული და თანამდებობისა და სამუშაოს, წოდებების ძიებისა და მევახშის თაღლითობის ჩათვლით. თუ კონკურენცის შევიწროება და გაცურება მოხერხდა, ე.ი. „იღბლიანი კარგი“ გამოვიდა. გამარჯვებულმა იღბალად უკვე ის ფაქტი უნდა ჩათვალოს, რომ მას ერგო უნარი, თუნდაც ბეჯითი შრომით მოპოვებული, და რომ სხვებს არ შეუძლიათ ამაში შეედარონ მას ანუ უფრო ნიჭიერები არ არსებობენ. ისინი, ვინც ყოველდღიურად თამაშობს ბედნიერებისა და იღბლის ამ თამაშს, კეთილშობილად აღშფოთდებიან, როდესაც მათი საკუთარი პრინციპი შიშვლდება ამარგული თამაშით და „უბედურება მოაქვს“. ამარგული თამაში მეგისმეგად ამკარა და დაუფარავი კონკურენციაა და, როგორც ყველა სახის სიშიშვლე, „სირცხვილის გრძნობას შეურაცხყოფს“. სოციალისტები ცდილობენ სასრული დაუწესონ შემთხვევის ასეთ კაპრიზს და ისეთი საზოგადოება შექმნან, რომელშიც ადამიანები აღარ იქნებოდნენ დამოკიდებულნი იღბალზე, და სანაცვლოდ თავისუფლება

მიენიჭებოდათ. დასაწყისში ეს განზრახვა ბუნებრივი ფორმით ვლინდება, როგორც „უბედურთა“ სიტულებილი „ილბლიანებისადმი“, ანუ მათი, ვისაც ილბალი არ აქვს, მათ მიმართ, ვისაც ყველგან ილბალი ახლავს თან. მაგრამ უკმაყოფილება, სწორედ რომ ვთქვათ, მიმართული უნდა იყოს არა ბელნიერთა, არამედ თავად ბელნიერების - ბურჟუაზიის ამ შავი ლაქისაკენ. ვინაიდან კომუნისტები ადამიანის არსის ქვეშ მხოლოდ თავისუფალ მოღვაწეობას აღიარებენ, მათ, როგორც სადაგი ამრთწყობის ყველა ადამიანს, საკუთარი კვირადღე სჭირდებათ, მათი ცხოვრება, როგორც ყოველგვარი სახის მაგერიალური სწრაფვა, ღმერთსა და სულიერ აღმასვლას მოითხოვს „შრომასთან“ ერთად, რომლისთვისაც უცხოა სულიერება. ის, რომ კომუნისტი შენში ადამიანსა და ძმას ჭკვრებს, ეს კომუნისტების საკვირაო მხარეა. სადაგი მხრიდან კი კომუნისტი არა როგორც მხოლოდ ადამიანს გიმზერს, არამედ როგორც მშრომელს ადამიანის სახით, როგორც მშრომელ ადამიანს. პირველ პრინციპში ლიბერალური შეხედულებაა ჩადებული, მეორეში კი ანტილიბერალიზმში იმალება. შენ რომ „მარმაცი“ იყო, მაშინ ის, აღიარებდა რა შენში ადამიანს, შეეცდებოდა შენი სიმარმაციის აღმოფხვრას და ჩაგაგონებდა, რომ შრომა - ადამიანის „მოწოდება და დანიშნულებაა“. ამ მიზნით კომუნისტში ორსახოვანია: ერთი იმას აღევენებს თვალყურს, რომ ადამიანის სულიერი საწყისი იყოს დაკმაყოფილებული, მეორე კი მაგერიალურისა და ხორციელის დაკმაყოფილებას აკვირდება. ის ადამიანს ორგვარ ვალდებულებას აკისრებს: მაგერიალური და სულიერი შენაძენისა. ბურჟუაზიამ ყველას მიანიჭა სულიერი და მაგერიალური სიამისკენ თავისუფლად სწრაფვის შესაძლებლობა. კომუნისტში მართლაც ყველას ანიჭებს მას, მაგრამ აიძულებს, რომ მათ იგი შეიძინონ. ის ამტკიცებს, რომ ჩვენ უპირობოდ უნდა შევიძინოთ ეს სიამენი, რადგან მხოლოდ სულიერი და მაგერიალური სიამენი გვაქცევს ჩვენ ადამიანებად. ბურჟუაზიამ შეძენას თავისუფლება მიანიჭა, კომუნისტში კი ამას გვაიძულებს და მხოლოდ შემძენს, ხელოსანს აღიარებს. საკმარისი არ არის, რომ ხელობა თავისუფალი იყოს - შენ მას ჯერ კიდევ უნდა დაეუფლო. კრიტიკამ კი ის უნდა დაამტკიცოს, რომ ამ სიამეთა შეძენა სულაც არ გვაქცევს ადამიანებად. ლიბერალიზმის იმ მცნებასთან ერთად, რომ თითოეულმა უნდა შექმნას საკუთარი თავისგან ადამიანი, ანუ თავი აქციოს ადამიანად, წარმოიშვა აუცილებლობა საკმარისი დროის მოპოვებისა საკუთარ თავზე სამუშაოდ. ბურჟუაზია აღნიშნულის მიღწევას ყველა ადამიანური სიამისთვის სრული კონკურენციის შემოღების გზით ცდილობდა, იმავდროულად კი ყველას აძლევდა უფლებას ყოველივეზე, რისი მიღწევაც ადამიანს შეეძლო. „ყველასათვის ნებადართული ყველაფრისკენ ლტოლვა“. სოციალური ლიბერალიზმში თვლის, რომ „ნებადართული“ არ არის საკმარისი, რადგან „ნებადართული“ ნიშნავს, რომ არავისთვისაა აკრძალული, მაგრამ იმას არა, რომ ყველას მიენიჭა მოპოვების შესაძლებლობა. ამ მიზნით იგი ამტკიცებს, რომ ბურჟუაზია ლიბერალური მხოლოდ სიგყვით არის, საქმე საქმეზე რომ მიდგება კი უკიდურესად ანტილიბერალურია. ის კი - სოციალური ლიბერალიზმში - ყველას მოგვანიჭებს საკუთარ თავზე მუშაობის შესაძლებლობასა და საშუალებებს. შრომის პრინციპს ყველა შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ილბლის ან კონკურენციის პრინციპთან შედარებით. მაგრამ ამასთან ერთად მუშა იმსჭვალება შეგნებით, რომ ყველაზე არსებითი მასში - „მუშა“, ის დისგანცირდება ეგოიზმისგან და მუშათა ასოციაციას ექვემდებარება,

როგორც კონკურენციის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფოს ერთგული ბურჟუა. გრძელდება შესანიშნავი ოცნება „სოციალური ვალდებულების“ შესახებ. კვლავ წარმოუდგენიათ, რომ საზოგადოება ჩვენ გვაძლევს იმას, რაც გვჭირდება, და ამიგომ ჩვენ მის წინაშე ვალში ვიმყოფებით[1]. კვლავ რჩება წადილი „ემსახურო ყველა სიამის უბნაეს მბობებელს.“ ის, რომ საზოგადოება სრულებით არ ვარ მე, რომელიც შეძლებდა გაცემას, განაწილებასა და აღსრულებას, არამედ, რომ ის ინსტრუმენტი ან საშუალებაა, რომლისგანაც ჩვენ სარგებელს მივიღებდით; რომ ჩვენ არ გაგვანია საზოგადოებრივი ვალდებულებები და რომ მხოლოდ ინტერესები გვაქვს და საზოგადოება უნდა დაგვეხმაროს მათ მიღწევაში, რომ ჩვენ არაფერი უნდა შევწიროთ მსხვერპლად საზოგადოებას, ხოლო თუ რამეს ვწირავთ, ამას მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვაკეთებთ, - ყოველივე აღნიშნულის შესახებ სოციალისტები არ ფიქრობენ, რადგან ისინი, ლიბერალების მსგავსად, რელიგიური პრინციპის გყვეობაში იმყოფებიან და თავგამოდებით ილგვიან... წმინდა საზოგადოების კენ, როგორსაც ღღემდე სახელმწიფო წარმოადგენდა! საზოგადოება, რომლისაგან ვიღებთ ჩვენ ყველაფერს, ახალი ბატონია, ახალი აჩრდილი, ახალი „უბნაესი არსი“, რომლის „სინდისიერი მსახურება ჩვენი ვალია.“ პოლიტიკური, ისევე, როგორც სოციალური ლიბერალიზმის უფრო ზუსტი შეფასება ქვევით იქნება მოცემული. ახლა კი ერთიცა და მეორეც ჰუმანური ანუ კრიტიკული ლიბერალიზმის სამსჯავროს წინაშე შევაფასოთ.

შენიშვნები

1 ↑ პრულონი „Creation de l'ordre“-ში წამოიძახებს: „პირველი, უწმინდესი ვალდებულება, როგორც წარმოებაში, ისე მეცნიერებაში - ყოველი გამოგონების გასაჯაროებაა.“

ჰუმანიტარული ლიბერალიზმი

ვინაიდან ლიბერალიზმი სრულად იშრიტება საკუთარი თავის მაკრიტიკებელ „კრიტიკულ“ ლიბერალიზმში და თან კრიტიკოსი ლიბერალად რჩება და არ სცდება ლიბერალიზმის პრინციპს - ადამიანს, შეგვიძლია ლიბერალიზმის ამ სახეობას სახელწოდება „ადამიანის“ მიხედვით, ვინც უპირატესად წარმოადგენს მისი ინტერესის სფეროს, მივანიჭოთ და ვუწოდოთ „ჰუმანიტარული“ ან „ჰუმანური“. ჰუმანიტარული ლიბერალიზმი ასე მსჯელობს. მუშა მაგერიალისგად და ეგოისტად ითვლება. იგი არაფერს აკეთებს კაცობრიობისათვის, არამედ მხოლოდ საკუთარი თავით არის დაკავებული. გამოაცხადა რა ადამიანი მხოლოდ დაბადებიდან თავისუფალად, ბურჟუაზიამ იგი სხვა ყველაფერში ურჩხულის (ეგოისტის) კლანჭებში დაგოვა. ამიგომ პოლიტიკური ლიბერალიზმის რეჟიმის დროს ეგოიზმს ფართო სამოქმედო არეალი რჩებოდა. ბურჟუაცა და მუშაც საკუთარი ეგოისტური მიზნებისთვის იყენებენ: ერთი - სახელმწიფოს, მეორე კი საზოგადოებას. შენ ერთადერთი, ეგოისტური მიზანი გაქვს, საკუთარი კეთილდღეობა, - საყვედურობს ჰუმანისტი სოციალისტს. წმინდად ადამიანური ინტერესისთვის იბრძოლე და მე შენი თანამგზავრი ვიქნები. „მაგრამ ამისთვის უფრო ძლიერი, უფრო ყოვლისმომცველი შეგნებაა საჭირო, ვიდრე მუშის თვითშეგნებაა. მუშა არაფერს აკეთებს, ამიგომ მას არაფერი გააჩნია, მაგრამ არაფერს იმიგომ აკეთებს, რომ მისი სამუშაო ერთჯერადია, ის პირად მოთხოვნილებაზეა გათვლილი, სადაგია. [2]“ ამაზე

შემდეგის თქმა შეიძლება პასუხად: გუგენბერგის შრომა არ ღარჩა ერთჯერადად, არამედ მრავალი ბავშვი შვა და დღემდე არსებობს: ის ადამიანის მოთხოვნილებებზე იყო გათვლილი და ის მარადია. ჰუმანიტარულ ცნობიერებას სძულს, როგორც ბურჟუაზიული, ისე მუშური შეგნება, რადგან ბურჟუა „განრისხებული“ მაწანწალებით (იგულისხმება ყველა, „ვისაც კონრეტული საქმე არ გააჩნია“), ისევე, როგორც მათი უზნეობით, მუშა კი „აღშფოთებულია“ ბარმაცებითა და მათი შეხედულებებით, რომლებიც „უზნეონი“ მათი ექსპლოატატორული და ანგისამოგადობრივი ხასიათით არიან. ამ ყოველივეს ჰუმანისტი შემდეგს პასუხობს. სიმარმაცე - ეს შენი პროლექტია, ფილისტერო! მაგრამ ის, პროლეტარო, რომ შენ გსურს ყველას ქანცი წყდებოდეს და იგანჯებოდეს, მოდის შენი ჩვევიდან, იყო სასაპალნე პირუტყვი. რასაკვირველია, იმით, რომ გსურს ყველა თანაბრად იგანჯებოდეს, შენ თავად განჯვის შემსუბუქება გინდა, მაგრამ შენი მიზანი - ყველასთვის ერთნაირი მოცალეობის უზრუნველყოფაა. მაგრამ რას იზამენ ისინი მოცალეობის ქამს? რას აკეთებს შენი „სამოგადოება“, რომ ეს თავისუფალი ღრო ადამიანურად იქნას გამოყენებული? მან ეს შეტენილი მოცალეობა ეგოისტურ კაპრიზს უნდა მიანიჭოს, და სწორედ ის მოგება მოდის ეგოისტის წილად, რომელსაც შენი სამოგადოება ნახულობს, ისევე, როგორც ის, რასაც ბურჟუაზიამ მიღწია - ადამიანის ადამიანზე ბაგონობის განადგურება - სახელმწიფომ ვერ ადავსო წმინდად ადამიანური შინაარსით და ამიგომ ნებაზე მიუშვა. რასაკვირველია, აუცილებელია, რომ ადამიანი არავის ემორჩილებოდეს, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ეგოისტი იქცეს ადამიანის ბაგონად, არამედ აუცილებელია, რომ ადამიანმა დაიმორჩილოს ეგოისტი. რასაკვირველია, ადამიანს სჭირდება თავისუფალი ღრო, მაგრამ თუ მას ეგოისტი იყენებს, ის აღარ ხვდება ადამიანს, და ამიგომ აუცილებელია, რომ მოცალეობაში ადამიანური აზრი შევიგანოთ. მაგრამ თქვენს სამუშაოსაც, მუშებო, თქვენ იმიგომ ასრულებთ, რომ ჭამა, სმა და ცხოვრება გსურთ, ანუ ეგოისტური მიზნებიდან გამომდინარე. როგორღა არ უნდა ღარჩეთ ეგოისტებად დასვენების ღროს? თქვენ მხოლოდ იმისთვის მუშაობთ, რომ შესრულებული სამუშაოს შემდეგ კარგად დაისვენოთ, ხოლო ის, რითიც თქვენ თავისუფალ ღროს შეავსებთ, იღბალს აქვს მინდობილი. იმისათვის, რომ ეგოიზმის წინაშე ყველა კარი ჩარაბოთ, სრულიად „უანგარო“ საქციელია საჭირო, აუცილებელია ყოველგვარი ანგარებითი ინგერესის გაქრობა. მხოლოდ ესაა ადამიანური, რადგან მხოლოდ ადამიანი მოქმედებს უანგაროდ, ეგოისტი კი ყოველთვის პირად ინგერესს ითვალისწინებს. ჯერ-ჯერობით „უანგარობის“ შესახებ კამათს არ შევეუდგებით, და ნაცვლად ამისა ვიკითხავთ: მაშ ასე, შენ არაფერში გსურს პირადი ინგერესის ძიება, არაფრით გსურს აღმაფრენა - არც თავისუფლებით და არც კაცობრიობით? „რა თქმა უნდა, მსურს, მაგრამ ეს არა ეგოისტური ინგერესია, არა ანგარებითი, არამედ წმინდად ადამიანური ანუ თეორიული; ეს არ არის ინგერესი ვინმე ცალკეულის ან ცალკეულებისადმი („ყველასადმი“), არამედ იდეის, ადამიანისადმი!“ ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ საკუთარი იდეით, თავისუფლების საკუთარი იდეით ხარ შთაგონებული? და კიდევ, ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ შენი უანგარობა, ისევე, როგორც რელიგიური - მეციური ხასიათის დაინგერესებაა? ცალკეული პიროვნების კეთილდღეობისადმი შენ გუგრილი ხარ, განყენებულად წამოძახებასაც კი შეძლებდი: fiat libertas pereat mundus[3]! შენ არც ხვალინდელი ღლის შესახებ ზრუნავ და, საერთოდაც,

ცალკეული პიროვნების საჭიროებები არ გადარდებს, ისევე, როგორც საკუთარი კეთილდღეობა, მაგრამ ეს ყველაფერი შენთვის უმნიშვნელო იმიტომ არის, რომ შენ მეოცნებე ხარ. ნუთუ ადამიანთმოყვარე იმდენად ლიბერალურია, რომ ყველაფერი სავარაუდოდ ადამიანური ადამიანურად გაასაღოს? პირიქით! მაგალითად, არ იზიარებს რა ფილისტერის წინასწარშექმნილ ამრს მეძავის შესახებ, მას მაინც სტულს იგი, „როგორც ადამიანი“, იმისათვის, რომ „ამ ქალმა საკუთარი სხეული ფულის საშოვნელ მანქანად აქცია.“ იგი ასე მსჯელობს: მეძავი - არ არის ადამიანი, ან: რამდენადაც ქალი მეძავია, იმდენად არაადამიანური, უადამიანოა. შემდეგ: ებრაელი, ქრისტიანი, პრივილეგირებული, თეოლოგი და ა.შ. - მათგან არც ერთი არ არის ადამიანი, რადგან შენ - ებრაელი, ქრისტიანი და ა.შ. არ ხარ ადამიანი. აქ ისევ კატეგორიულ პოსტულატთან გვაქვს საქმე: განიშორე ყოველივე განკერძოებული. ნუ იქნები ებრაელი, ქრისტიანი და ა.შ. არამედ იყავი ადამიანი, მხოლოდ ადამიანი. დაამკვიდრე შენი ადამიანობა მისი შემზღველადი ყველა დანიშნულების წინააღმდეგ, აქციე საკუთარი თავი მისი მეშვეობით ადამიანად, რომელიც თავისუფალია დაბრკოლებებისგან, აქციე საკუთარი თავი „თავისუფალ ადამიანად“, ანუ შეიცანი ადამიანობა, როგორც შენი განმსაზღვრელი არსება. მე ვამბობ: თუმცა შენ მეგი ხარ, ვიდრე ებრაელი, ქრისტიანი და ა.შ., მაგრამ შენ ასევე ადამიანზე მეციც ხარ. ეს ყველაფერი - იდეებია, შენ კი სხეული გაგაჩნია, ნუთუ ფიქრობ, რომ ოღესმე შეძლებ იქვე „ადამიანად, როგორც ასეთად“? ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ჩვენს შთამომავლებს ცრურწმენები და დაბრკოლებები არ დარჩებათ, რომელთა გასანადგურებლად ჩვენ ძალები არ გვეყოფ? ან იქნებ იმის გწამს, რომ ორმოცი ან ორმოცდაათი წლის ასაკში ისეთ სიმაღლეს მიაღწევ, რომ აღარაფერი გექნება საკუთარ თავში აღმოსაფხვრელი და უკვე „ადამიანად“ იქნები ქცეული? არა, ჩვენი შთამომავლები იმ თავისუფლებისთვის იბრძობდნენ, რომლის საჭიროებას ჩვენ ვერც კი ვგრძნობდით. რად გინდა შენ ის დაგვიანებული თავისუფლება? შენ რომ სურვილი არ გქონოდა, რაიმეს გამოისობით გეცა საკუთარი თავისთვის პატივი, სანამ ადამიანად იქცეოდი, მაშინ „მეორედ მოსვლამდე“ მოგიწევდა ლოდინი, იმ დღემდე, როდესაც ადამიანი ან კაცობრიობა სრულყოფილებას მიაღწევდა. მაგრამ ვინაიდან შენ უეჭველად უფრო ადრე მოკვდები, სად არის შენი ჯილდო გამარჯვებისთვის? ამიგომაც ყოველივეს განსხვავებულად შეხედე და თქვი: მე ადამიანი ვარ! მე არ მჭირდება, რომ საკუთარი თავიდან ადამიანი შევქმნა, რადგან ის უკვე ჩემშია, როგორც ჩემი ყველა თვისება. კრიტიკოსი კითხვას სვამს: როგორ არის შესაძლებელი, რომ ერთდროულად ადამიანიც იყო და ებრაელიც? პირველ რიგში, ვუპასუხებ მე, საერთოდ შეუძლებელია იყო ებრაელი ან ქრისტიანი, თუკი ყოფიერება და, ებრაელი ან ადამიანი, ერთსა და იმავეს ნიშნავს; ყოფიერება ყოველთვის ყველა სახის განსაზღვრებას სცდება და შშული, როგორი ებრაელიც არ უნდა იყოს ის, ებრაელი, მხოლოდ ებრაელი უკვე იმიტომ ვერ იქნება, რომ ის არის ეს ებრაელი. მეორე: ყველა შემთხვევაში ვერ იქნები ადამიანი, როგორც ებრაელი, თუ ადამიანად ყოფნა ნიშნავს არ იყო რაიმე განკერძოებული. მესამე, და ყველაფერი სწორედ აქ იყრის თავს, მე ებრაელი შეიძლება ვიყო მხოლოდ ისე, როგორც მე შემიძლია ვიყო ასეთი. არა მგონია იმას ელოდეთ მოსეს ან სამუელისგან, რომ ისინი საკუთარ ებრაელობაზე ამაღლდებიან, თუმცა ის უნდა თქვათ, რომ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ „ადამიანები“. ისინი მუსგად ის იყვნენ, რაც შეეძლოთ რომ

ყოფილიყვნენ. ნუთუ ასევე ღვას საკითხი თანამედროვე ებრაელებთან მიმართებით? გამომდინარეობს თუ არა იქედან, რომ თქვენ კაცობრიობის იღვა აღმოაჩინეთ, ის, რომ ყველა ებრაელი ამ რწმენაზე უნდა მოექცეს? თუ ის შეძლებს ამის გაკეთებას, ის გააკეთებს, თუ არა - ე.ი. არ შეუძლია. რა საქმე აქვს მას თქვენს განცხადებებთან ან ადამიანად ყოფნის მოწოდებასთან, რომელსაც თქვენ მას თავს ახვევთ? „ადამიანურ სამოგალოებაში“, რომელსაც „ჰუმანურები“ გვპირდებიან, არაფერი არ უნდა იქნას აღიარებული იქედან, რაც ამა თუ იმ ადამიანს აქვს „განსაკუთრებული“, არაფერს უნდა გააჩნდეს ღირებულება, რაც „კერძოს“ ხასიათს ატარებს. ამგვარად, სრულად იკვრება ლიბერალიზმის წრე, რომელიც ადამიანსა და ადამიანის თავისუფლებაში სიკეთის საკუთარ პრინციპს ჭვრეტს, ხოლო ეგოისტსა და ყოველივე კერძოში - ბოროტების საკუთარ პრინციპს, პირველში - საკუთარ ღმერთს, მეორეში - ეშმაკს; და თუ „სახელმწიფოში“ განცალკევებული ანუ კერძო პიროვნება კარგავს მის ფასეულობას (არავითარი პირადი უპირატესობა), ხოლო „მუშათა ანუ ღაგაკ სამოგალოებაში“ მნიშვნელობას კარგავს ყოველგვარი განკერძოებული საკუთრება, „ადამიანურ სამოგალოებაში“ არაფერი კერძო და განცალკევებული არ მიიღება მხედველობაში და, როდესაც „წმინდა კრიტიკა“ დაასრულებს მძიმე შრომას, მაშინ ისწავლიან, რას უწოდონ კერძო და რად იქცევიან „არაფრად ქცეულ გრძობაში“, და ეს ყველაფერი ძველებურად უნდა დაიცვან. ვერც სახელმწიფო და ვერც სამოგალოება ვერ აკმაყოფილებენ ჰუმანიტარული ლიბერალიზმის მოთხოვნებს, რის გამოც იგი ორივეს უარყოფს - და იმავდროულად ინარჩუნებს მათ. ამგვარად, იცყვიან, რომ „ღროის ამოცანა არა პოლიტიკური, არამედ სოციალურია“, შემდეგ კი კვლავ დაგვპირდებიან სამომავლო „თავისუფალ სახელმწიფოს“. სინამდვილეში კი „ადამიანური სამოგალოება“, ისიცა და ესეც - საყოველთაო სახელმწიფო და საყოველთაო სამოგალოებაა. ოღონდ შეზღუდულ სახელმწიფოს იმას საყვედურობენ, რომ ის კერძო ადამიანთა სულიერ ინტერესებს (მაგალითად, რელიგიურ რწმენას) მეგისმეგად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო შეზღუდულ სამოგალოებას - რომ ის კერძო პიროვნებათა მაგერიალური ინტერესებით არის დაკავებული. ყველა კერძო ინტერესი კერძო პიროვნებებს უნდა გადაეცეთ და, როგორც ადამიანურმა სამოგალოებამ, მხოლოდ ზოგადადადამიანური ინტერესებისათვის ვიბრუნოთ. პირადი ნებისა და თვითნებობის განადგურებისას პოლიტიკოსებმა ვერ შეამჩნიეს, რომ საკუთრების წყალობით თვითნებობა დამკვიდრდა. საკუთრების ჩამორთმევით კი სოციალისტები ვერ ამჩნევენ, რომ მისი შენარჩუნება განცალკევებულობაში ხდება. ნუთუ მხოლოდ ფული და ქონებაა საკუთრება და არა ყოველი შეხედულება - ჩემი, საკუთარი[4]? ამიგომაც ყველა შეხედულება უნდა განადგურდეს, იგი უპიროვნოდ უნდა იქცეს. ცალკეულ პიროვნებას არ ეგების შეხედულების ქონა, და როგორც საკუთრება გადაეცა სახელმწიფოს, ასევე უნდა გადაეცეს შეხედულება სამოგალოებას, „ადამიანს“ და ის ზოგადსაკაცობრიო შეხედულებად იქცეს. თუ შეხედულება შენარჩუნებულია, მე ჩემი ღმერთი მყავს (ღმერთი ხომ მხოლოდ „ჩემი ღმერთია“, ჩემი შეხედულება (Meinung) ანუ ჩემი „რწმენა“); შესაბამისად, მე ჩემი რწმენა, ჩემი რელიგია, ჩემი აზრები, ჩემი იდეალები მაქვს. ამიგომ უნდა შეიქმნას ზოგადსაკაცობრიო რწმენა, „თავისუფლების ფანაგიმში“. ეს იქნებოდა რწმენა, რომელიც „ადამიანის არსთან“ მოვიდოდა შესაბამისობაში, და რადგან მხოლოდ ადამიანია „გონიერი“

(მე და შენ შესაძლოა უკიდურესად უგნურები ვიყოთ!), ის იქნებოდა გონივრული რწმენა. როგორც თვითნებობა და საკუთრება იქცევიან უძლურებად, განსაკუთრებულობა და ეგოიზმიც ასეთებად უნდა იქცნენ. „თავისუფალი ადამიანის“ უზენაეს განვითარებაში მიმდინარეობს პრინციპული ბრძოლა ყველა სახის ეგოიზმსა და საკუთრებასთან, და ისეთი მეორეხარისხოვანი და დაქვემდებარებული მიზნები, როგორც სოციალისტთა სოციალური „კეთილდღეობაა“, უჩინარდება „კაცობრიობის ამაღლებული იდეის“ წინაშე. ყოველივე „არაზოგადსაკაცობრიო“ განკერძოებულად იქცევა და მხოლოდ რამდენიმეს ან ერთს აკმაყოფილებს ან, იმ შემთხვევისას, თუ ყველას აკმაყოფილებს, მხოლოდ როგორც ცალკეულ პიროვნებებს და არა როგორც „ადამიანს“, და სწორედ ამიტომ ეწოდება მას „ეგოისტური“. სოციალისტის უზენაესი მიზანი - კეთილდღეობაა, პოლიტიკური ლიბერალისა კი თავისუფალი მსოფლიო ბრძოლა; კეთილდღეობაც თავისუფალია და ყველაფერი, რისი ქონაც მას სურს, შეუძლია შეიძინოს, როგორც მას, ვისაც მსოფლიო ბრძოლაში (კონკურენციაში) ჩაბმა სურდა, შეეძლო ეს საკუთარი ნებით განეხორციელებინა. იმისათვის, რომ მსოფლიო ბრძოლაში ჩაებათ, მხოლოდ ბურჟუა უნდა იყოთ, იმისათვის, რომ კეთილდღეობისთვის ისწრაფოდეთ - მხოლოდ მუშა. არც ერთი და არც მეორე არ არის „ადამიანის“ შესაგყვისი. ადამიანი „მართლაც კარგად“ მაშინ გრძნობს თავს, როდესაც ის „სულიერადაც თავისუფალია“. ადამიანი - სულია და ამიტომ მასთან, სულთან, დაპირისპირებული ძალა, ყველა ზეადამიანური, ბეციური ძალა უნდა განადგურდეს და ყველაფრის გვირგვინად ადამიანი განთავსდეს. ამგვარად, ახალი დროის (ახალთა დროის) დასასრულს მთავარი ხდება ის, რაც დასაწყისში უმნიშვნელოვანესი იყო: „სულიერი თავისუფლება“. კომუნისტს განსაკუთრებით ეხება ის სიგყვები, რომლებსაც ჰუმანური ლიბერალი ამბობს: თუკი სამოგადოება გიწესებს შენ საქმიანობას, მაშინ, თუმცა ის თავისუფალია ცალკეული პიროვნების ანუ ეგოისტის გავლენისგან, ეს ჯერ კიდევ არ არის წმინდად ადამიანური საქმიანობა და შენ ჯერ კიდევ არ წარმოადგენ კაცობრიობის სრულყოფილ ორგანოს. რა სახის საქმიანობას მოითხოვს შენგან სამოგადოება, ეს შემთხვევის საკითხია: მან შესაძლოა გაძრის მშენებლობაზე და ა.შ. გაგგზავნოს, მაგრამ ესეც რომ არ მომხდარიყო, შენ შეგეძლო საკუთარი სურვილით მიგეცა თავი რაიმე სისულელის ანუ არა-ადამიანურისთვის. მეტიც, სინამდვილეში შენ მხოლოდ იმისთვის მუშაობ, რომ საკუთარი თავი გამოკვებო, ანუ, ზოგადად, იმისათვის, რომ იცხოვრო, ცხოვრებისა და არა კაცობრიობის განდილებისთვის. ამიტომ თავისუფალი საქმიანობის განხორციელება მხოლოდ იმ დროს ხდება, როდესაც შენ ყველა სისულელის, არა-ადამიანურის ანუ ეგოისტურისგან (რაც განკერძოებულს ეკუთვნის და არა ზოგადსაკაცობრიოს განკერძოებულში) განთავისუფლდები, როდესაც ადამიანისა და კაცობრიობის დამჩრდილავ ყველა ამრს, არაჰემმარიგ ამრს გაანადგურებ, მოკლედ, არა მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ არაფერი გაბრკოლებს შენს საქმიანობაში, არამედ როდესაც მისი შინაარსიც მხოლოდ ადამიანურია და შენ ადამიანისა და კაცობრიობისთვის ცხოვრობ და მოქმედებ. მაგრამ ეს არ ხდება, როდესაც შენი სწრაფვის მიზანი - პირადი და ყველას კეთილდღეობაა: შეძელი რა ბევრი - ღატაკი სამოგადოებისთვის, ამით შენ ჯერ კიდევ არაფერი გაგიკეთებია „ადამიანურისთვის“. მხოლოდ შრომა ჯერ კიდევ არ გაქცევს ადამიანად, რადგან ის რაღაც

ფორმალურია, მისი საგანი კი შემთხვევითი. საქმის არსი იმაში მდგომარეობს, თუ რას წარმოადგენ შენ, მშრომელი. მუშაობა ეგოისტური (მაგერიალური) მიზნებიდანაც შეგიძლია, მხოლოდ იმისათვის, რომ საკვები და მსგავსი მოიპოვო, მაგრამ აუცილებელია, რომ შრომა კაცობრიობის აყვავებას, მის კეთილდღეობას, ისტორიულ ანუ ადამიანურ განვითარებას ემსახურებოდეს, ერთი სიტყვით, შრომა ჰუმანური უნდა იყოს. ეს ორ პირობას გულისხმობს: პირველი, რომ ის კაცობრიობას სარგებელს მოუტანს, და მეორე - ის „ადამიანიდან“ მომდინარეობს. პირველი თავისთავად არის შესაძლებელი ნებისმიერი შრომის დროს, რადგან ბუნების, მაგალითად, ცხოველთა შრომაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას მეცნიერების განვითარებისთვის და ა.შ., მეორე კი მოითხოვს, რომ მშრომელი საკუთარი სამუშაოს ადამიანურ მიზანს აცნობიერებდეს, ხოლო ვინაიდან ასეთი შეგნება მხოლოდ ისეთ დროს აქვს, როდესაც ადამიანად გრძნობს თავს, ჰუმანური შრომის უპირობო პირობა თვითშეგნებაა. რასაკვირველია, მრავალი უკვე მაშინ მიიღწევა, როდესაც „ცალობრივ“ სამუშაოს წყვეტ, მაგრამ ასეთ დროს შენ მხოლოდ მთლიანობაში აფასებ საკუთარ სამუშაოს და მის მიმართ შეგნებულ დამოკიდებულებას იძენ, რაც ჯერ კიდევ ძალიან შორს არის თვითშეგნების, შენი ჭეშმარიტი „მეს“ ან ადამიანის „არსის“ შეგნებისგან. მშრომელს ჯერ კიდევ რჩება „უმუნაესი შეგნების“ მოთხოვნა და, გამომდინარე იქედან, რომ მის საქმიანობას არ ძალუძს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, იგი მას მოსვენების საათებში იკმაყოფილებს. ამიგომ მისი სამუშაოს გვერდით ღვას მისი დასვენება, თავად კი იძულებულია, რომ შრომაცა და სიზარმაცეც ადამიანურად გაასაღოს, ხოლო ზარმაცი, მცონარე - ჭეშმარიტად ამაღლებულად. ის მხოლოდ იმისათვის მუშაობს, რომ თავი დააღწიოს სამუშაოს: ის ცდილობს გაანთავისუფლოს სამუშაო, რათა მისგან განთავისუფლდეს. ერთი სიტყვით, მის სამუშაოს არ გააჩნია დამაკმაყოფილებელი შინაარსი, რადგან ის მისთვის საზოგადოების მიერ არის მიცემული, ის - მისთვის მიცემული გაკვეთილი, პროფესიაა და, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოება არ აკმაყოფილებს მას, რადგან მას მხოლოდ სამუშაოს აძლევს. სამუშაო მას, როგორც ადამიანს უნდა აკმაყოფილებდეს, ნაცელად ამისა კი იგი საზოგადოებას გვრის კმაყოფილებას; საზოგადოება მას, როგორც ადამიანს, ისე უნდა ეპყრობოდეს, ის კი მას ისე ექცევა, როგორც მათხოვარ მშრომელს ან მშრომელ მათხოვარს. შრომასა და საზოგადოებას მისთვის სარგებელი მოაქვთ არა როგორც ადამიანის, არამედ როგორც „ეგოისტისთვის“. ასე მსჯელობს კრიტიკა შრომის საკითხის შესახებ. იგი სულზე მიანიშნებს, აწარმოებს ბრძოლას „სულისა მასებთან“ და კომუნისტურ შრომას მასების შრომად მიიჩნევს, რომელიც მოკლებულია სულიერებას. უფროხის რა შრომას, მასა ცდილობს გაიადვილოს სამუშაო. ლიგერატურაში, რომელსაც ჩვენ დროს მასობრივი ხასიათი აქვს, შრომის სიძულვილის შედეგს წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებული ზედაპირულობა, რომელიც უარს ამბობს „შესწავლის შრომისგან“. ამიგომ ჰუმანიტარული ლიბერალიზმი შემდეგს ამბობს: გსურთ სამუშაო? კარგი, ჩვენც გვსურს იგი, მაგრამ ჩვენ იგი გვსურს სრულად. ჩვენ იგი არ გვჭირდება თავისუფალი დროის შესავსებად, ის საჭიროა, რათა კმაყოფილება თავად მისგან მივიღოთ. შრომა სასურველია ჩვენთვის, რადგან ის ჩვენი თვითგანვითარებაა. ასეთ შემთხვევაში შრომაც უნდა შეესაბამებოდეს ამ მიზანს. მხოლოდ ადამიანური, თვითშეგნებით

გამსაჭვალული შრომა ადამაღლებს ადამიანს, მხოლოდ ისეთი შრომა, რომელსაც არ გააჩნია „ეგოისტური“ მიზანი, არამედ ადამიანის არსის გამოვლენას წარმოადგენს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს თქვა: laboro, ergo sum[5]. ვმუშაობ, შესაბამისად მე ადამიანი ვარ. „ჰუმანური“ ადამიანისთვის სასურველი მხოლოდ მაგერიის გადამატუშავებელი სულის მუშაობაა - სულისა, რომელიც არაფერს მოასვენებდა, ყველაფერს შეცვლიდა, არასოდეს დამშვიდდებოდა, ყველაფერს გაანადგურებდა და ყველა ახლად მიღებულ შედეგს გააკრიტიკებდა. სწორედ ეს მშფოთვარე სულია ჭეშმარიტი მშრომელი: ის აღმოფხვრის ყველა ცრურწმენას, ანგრევს დაბრკოლებებსა და ბლუდეებს, და ადამაღლებს ადამიანს ყველაფერზე, რასაც მასზე მბრძანებლობა შეეძლო, როდესაც კომუნისტი მხოლოდ საკუთარი თავისთვის მუშაობს, ამასთან თავისუფლების გარეშე ანუ საჭიროებიდან გამომდინარე, ერთი სიგყვით, ყმის სამუშაოს ასრულებს. ჰუმანიტარული გაგებით კი მშრომელი არ არის „ეგოისტი“, რადგან ის არ მუშაობს ცალკეული პიროვნებებისთვის - არც საკუთარი თავისა და არც სხვა ინდივიდებისთვის. შესაბამისად, ის არა კერძო ადამიანების, არამედ კაცობრიობისა და მისი პროგრესისთვის შრომობს: ის არ ამსუბუქებს საგანჯველს, არ ზრუნავს ცალკეულ საჭიროებებზე, არამედ ამსხვრევს საზღვრებს, რომლებშიც კაცობრიობაა ჩაკეტილი, ფანგავს ცრურწმენებს, რომლებიც მთელი ეპოქის განმავლობისას ბატონობდნენ, გადალახავს დაბრკოლებებს, რომლებიც ყველას ურთულებდნენ გზას, აღმოფხვრის შეცდომებს, რომლებშიც ადამიანები არსებობენ და აღმოაჩენს ჭეშმარიტებებს, რომლებიც მისი მეშვეობით არის მოპოვებული ყველასათვის სამუდამოდ, მოკლედ რომ ვთქვათ, ის ცხოვრობს და შრომობს კაცობრიობისთვის. მაგრამ, ჯერ ერთი, მან, ვინც რომელიმე დიად ჭეშმარიტებას მიაგნებს, კარგად იცის, რომ ის შეიძლება სხვებისთვისაც იყოს სასარგებლო, ხოლო რადგან მოშურნედ საკუთარი თავისთვის მის მიმალვას მისთვის კმაყოფილება არ მოაქვს, ის მას სხვებსაც უზიარებს. მაგრამ, რომც აცნობიერებდეს, რომ ამ ჭეშმარიტების გაცხადება უაღრესად ფასეულია სხვებისთვის, ის ჭეშმარიტებას მაინც არა სხვების, არამედ საკუთარი თავისთვის ეძებდა, რადგან მასში იყო ეს მოთხოვნილება, გაურკვეველობა არ ანიჭებდა მას სიმშვიდეს მანამ, სანამ, რამდენადაც ეს მის ძალებში იყო, არ გაფანტა წყვილი და სიმკვეთრე არ შემოიგანა. ის შრომობს, შესაბამისად, თავისთვის და საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ის, რომ მისი შრომა სხვების, შთამომავლებისთვისაც არის სასარგებლო, სრულებით არ აკნინებს შრომის ეგოისტურ ხასიათს. მეორე: თუ ის საკუთარი თავისთვის მუშაობს, რატომ არის მისი საქმიანობა ადამიანური, ხოლო სხვათა საქმიანობა - არაადამიანური, ეგოისტური? იმიტომ ხომ არა, რომ ეს წიგნი, გილო, სიმფონია და ა.შ. - მისი მთელი არსების შრომაა, რომ ამ დროს მან ის საუკეთესო განახორციელა, რაც შეეძლო, რომ მან სრულად მიუძღვნა მას თავი და რომ ის სრულიად არის მასში, როდესაც ხელოსნის შრომა მხოლოდ ხელოსანს ასახავს, ანუ ხელოვნებას ხელოსნისა და არა „ადამიანის“? შილერის ლექსებში ჩვენ მთელ შილერს ვხედავთ, როდესაც ასობით ლუმელში მხოლოდ მეღუმელე ვლინდება და არა „ადამიანი“. ნიშნავს თუ არა ეს იმაზე მეტს, რომ ერთ ნაწარმოებში თქვენ მე შეძლებისდაგვარად სრულად მჭვრეტთ, სხვაში კი მხოლოდ ჩემს ოსტატობას? ნუთუ ისევ მე არ ვარ, ვინც აქ გამოვლინდა? და ნუთუ უფრო ეგოისტური არ არის სამყაროს მოველინო ერთ ქმნილებაში,

ვიდრე საკუთარ სამუშაოს ამოეფარო? შენ, რასაკვირველია, პასუხობ, რომ ადამიანს გამოავლენ. მაგრამ ადამიანი, რომელსაც შენ გამოავლენ, ეს შენ ხარ, შენ მხოლოდ საკუთარ თავს გამოავლენ, იმ განსხვავებით, რომ ხელოსანს არ შეუძლია საკუთარი თავის გამოვლენა ერთ სამუშაოში, ხოლო იმისათვის, რომ, როგორც პიროვნება იქნას გაგებული, სხვა ცხოვრებისეულ ურთიერთობებშიც უნდა იქნას გაგებული, ხოლო მისი მოთხოვნილება, რომლის დასაკმაყოფილებლად შეიქმნა ნაწარმოები - წმინდად თეორიულია. მაგრამ ამის პასუხად შენ იგყვი, რომ შენ სულ სხვა ადამიანი გამოავლინე, უფრო ღირსეული, ამაღლებული, უფრო ღიალი - ადამიანი, რომელიც მეგად არის ადამიანი, ვიდრე ის. ღაფუშვით, რომ შენ განახორციელე ყველაფერი, რაც ადამიანის შესაძლებლობის ფარგლებშია, რომ შენ განახორციელე რაღაც, რაც სხვას არავის გამოსდის. რაშია შენი სიღიადე? მუსტად იმაში, რომ შენ მეგი ხარ, ვიდრე სხვა ადამიანები („მასა“), მეგი, ვიდრე ჩვეულებრივ არის ადამიანი, მეგი, ვიდრე „ჩვეულებრივი ადამიანი“, - იმაში, რომ შენ სხვა ადამიანებზე მაღლა ხარ. სხვა ადამიანებისგან შენ იმით კი არ განსხვავდები, რომ შენც ადამიანი ხარ, არამედ იმით, რომ შენ გარკვეული გაგებით „ერთადერთი“ ხარ. შენ, რასაკვირველია, აჩვენე, რა შეუძლია ადამიანს, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ სხვებაც ადამიანები არიან, სრულიად არ გამოძინარეობს, რომ მათაც შეუძლიათ იგივე. შენ ეს განახორციელე, როგორც ერთადერთმა ადამიანმა და ამაში შენ ერთადერთი ხარ. არა ადამიანი წარმოადგენს შენს სიღიადეს, არა, შენ თავად აღწევ მას, სწორედ იმიტომ, რომ შენ მეგი ხარ, ვიდრე ადამიანი და სხვა ადამიანებზე ძლევა მოსილი. ფიქრობენ, რომ შეუძლებელია იყო ადამიანზე მეგი. პირიქით, შეუძლებელია ადამიანზე ნაკლები იყო! ასევე ფიქრობენ, რომ რასაც არ უნდა მიაღწიონ, ეს ადამიანის სასიკეთოდ მოხდება. ვინაიდან მე ადამიანი ვარ, ანუ როგორც შილერია - შვაბი, როგორც კანტია - პრუსიელი, როგორც გუსტავ ადოლფია - ახლომხედველი, მე, ჩემი უპირატესობების წყალობით, შესანიშნავი ადამიანი, შვაბი, პრუსიელი ან ახლომხედველი ვარ. მაგრამ ეს ხომ იგივეა, რაც ფრიდრიხ ღილის ყავარჯენის შემთხვევა, რომელიც ფრიდრიხის წყალობით გახდა სახელოვანი?! ძველ გამოთქმას „პატივი ეცი უფალს“ შეესაბამება „პატივი ეცი ადამიანს“. მე კი საკუთარი თავის პატივისცემას ვამჯობინებდი. იმით, რომ კრიტიკა ადამიანს „ადამიანურობის“ მოთხოვნას უყენებს, იგი ყოველგვარი თანაცხოვრების აუცილებელ პირობას გამოხატავს, რადგან მხოლოდ როგორც ადამიანი და ადამიანთა შორის შესაძლოა იყო თავაზიანი. ამით იგი მის სოციალურ მიზანს ამკლავებს: „ადამიანური სამოგალოების“ შექმნას. ყველა სოციალური თეორიიდან კრიტიკა უდაოდ ყველაზე სრულყოფილია, რადგან იგი ახშობს და აუფასურებს ყველაფერს, რაც ადამიანებს ამორიშორებს: ყველა უპირატესობას, რწმენის უპირატესობის ჩათვლით. მასში სრულდება წმინდა სახით სიყვარულის ქრისტიანული პრინციპი, ჭეშმარიტი სოციალური პრინციპი, და იგი მიმართავს უკანასკნელ შესაძლო მცდელობას თავი დააღწეინოს ადამიანს იბოლირებულობისა და განსაკუთრებულობისთვის: ეს არის ბრძოლა ეგოიზმთან მისი უმარტივესი და, ამდენად, ყველაზე მძაფრი, განსაკუთრებულობისა და ერთადერთობის ფორმით. „როგორ შეძლებთ სამოგალოებრივად იცხოვროთ, ამ სიგყვის ჭეშმარიტი გაგებით, სანამ თქვენს შორის რაღაც განსაკუთრებული არსებობს?“ მე კითხვას მუსტადაც რომ პირიქით ვსვამ: როგორ შეგიძლიათ ერთადერთნი იყოთ ამ სიგყვის ჭეშმარიტი გაგებით, თუ

თქვენს შორის ერთი ურთიერთდამოკიდებულება მაინც არსებობს? ვინაიდან ერთმანეთს ხართ დაკავშირებული, განცალკევებით ვერ იქნებით, ვინაიდან თქვენს შორის „კავშირია“, თქვენ რაიმეს წარმოადგენთ მხოლოდ ერთად, თორმეტი თქვენნაირი ღუქინია, ათასი - ხალხი, მილიონი - კაცობრიობა. „მხოლოდ ადამიანურებად ყოფნით შეგიძლიათ ერთმანეთს ისე მოეპყრათ, როგორც ადამიანები, ზუსტად ისე, როგორც მხოლოდ პაგრიოტებად ყოფნისას შეგიძლიათ ისე იურთიერთოთ ერთმანეთთან, როგორც პაგრიოტებს.“ „კარგი, - ვპასუხობ მე. - მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ ერთადერთნი ხართ, შეგიძლიათ ურთიერთობა გქონდეთ ერთმანეთთან როგორც მათ, რასაც თავად წარმოადგენთ.“ სწორედ ყველაზე მძაფრი კრიტიკოსი გრძნობს ყველაზე ძლიერად მისი ძირითადი პრინციპის წყევლას. ჩამოიბერგყავს რა ერთმანეთის მიყოლებით ყველა განსაკუთრებულობას, ჩამოიშორებს რა ეკლესიურობას, პაგრიოტიზმს და ა.შ., ის ერთმანეთის მიყოლებით ანადგურებს ყველა კავშირს და დისტანცირდება მღვდელმსახურის, პაგრიოტისა და ა.შ სანამ საბოლოოდ, გაწყვეტს რა ყველა ძაფს, მარტო არ დარჩება. სწორედ მან უნდა გამოირიცხოს ყველა და ყველაფერი, რაც საკუთარ თავში განსაკუთრებულს ან კერძოს შეიცავს, ხოლო რა შეიძლება იყოს დედამიწაზე მეტად განსაკუთრებული, ვიდრე ერთადერთი და განსაკუთრებული პიროვნებაა?! ან, ხომ არ ფიქრობს ის, რომ უმჯობესი იქნებოდა ყველა „ადამიანად“ ქცეულიყო და გამქრალიყო განსაკუთრებულობა? სწორედ იმ მიზეზით, რომ „ყველა“ ნიშნავს „თითოეულს ცალკე“, სახეზეა ხმამაღალი წინააღმდეგობა, რადგან „ცალკეული“ - თავად განსაკუთრებულობაა. დაე, ჰუმანურმა არ მიანიჭოს ცალკეულს არაფერი კერძო ან განსაკუთრებული, არაფითარი პირადი აზრი, არანაირი პირადი სისულელე, დაე, გააკრიტიკოს და ჩამოართვას ყველაფერი, რადგან მისი სიძულვილი კერძოსი - აბსოლუტური და ფანატიურია, დაე, არ აღიაროს არანაირი შემწყნარებლობა კერძოს მიმართ, რადგან ყოველივე კერძო - არაადამიანურია, მიუხედავად ამისა, კერძო პიროვნების განადგურებას კრიტიკით იგი ვერ ახერხებს, რადგან ცალკეულის სიმტკიცეს შესწევს ძალა გაუძლოს მის კრიტიკას; ის იმით უნდა დაკმაყოფილდეს, რომ ამ პიროვნებას „კერძო პიროვნებად“ გამოაცხადებს და ფაქტიურად ხელახლა მიანიჭებს ყოველივე კერძოს. რას გააკეთებს საზოგადოება, რომელიც აღარაფერ კერძოზე აღარ ზრუნავს? გაანადგურებს კერძოს არსებობის შესაძლებლობას? არა, იგი „მას საზოგადოებრივ ინტერესებს დაუქვემდებარებს. მაგალითად, უფლებას მისცემს კერძო პირის ნებას, დაადგინოს, რამდენი დღესასწაული სჭირდება, თუკი ეს საზოგადოებრივ ინტერესებთან არ აღმოჩნდება წინააღმდეგობაში[6]“. ყოველივე კერძო თავისუფლდება: იგი არანაირ ინტერესს აღარ წარმოადგენს საზოგადოებისთვის. „მეცნიერებისგან დისტანცირებით ეკლესიამ და რელიგიურობამ იმად წარმოადგინეს თავი, რასაც ყოველთვის წარმოადგენდნენ, მაგრამ რაც ყოველთვის ნიღაბს იყო ამოფარებული, როდესაც მას სახელმწიფოს საფუძველად და უაუცილებლედ საბუთად ასაღებდნენ, ანუ სავსებით კერძო და პირად საქმედ. როდესაც ისინი სახელმწიფოს დაუკავშირდნენ და იგი ქრისტიანულად აქციეს, ამით ის დაასაბუთეს, რომ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა განვითარებული მისი ზოგადი პოლიტიკური იდეა და რომ ის ჯერ კიდევ კერძო უფლებებს აყალიბებდა... ისინი წარმოადგენდნენ უზენაეს გამოხატულებას იმისა, რომ სახელმწიფო - კერძო საქმე იყო და საქმეს მხოლოდ კერძოსთან

იჭერდა. როდესაც სახელმწიფო საბოლოოდ საკმარის გამბედაობასა და ძალას მოიპოვეს, რათა მისი ზოგადი დანიშნულება განახორციელოს და თავისუფალი გახდეს, როდესაც ის, შესაბამისად, შეძლებს, რომ ყველა განსაკუთრებული ინგერესი და კერძო საქმე სათანადო ადგილას მოათავსოს, - მაშინ რელიგია და ეკლესია იმდენად თავისუფლებად იქცევიან, როგორც არასოდეს ყოფილან. იქცევიან რა აბსოლუტურად კერძო საქმედ და წმინდად პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილებად, ისინი საკუთარი თავის განკარგულებაში აღმოჩნდებიან, ხოლო თითოეული ცალკეული პიროვნება, ცალკეული თემი და ეკლესიის მრევლი შეძლებს სულის ნეგარების შესახებ ისე იმრუნოს, როგორც ისურვებს და როგორც ამას საჭიროდ ჩათვლის. თითოეული შეძლებს იმრუნოს საკუთარი სულის ნეგარების შესახებ, რადგან ეს მისი პირადი მოთხოვნებია, და სულიერ მოძღვრად იმას აირჩევს - და ჯამაგირსაც გადაუხდის - ვინც ყველაზე უკეთ შეძლებს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მეცნიერება კი გვერდზე იქნება გადაღებული[7]“. მაგრამ, რა მოხდება? უნდა განადგურდეს თუ არა სამოგადობრივი ცხოვრება, მასთან ერთად კი გაქრეს თავაზიანობა, ძმობა, ყველაფერი, რაც სიყვარულისა და სამოგადობრიობის პრინციპებით არის შექმნილი? როგორ შეძლებენ ადამიანები არ ჰქონდეთ ერთმანეთთან ურთიერთობა, როდესაც ერთმანეთი სჭირდებათ, არ დაემორჩილონ ერთმანეთს, როდესაც ერთმანეთი სჭირდებათ? განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ შემდეგ მართლაც ცალკეული პიროვნებები გაერთიანდებიან, როდესაც უწინ ისინი სხვადასხვა ხუნდებით იყვნენ ერთმანეთს გადაბმული. სრულწლოვანებაზე ვაქს მამასთან ოჯახი აკავშირებს, შემდეგ კი მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ ურთიერთობა; მანამდე ისინი ოჯახს ეკუთვნოდნენ („ოჯახის წევრები“ იყვნენ), შემდეგ კი ერთიანდებიან, როგორც ეგოისტები: მამობა და შვილობა რჩება, მაგრამ არც მამა და არც შვილი აღარ არიან მათით დაკავშირებულნი. უკანასკნელი პრივილეგია მართლაც „ადამიანი“: ეს პრივილეგია ყველას გააჩნია. რადგან, როგორც იგივე ბრუნო ბაუერი ამბობს: „პრივილეგიები რჩება, თუნდაც ისინი ყველაზე გავრცელდეს[8]“. ამგვარად, ლიბერალიზმი შემდეგ საეგაპო პუნქტებს გაივლის: პირველ რიგში, ცალკეული ადამიანი არ არის პიროვნება და ამდენად მისი ცალკეული ინდივიდუალობა არანაირი ღირებულების მაგარებელი არ არის; ამიგომ, არ უნდა არსებობდეს არანაირი პირადი ნება, არანაირი თვითნებობა, არანაირი ბრძანება, არანაირი მორჩილება ბრძანებისადმი. მეორე. ცალკეულ პიროვნებას არაფერი ადამიანური არ გააჩნია, ამიგომ არ არსებობს არაფერი ჩემი ან შენი, არ არსებობს საკუთრება. მესამე. რადგან ცალკეული პიროვნება არ არის ადამიანი და არაფერი ადამიანური არ გააჩნია, ის საერთოდ არ უნდა არსებობდეს, ის, როგორც ეგოისტი, ყოველივე ეგოისტურთან ერთად უნდა იქნას განადგურებული, განადგურებული „კრიტიკით“, რათა ადგილი განთავისუფლდეს ადამიანისთვის, „ახლახან ნაპოვნი ადამიანისთვის“. თუმცა ცალკეული პიროვნება არ არის ადამიანი, ადამიანი მაინც არსებობს ცალკეულში და, როგორც ყოველი აჩრდილი და ყოველივე ღვთიური, მასში არსებობს მისი წყალობით. ამიგომ პოლიტიკური ლიბერალიზმი მას აკუთვნებს ყველაფერს, რაც მას „დაბადებიდან“ ეკუთვნის, სინდისის თავისუფლების, ქონებისა და ა.შ. ჩათვლით, მოკლედ, „ადამიანის ყველა უფლებას“; სოციალური ლიბერალიზმი ცალკეულ პიროვნებას აკუთვნებს ყველაფერს, რაც მას ეკუთვნის, როგორც

საქმიან ადამიანს, როგორც „მშრომელს“; დაბოლოს, ჰუმანიტარული ლიბერალიზმი ცალკეულ პიროვნებას ანიჭებს იმას, რაც მას გააჩნია, როგორც „ადამიანს“, ანუ ყველაფერს, რაც კაცობრიობას ეკუთვნის. ამგვარად, ცალკეულ პიროვნებას არაფერი გააჩნია, კაცობრიობას კი ყველაფერი. ამიგომაც იქმნება არაორამროვნად და ყოვლისმომცველად მოთხოვნილება „აღღმისა“, რასაც ქრისტიანობა ქადაგებს. იქეცი ახალ არსებად, იქეცი „ადამიანად“! ნუთუ ამ ყველაფერს „მამაო ჩვენოს“ დასასრულს არ ვხვდებით? ადამიანისაა ბაგონობა („ძალა“; dunamis): ამიგომ ვერც ერთი ცალკეული პიროვნება ვერ იქეცვა ბაგონად, პირიქით, ადამიანია ცალკეულის ბაგონი; ადამიანს ეკუთვნის სამეფო ანუ სამყარო და მესაკუთრეც ადამიანი უნდა იყოს და არა ცალკეული პიროვნება, „ყველას“ ეკუთვნის სამყარო, როგორც საკუთრება. განდილება ან „ქება“ (doxa) ადამიანის ხვედრი უნდა იყოს, რადგან ცალკეული პიროვნების მიზანი - ადამიანი ანუ კაცობრიობაა, ამ მიზნისათვის არის აუცილებელი ცხოვრება, მუშაობა და ამროვნება, მის განსაღილებლად უნდა იქეცე „ადამიანად“. დღემღე ადამიანები ისეთი თანაცხოვრებისკენ მიისწრაფოდნენ, საღაც მათი უთანასწორობა „არა-არსებითად“ იქეცოდა, ისინი ნივეღირების, შესაბამისად კი თანასწორობისკენ იღგვოდნენ და გაგოლება სურღათ, რაც ერთი ბაგონის, ერთი ბორკიღის, ყვეღასათვის ერთი რწმენის („ყვეღას ერთი ღმერთი გვწამს“) ძიებას ნიშნავს. არაფერია უფრო ერთგვაროვანი და გამთნაბრებელი ადამიანისთვის, ვიღრე თავად „ადამიანი“ და სწორედ ამ ერთიანობაში მიიღო კმაყოფილება ადამიანის სწრაფვამ სიყვარუღისკენ: სიყვარული ვერ ღამშვიღდა, სანამ ეს უკანასკნელი თანასწორობა არ იპოვა, სანამ ყვეღა განსხვავების ნივეღირებას არ მიაღწია და ადამიანი ადამიანს არ ჩაახუგა. მაგრამ სწორედ ამ ერთობისას ჩანს ყვეღაბე მკაფიოდ ღაცემა და ღაშღა. უფრო შებღღული ერთობისას ფრანგი გერმანელის წინააღმღეგ გამოღიღდა, ქრისტიანი - მუსულმანისა და ა.შ. ღღეს ადამიანი ხაღხის წინააღმღეგ გამოღის, ხოლო რადგან ხაღხი - არ არის ადამიანი, ადამიანი არა-ადამიანს უპირისპირღება. ღებუღებას „ღმერთი იქეცა ადამიანად“ მოყვება სხვა: „ადამიანი იქეცა მე-ღ“. ეს - ადამიანური მეა. თუმცა ჩვენ პირუკუ ვაგრიღლებთ და ვამბობთ: მე ვერ შეეძელი საკუთარი თავის პოვნა, სანამ ჩემში ადამიანს ვეძებღი. ახღა კი, როღესაც ვამჩნევ, რომ ადამიანი ისწრაფვის მე-ღ ქეცევას და ცღიღობს ხორციელი არსი იპოვოს, მე ვხვდები, რომ ყვეღაფერი ჩემამღე ღაიყვანება და რომ „ადამიანი“ უჩემოდ ღაღუპულია. მაგრამ მე არ მსურს წმიღათაწმიღას ჭურჭღად ვიქეცე და მომავაღში აღარ ვიკიღთხავ, ვარ ადამიანი თუ არა ჩემს საქმიანობაში: სუღისთვის აღარ მცაღია. ჰუმანიტარული ლიბერალიზმი რადიკაღურად მოქმეღებს. თუ შენ ერთ პუნქტში მაინც ცღიღობ, რომ განსაკუთრებული იყო ან განსაკუთრებულს ფღობღე, თუკი შენ ერთ უპირაგესობას მაინც ინარჩუნებ სხვებთან შეღარებით, თუკი შენ ერთ უფღებას მაინც მოიღთხოვ, რომელიც არ წარმოაღგენს „მოგაღდასკაცობრიო უფღებას“ - შენ ეგოისტი ხარ. კარგი! არაფერი განსაკუთრებული არ მსურს, არაფრით მსურს სხვებისგან განვსხვავებღოდღე, არ მოვიღთხოვ განსაკუთრებულ უპირაგესობას სხვებთან შეღარებით, მაგრამ მე არც საყოვეღთაო საზომით მსურს ჩემი თავი გავზომო და საერთოღაც არ მსურს მქონღეს რაიბე უფღებები. მიწღა ვიყო ყვეღაფერი, რაც შემიძღღია რომ ვიყო, და მსურს გამაჩნღეს ყვეღაფერი, რაც შემიძღება რომ გამაჩნღეს. არიან თუ არა ჩემი მსგავსნი სხვები

და გააჩნიათ თუ არა იგივე, რაც მე - ეს არ მაინტერესებს. ისინი ვერ იქნებიან იგივე და ვერც იგივე ექნებათ. მე მათ არანაირ ზიანს არ ვაყენებ, ისევე, როგორც არ ვაყენებ ზიანს კლდეს, რომლის წინაშე „თავისუფლად“ გადაადგილების უპირატესობა გამაჩნია. რომ შეძლებოდათ, მათ ეს ყველაფერი ექნებოდათ. არანაირი ზიანი არ მიაყენო სხვა ადამიანს - დაიყვანება მოთხოვნამდე, არ გაგაჩნდეს არანაირი უპირატესობა, უარი თქვა მათზე ანუ უარყოფის თეორიას ქადაგებდე. არ უნდა ჩათვალო საკუთარი თავი „რაიმე განსაკუთრებულად“, როგორც, მაგალითად, ებრაელი ან ქრისტიანია. მაგრამ მე არც ვთვლი ჩემს თავს განსაკუთრებულად, მე ჩემს თავს ერთადერთად მივიჩნევ. რასაკვირველია, გარკვეული მსგავსება სხვებთან მახასიათებს, მაგრამ ამას მნიშვნელობა მხოლოდ შედარების ან მსჯელობისთვის აქვს; სინამდვილეში მე შეუდარებელი ვარ, მე ვარ ერთადერთი. ჩემი სხეული არ არის მათი სხეული, ჩემი სული - არ არის მათი სული. თუ თქვენ ისურვებთ, რომ ჩემი სხეული და ჩემი სული „ხორცისა და სულის“ ზოგად ცნებებამდე დაიყვანოთ, ეს თქვენი აზრები იქნება, რომლებსაც ჩემს სხეულთან და ჩემს სულთან არაფერი აქვთ საერთო და ვერც ერთი შემთხვევისას ვერ აქცევენ მათ ჩემს „მოწოდებად“. მე არაფრის აღიარება და პატივისცემა არ მსურს შენში - არც მესაკუთრის, არც ლაგაკისა და არც ადამიანის: მე შენი გამოყენება მსურს. მე ვიცი, რომ მარილი გემოს უცვლის ჩემს საკვებს და მე მას ვიყენებ; თევზს მე საკვებად ვთვლი და ამიგომ ვჭამ; შენში მე ვამჩნევ ჩემს ცხოვრებაში სისხარულის შემოგანის უნარს და ამიგომ გირჩევ ცხოვრების მეგზურად. ან: მარილში კრისტალიზაციას ვსწავლობ, თევზში - ცხოველურ საწყისს, შენში - ადამიანს და ა.შ. ჩემთვის შენ ის ხარ, რასაც შენ ჩემთვის წარმოადგენ, ანუ რაღაცას, და რადგან შენ ჩემი ხარ, - შენ ჩემი საკუთრება ხარ. ჰუმანიტარულ ლიბერალიზმში სრულდება სილაგაკე. ჩვენ ლაგაკის, საბრალოს მდგომარეობამდე უნდა დავეშვათ, რათა განსაკუთრებულობას მივალწიოთ, რადგან ჩვენ ყოველივე უცხო უნდა ჩამოვიშოროთ. თუმცა, არაფერია უფრო ლაგაკი, ვიდრე შიშველი ადამიანი. მაგრამ სილაგაკეზე მეტია ის, რომ მე ჩემგან ადამიანს მოვისვრი, რადგან უკვე ვგრძნობ, რომ ის უცხოა ჩემთვის და მე აღარ უნდა ვამაყობდე იმით, რომ ადამიანი ვარ. მაგრამ ეს უკვე მხოლოდ სილაგაკე აღარ არის: უკანასკნელ ძონძებთან ერთად ყველაფერი უცხოც შორდება და ნამდვილი სიშიშველე რჩება. ლაგაკმა თავად გაანადგურა საკუთარი სილაგაკე და აღარ წარმოადგენს იმას, რაც იყო, ის აღარ არის ლაგაკი. მე აღარ ვარ ლაგაკი, მე ის ვიყავი. ბრძოლა ჯერ კიდევ არ დაწყებულია, რადგან ჯერ მხოლოდ კამათია უახლეს ლიბერალებსა და ძველებს შორის ანუ მათი, ვინც აღიარებს „თავისუფლებას“ მცირე მასშტაბით, მათთან, ვისაც თავისუფლება „სრული ზომით“ სურთ, ანუ ზომიერებისა უსამღვროებთან. ყველაფერი კითხვის გარშემო ბრუნავს: რამდენად თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი? იმაში, რომ ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს, ეჭვი არავის შეაქვს, ამიგომაც ყველა ლიბერალურია. როგორღა ჩავახშოთ ურჩხული, რომელიც თითოეულ ჩვენგანში არსებობს? როგორ მოვახერხოთ, რომ ადამიანთან ერთად ეს არა-ადამიანიც არ გავანთავისუფლოთ? ყოველ ლიბერალიზმს ერთი სასიკვდილო მგერი ჰყავს, ერთი გადაულახავი წინააღმდეგობა, როგორც ღმერთს - ეშმაკი: ადამიანის გვერდით ყოველთვის არა-ადამიანი, ცალკეული, ეგოისტი დგას. ვერც სახელმწიფო, ვერც საზოგადოება, ვერც კაცობრიობა ვერ გაანადგურებენ ამ ურჩხულს. ჰუმანიტარული ლიბერალიზმის ამოცანა

იმაში მდგომარეობს, რომ ყველა სხვა ლიბერალს უჩვენოს: ის, რასაც ისინი ესწრაფვიან, ჯერ კიდევ არ არის „თავისუფლება“. თუკი სხვა ლიბერალებს მხედველობაში ცალკეული ეგოისტები ჰყავდათ, ხოლო შემთხვევათა უმრავლესობაში ბრძენი იყვნენ, რადიკალურ ლიბერალიზმს ეგოიზმი უპირისპირდება „მასით“, ხოლო ყველას, ვინც მის მსგავსად არ მიიხნევს თავისუფლების საქმეს საკუთარ საქმედ, იგი ამ მასას აკუთვნებს; ასე რომ, ახლა ადამიანი და არა-ადამიანი ერთმანეთის პირისპირ დგანან, როგორც შეურიგებელი მტრები, როგორც „მასა“ და „კრიტიკა“. რასაკვირველია, აქ „ადამიანის თავისუფალი კრიტიკა“ იგულისხმება, როგორც უწოდებენ მას უხეში, მაგალითად, რელიგიური კრიტიკისგან განსხვავებით (ბაუერის „ებრაული საკითხი“, გვ. 114). კრიტიკას იმედი აქვს, რომ იგი შეძლებს მასის დამარცხებას და მას „სილაგაკის სიგელს მიანიჭებს“. შესაბამისად, მას სურს, რომ პირველი იყოს და „სულმოკლეთა და გაუბედავთა“ კამათი ეგოისტურ სიჯიუტედ, წვრილმანად, სიმწირედ წარმოსახოს. ყველა სხვა კამათი კარგავს მნიშვნელობას, წვრილმანი უსიამოვნებები კი ნაღვერდება, რადგან კრიტიკის სახით ბრძოლის ველზე საერთო მტერი გამოდის. „ყველა ერთად - ერთმანეთზე უარესი ეგოისტები ვართ!“ ახლა უკვე ყველა ეგოისტი კრიტიკის წინააღმდეგ დგას. სინამდვილეშიც ეგოისტები არიან? არა, ისინი იმიტომაც ებრძვიან კრიტიკას, რომ ის მათ ეგოიზმში სდებს ბრალს, ისინი არ აღიარებენ საკუთარ ეგოიზმს. ამიტომაცაა, რომ კრიტიკაც და „მასაც“ ერთსა და იმავე ნიადაგზე დგანან: ერთიცა და მეორეც ებრძვის ეგოიზმს, ერთიცა და მეორეც უარს ამბობს მასზე და მას ერთმანეთს მიაწერს. კრიტიკასა და მასასაც ერთი და იგივე მიზანი აქვთ - ეგოიზმისგან განთავისუფლება, ხოლო კამათობენ ისინი მხოლოდ იმის შესახებ, თუ ვინ მეტად მიუახლოვდა მიზანს ან, შესაძლოა, მიაღწია კიდევ მას. ებრაელები, ქრისტიანები, მონარქისტები, ობსკურანტები და პროგრესისტები, პოლიტიკანები, კომუნისტები, მოკლედ, ყველა ცდილობს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აიცილინოს საყვედური ეგოიზმისა, მაგრამ ვინაიდან კრიტიკა მათ ამას პირდაპირ საყვედურობს, ყველა მათგანი ამ ბრალდებებისგან თავს იცავს ეგოიზმთან ბრძოლით, იმ ეგოიზმთან, რომელთანაც კრიტიკა აწარმოებს ომს. ორივე, კრიტიკაც და მასაც, ეგოიზმის მტერია, და ორივე ცდილობს მისგან განთავისუფლებას, პირველ რიგში იმით, რომ იწმინდება მისგან, და მეორე, იმით, რომ მას ერთმანეთს მიაწერს. კრიტიკოსი - ჭეშმარიტი „მცველია მასის“: ის უხსნის მას ეგოიზმის „უმარტივეს ცნებასა და გამოხატვის საშუალებას“, მასთან შედარებით კი უწინდელი „დამცველები“, რომლებსაც „ლიტერატურული გაზეთი“ გამარჯვების ყველა იმედს უსპობს, უბრალო მუშები იყვნენ. კრიტიკოსი - ბრბოს მეთაური და მთავარსარდალია ეგოიზმის წინააღმდეგ განმთავისუფლებელ ბრძოლაში; რასაც ის ებრძვის, იმავეს ებრძვის მასაც. იმავედროულად, კრიტიკოსი მისი მტერიც არის, თუმცა გამორჩეული სახის: მეგობრული მტერი, რომელიც შოლგით დგას სულმოკლეთა მურგს უკან, რათა მათში სიმამაცე გააღვიძოს. ამიტომ კრიტიკისა და მასის მთელი წინააღმდეგობა შემდეგ კამათამდე დაიყვანება: „თქვენ ეგოისტები ხართ!“ – „არ ვართ ეგოისტები!“ – „მე თქვენ ამას დაგიმტკიცებთ!“ – „ჩვენ თავს გავიმართლებთ!“ ორივე იმად მივიღოთ, რადაც ასალებენ ისინი თავს - არაეგოისტებად, და ასევე იმად, რადაც ერთმანეთს თვლიან - ეგოისტებად. ისინი ეგოისტები არიან და იმავედროულად არიან არაეგოისტები. კრიტიკა, არსებითად,

შემდეგს ამბობს. შენ სრულად უნდა გაანთავისუფლო შენი „მე“ ყველა სახის შეზღუდვისგან, რათა იგი ადამიანურ „მე-დ“ იქცეს. მე კი ვპასუხობ: განთავისუფლდი, რამდენადაც შეგიძლია, შენ ყველაფერი გააკეთე, რისი გაკეთებაც შეგეძლო, რადგან ყველას არ ძალუძს ყველა მზუდის დანგრევა; ან, უფრო ნათლად: ყველასათვის არ იქნება დაბრკოლება ის, რაც დაბრკოლებას წარმოადგენს სხვისთვის. შესაბამისად, ნუ გაირთულებ ცხოვრებას სხვისი დაბრკოლებებით; საკმარისი იქნება, თუ საკუთარს გაანადგურებ. ვის მოუხერხებია ოდესმე ყველა ადამიანისთვის თუნდაც ერთი დაბრკოლების მოსპობა? ნუთუ დღესაც, ისევე, როგორც ყოველთვის, არ ცხოვრობს უსასრულოდ ბევრი ადამიანი „კაცობრიობის ყველა დაბრკოლებით“? ვინც ერთი საკუთარი დაბრკოლება მაინც დაანგრია, ამით მან სხვებს გზა და საშუალება უჩვენა, თუმცა მათი დაბრკოლებების განადგურება მათი საქმეა. არავინ არაფერს განსხვავებულს არც აკეთებს. მოითხოვო ადამიანისგან, რომ ის სრულად ადამიანად იქცეს, ნიშნავს მისგან ყველა ადამიანური დაბრკოლების განადგურების მოთხოვნას. ეს შეუძლებელია, რადგან ადამიანს, როგორც ასეთს, არანაირი დაბრკოლება არ გააჩნია. მე გამაჩნია დაბრკოლებები, მაგრამ ეს ჩემი საკუთარი დაბრკოლებებია, მხოლოდ მე მეხება და მხოლოდ მე შემიძლია მათი დამხობა. მე ვერ შევძლებ ვიქცე ადამიანურ „მე-დ“, რადგან მე ვარ მე და არა მხოლოდ ადამიანი. მოდით ვნახოთ, ხომ არ მოგვცა კრიტიკამ რაიმე, რის გამოყენებასაც შევძლებდით. არ ვარ თავისუფალი, თუ უანგარო არ ვარ? არ ვარ ადამიანი, თუ ყველა სახის ინტერესზე არ ვამბობ უარს? და თუ ჩემთვის სულ ერთია - ვიყო ადამიანი თუ ვიყო თავისუფალი, მაინც არ გავეშვებ ხელიდან შემთხვევას, რათა საკუთარი თავი დავემკვიდრო და მას მნიშვნელობა მივანიჭო. კრიტიკა მანიჭებს მე ამ შესაძლებლობას, ასაბუთებს რა, რომ თუ ჩემში რაიმე დამკვიდრდება და მუდმივი გახდება, მე ამ უკანასკნელის ტყვედ ანუ შეშლილად ვიქცევი. ინტერესი, როგორიც არ უნდა იყოს ის, თუ მე მისგან განთავისუფლებას ვერ ვახერხებ, საკუთარ მონად მაქცევს და ის კი არ არის ჩემი საკუთრება, არამედ მე ვარ საკუთრება მისი. ამიტომ, მოდით მივიღოთ კრიტიკის რჩევა - არაფრიდან, რაც ჩვენ გვეკუთვნის, არანაირი ჩვენი საკუთრებიდან არ შევქმნათ არაფერი ურყევი და თავი კარგად მხოლოდ ნგრევისას ვიგრძნოთ. თუ კრიტიკა ამბობს: შენ მხოლოდ ისეთ ღროს ხარ ადამიანი, როდესაც უწყვეტად აკრიტიკებ და ანადგურებ, ჩვენ ვპასუხობთ: მე უამისოდაც ვარ ადამიანი და ბუსტად ასევე მე ვარ მე, ამიტომ მხოლოდ იმის შესახებ ვბრუნავ, რომ ჩემი საკუთრება შევინარჩუნო, ხოლო ამის მისაღწევად გამუდმებით ვიბრუნებ მას, ვანადგურებ მასში დამოუკიდებლობის ნებისმიერ მცდელობას და ვნთქავ მას მანამ, სანამ იგი დამკვიდრებას და „აკვიატებულ აზრად“ ანუ „მანიად“ ქცევას შეძლებს. მაგრამ მე ამას არა ჩემი „ადამიანური მოწოდებისთვის“ ვაკეთებ, არამედ იმიტომ, რომ ამაში ვხედავ ჩემს მოწოდებას. მე არ მაქვს ყოველივე იმის განადგურების პრეგენზია, რისი განადგურებაც ადამიანს შეუძლია, მაგალითად, სანამ ათი წელი შემსრულებია, მე არ ვმსჯელობ მცნებათა უაზრობის შესახებ, მაგრამ მე მაინც ადამიანი ვარ და ადამიანის მსგავსად სწორედ იმით ვმოქმედებ, რომ ბავშვობაში მცნებების წინააღმდეგ არ ვჯანყდები. ერთი სიტყვით, არანაირი მოწოდება მე არ გამაჩნია და არანაირ მოწოდებას არ მივდეგ - თვით ადამიანად ყოფნის მოწოდებასაც. შესაბამისად, ნუთუ უარყოფ მე ყველაფერს, რასაც ლიბერალიზმმა მიაღწია მღვრული დაძაბულობით? ნურაფერი

დაიკარგება, რაც ოდესმე ყოფილა მიღწეული! მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიბერალიზმის წყალობით „ადამიანი“ განთავისუფლდება, ჩემს მზერას კვლავ საკუთარი თავისკენ მივმართავ და გულწრფელად ვაღიარებ, რომ ყველაფერი, რაც თითქოს ადამიანის მიერ არის მიღწეული, - ეს ყველაფერი მე მოვიხვეჭე. ადამიანი თავისუფალი მაშინ არის, როდესაც „ადამიანი ადამიანისთვის - უზენაესი არსებაა“. შესაბამისად, ლიბერალიზმის გამარჯვებისთვის ყველა სხვა უზენაესი არსების განადგურება აუცილებელი, თეოლოგიის ადგილას ანთროპოლოგიის მოთავსება, რომელიც ღმერთსა და მის წყალობას აბუჩად იგდებს, „ათეიზმი“ კი საყოველთაო მონაპოვრად უნდა იქცეს. როდესაც „ჩემი ღმერთი“ უაზრობად იქცა, საკუთრების ეგოიზმმა უკანასკნელი დანაკარგი განიცადა: რადგან ღმერთი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მას გულთან ახლოს მიაქვს ცალკეული პიროვნების სიკეთე, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მასში საკუთარ სიკეთეს ეძებს. პოლიტიკურმა ლიბერალიზმმა ბაგონსა და მსახურს შორის უთანასწორობა მოსპო, მოსპო ბაგონყმობა და ანარქია შექმნა. ბაგონყმობა ცალკეულ პიროვნებას, „ეგოისტს“ ჩამოერთვა და თანდათანობით აჩრდილს გადაეცა: კანონს ანუ სახელმწიფოს. სოციალური ლიბერალიზმი ანადგურებს უთანასწორობას საკუთრებაში, ანადგურებს უფსკრულს მდიდარსა და ღარიბს შორის, და ყველას უქონელად, საკუთრების არმქონედ აქცევს. საკუთრება ჩამორთმეული აქვს ცალკეულ პიროვნებას და გადაეცა აჩრდილს - საზოგადოებას. ჰუმანიტარული ლიბერალიზმი უღმერთობის, ათეიზმისკენ მიგვიძღვება. ამიგომაც ცალკეული პიროვნების ღმერთიც - „ჩემი ღმერთი“ - უნდა განადგურდეს. ამგვარად, ბაგონის არარსებობა მსახურებისა და მონების არარსებობასაც ნიშნავს; საკუთრების არარსებობა - უღარდელობას; ღმერთის არარსებობა - ცრურწმენებისგან თავისუფლებას, რადგან ბაგონთან ერთად მსახურიც განადგურებულია, საკუთრებასთან ერთად - მასზე ზრუნვა, ხოლო მყარად დამკვიდრებულ ღმერთთან ერთად - ცრურწმენები. მაგრამ ვინაიდან ბაგონი სახელმწიფოს სახით აღდგება, კვლავ ჩნდებიან მსახურები: „მოქალაქენი“. ვინაიდან ქონება საზოგადოების საკუთრებად იქცა, კვლავ ჩნდება ზრუნვა: შრომა. დაბოლოს, ვინაიდან ღმერთი კვლავ აღდგება „ადამიანის“ სახით და ახალ ცრურწმენად იქცევა, მასთან ერთად წამოიმართება ახალი რწმენაც - რწმენა კაცობრიობის ანუ თავისუფლებისა. ცალკეული პიროვნების ღმერთის ადგილას თავსდება ყველასათვის საერთო ღმერთი - „ადამიანი“, რადგან „უმთავრესი ჩვენთვის - ადამიანად ყოფნაა“. თუმცა, ვინაიდან არავის შეუძლია სრულად იქცეს იმად, რაც „ადამიანის“ იდეით განისაზღვრება, ცალკეული პიროვნებისთვის ეს ცნება ამაღლებულ მიღმურობად, მიუღწეველ უზენაეს არსებად - ღმერთად რჩება. მეტიც, ისაა „ჭეშმარიტი ღმერთი“, რადგან ის ჩვენი შესაფყვისია; ის - ჩვენი საკუთარი „თვით“ - ვართ ჩვენ თვითონ, თუმცა დაშორებული და აზიღული ჩვენს თავს ზემოთ.

შენიშვნები

2 ↑ ბ. ბაუერი. საზოგადო ლიბერალური გაზეთი. 1843, #18.

3 ↑ დაე იმეიმოს თავისუფლებამ, თუნდაც დაღუპულა სამყარო (ლათ.).

4 ↑ სიგყვათა თამაშია: Meinung (შეხედულება) და mein (ჩემი).

5 ↑ ვშრომობ, შესაბამისად, ვარსებობ (ლათ.).

6 ↑ ბ. ბაუერი. ებრაელთა საკითხი. ბრაუნშვაიგი, 1842, გვ. 66.

7 ↑ ბ. ბაუერი. თავისუფლების კეთილი საქმე და ჩემი საკუთარი საქმე. ციურიხი, 1842, გვ. 62.

8 ↑ ბ. ბაუერი. ებრაელთა საკითხი. ბრაუნშვაიგი, 1842, გვ. 60.

“ჩემი ძალა”

უფლება - სამოგადოების სულია. თუ სამოგადოებას ნება გააჩნია, ეს ნება - უფლებაა, ის მხოლოდ უფლებას ეყრდნობა. მაგრამ რადგან ის მხოლოდ ერთეულზე ბაგონობის მეშვეობით არსებობს, უფლება - მისი ნება, მბრძანებლის ნებაა. არისგოგელე ამბობს, რომ სამართლიანობა - სამოგადოების სარგებელია.

ყოველგვარი არსებული უფლება - სხვისი უფლებაა, ანუ უფლება, რომელსაც „მე მანიჭებენ“, „ჩემზე ავრცელებენ“. მაგრამ შესაძლებელია მე უფლების მქონე მხოლოდ იმის გამოცხადებით ვიყო, რომ სხვები თვლიან ასე? იმავედროულად კი, რა არის უფლება, რომელსაც მე სახელმწიფოსა ან სამოგადოებაში მოვიპოვებ, თუ არა სხვის მიერ მონიჭებული უფლება? თუ უგუნური შეუდგება ჩემს გამართლებას, მე ეჭვს შევიგან ჩემს სიმართლეში: მე არ მსურს, რომ უგუნური მამართლებდეს. მაგრამ ბრძენიც რომ მამართლებდეს, ეს მაინც არ გამოდგებოდა ჩემი სიმართლის დასტურად. ჩემი ალაღმართლობა სრულებით არ არის დამოკიდებული ბრძენთა და უგუნურთა გადაწყვეტილებებზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ დღემდე ასეთი სიმართლეს ველგვოდით. ჩვენ ვეძებთ სამართალს და საამისოდ სასამართლოს მივმართავთ. რომელს? სამეფოს, საეკლესიოს, საჯაროს. შეუძლია კი სულთნის სასამართლოს სიმართლის შესახებ საკითხი იმისგან განსხვავებულად გადაწყვიტოს, რასაც სულთანი მიიჩნევს სამართლიანად? მაგალითად, შეუძლია თუ არა სასამართლოს უფლებამოსილად ცნოს გადაწყვეტილება სამშობლოს ღალატის შესახებ, თუ სულთანი არ თვლის ასე? შეძლებს ცენზის სასამართლო სიყვევისა და ბეჭდვის თავისუფლება, ამრის თავისუფლად გამოთქმის თავისუფლება მომანიჭოს, თუ სულთანი არ ისურვებს ჩემთვის ასეთი უფლების მონიჭებას?

რისი მონიჭება შეუძლია ჩემთვის ასეთი სასამართლოს? ის სულთნის უფლებას იცავს და არა ჩემსას: მე იქ სხვის უფლებას მოვიპოვებ. და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სხვისი უფლება ჩემსას თანხვდება, მეც მართალი აღმოვჩნდები ამ სასამართლოზე.

სახელმწიფოსთვის დაუშვებელია აღამიანებს შორის შეჯახება; იგი ყველა სახის პაექრობას ეწინააღმდეგება. ყოველი ისეთი ჩხუბიც კი, როდესაც არც ერთი მხარე არ უხმობს პოლიციას, ისჯება, გარდა შემთხვევისა, როდესაც არა რომელიმე „მე“ ცემს ვინმე „შენ“ -ს, არამედ როდესაც ოჯახის უფროსი სჯის საკუთარ შვილს: ოჯახი აღჭურვილია უფლებებით, მისი სახელით კი უფლებას მამაც იყენებს, მაგრამ მე, ერთადერთი, არანაირი უფლებებით არ ვსარგებლობ.

[„Vossische Zeitung“](#) „ უფლებრივ სახელმწიფოს “ გვთავაზობს. მასში ყველაფერი მოსამართლის მიერ უნდა გადაწყდეს სასამართლოზე. ცენზის უზენაესი სასამართლოც აღიარებულია მის მიერ ინსტიტუტად, სადაც „ მართლმსაჯულებას აღასრულებენ “ . რა უფლებებს იცავენ იქ? ცენზურის უფლებას. იმისათვის, რომ ამ სასამართლოს განაჩენი მართლმსაჯულებად იქნას აღიარებული, აუცილებელია, რომ ცენზურაც სამართლიანობად ჩაითვალოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიაჩნიათ, რომ სასამართლო გვიცავს. დიახ, გვიცავს ცალკეული ცენზორის შეცდომისგან: იგი ცენზის კანონმდებელს იცავს მისი ნების უმართებულო განმარტებისგან, მაგრამ კანონმდებელთან მიმართებით კიდეც უფრო მეტად ამყარებს კანონს, ანიჭებს რა მას „ უფლების წმინდა ძალას “ .

მართალი ვარ თუ არა - ამას ჩემს გარდა ვერავინ განსჯის. სხვებს მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობა შეუძლიათ, ცნობენ თუ არა ჩემს ამ უფლებას და წარმოადგენს თუ არა იგი უფლებას მათ თვალშიც.

მაგრამ მოდით საკითხს სხვა კუთხით შევხედოთ. მე სულთნის კანონს პაგივი უნდა ვცე სულთანაგში, საჯარო უფლებას - რესპუბლიკაში, კანონიკურ უფლებას - კათოლიკურ საძმოში და ა.შ. მე ამ უფლებებს უნდა დავემორჩილო, უნდა ვაღიარო ისინი სიწმინდეებად. ამგვარი „ უფლებაცნობიერება “ და სამართლიანობის იდეა იმდენად ღრმად არის გამჯდარი ადამიანთა თავებში, რომ ჩვენი დროის უკიდურესი რევოლუციონერებიც კი არ ამბობენ უარს დაგვაქვემდებარონ ახალ „ წმინდა უფლებას “ - „ სამოგადოების უფლებას “ , სამოგადოებრიობას, კაცობრიობის სამართალს, „ ყველას უფლებას “ და ა.შ. „ ყველას “ უფლებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ჩემს უფლებასთან შედარებით. მაგრამ, როგორც ყველას უფლება, ის ჩემიც იქნებოდა, რადგან მეც ვეკუთვნი „ სხვებს “ . თუმცა ის, რომ იგი იმავდროულად ყველას უფლებაა, სულაც არ მაიძულებს, დავიცვა იგი. მე მას ვიცავ, არა როგორც ყველას უფლებას, არამედ, როგორც ჩემსას, და სხვადასხვა ასევე დაიცვას თავისი უფლება. ყველას უფლება (მაგალითად, კვების უფლება) - თითოეულის უფლებაა. დაე, თითოეულმა თავისთვის დაიცვას ეს უფლება, მაშინ კი ყველა შეძლებს მისით სარგებლობას. სრულებით არ არის საჭირო, რომ თითოეული ზრუნავდეს ყველაზე და გზებით იცავდეს ყველას უფლებას.

მაგრამ სოციალური რეფორმატორები „ სამოგადოებრივ უფლებას “ ქადაგებენ, რაც თითოეულს სამოგადოების მონად აქცევს, და ეს თითოეული - უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს, თუ სამოგადოება მიანიჭებს მას ამ უფლებას, სხვა სიტყვებით, თუ ის სამოგადოების კანონებით ცხოვრობს, შესაბამისად, თუ ის ლოიალურია, მაგრამ ლოიალური ვარ მე დესპოტურ სახელმწიფოსა თუ ვაიგლინგის „ სამოგადოებაში “ - ეს მაინც უუფლებობაა, რადგან ორივე შემთხვევაში მე არა საკუთარი, არამედ სხვისი უფლებით ვსარგებლობ.

უფლებათა სფეროში ყოველთვის დაისმის შემდეგი კითხვა: „ ვინ ან რა მანიჭებს მე ამ უფლებას? “ პასუხი: „ ღმერთი, სიყვარული, გონება, ბუნება, ჰუმანურობა და ა.შ. “ არა! მხოლოდ შენი ძალა განიჭებს უფლებას (შეგნიშნავ, რომ მისი მონიჭება შენს გონებასაც შეუძლია).

კომუნიზმი, რომელიც მიიჩნევს, რომ ადამიანები „ ბუნებით თანაბარი უფლებებით არიან დაჯილდოვებულნი “ , საკუთარ შეხედულებას ამხობს იმის შესახებ, რომ ადამიანებს ბუნებით არანაირი უფლებები არ დაჰყოლიათ. ის

ხომ არ აღიარებს, რომ მშობლებს „ ბუნებით “ მინიჭებული უფლებები აქვთ შვილების მიმართ ან პირიქით, შვილებს - მშობლების მიმართ: ეს ოჯახის განადგურება იქნებოდა. ბუნება მშობლებსა და შვილებს არანაირ უფლებებს არ ანიჭებს. საერთოდ კი, მთელი ეს რევოლუციური, ბაბიოფისეული მოძღვრება რელიგიურ ანუ ცრუ თვალსაზრისს ეყრდნობა. „ უფლება “ ხომ რელიგიური ცნებაა, ანუ ის ხომ წმინდაა? ხომ არის რევოლუციის მიერ გამოცხადებული „ უფლებრივი თანასწორობა “ - „ ქრისტიანული თანასწორობის “ , „ ძმათა თანასწორობის “ , ღვთის შვილების, ქრისტიანების და ა.შ., ერთი სიგყვით - ძმობა? უფლების შესახებ ყველა კითხვას შილერის აღმფრთხილებელი სიგყვებით უნდა ვპასუხობდეთ: „ უკვე მრავალი წელია ცხვირს ვიყენებ ყნოსვისთვის, მაგრამ მართლაც გამაჩნია ამის უღაო უფლება? “

როდესაც რევოლუციამ თანასწორობა „ უფლების “ რანგში აიყვანა, მან რელიგიის, სიწმინდის, იდეალთა სფეროში შეაბიჯა. ამიგომაც დაიწყო იმ დროიდან ბრძოლა „ადამიანის წმინდა, განუყოფელი უფლებებისთვის“. ადამიანის მარად უფლებებს ბუნებრივად და მართლზომიერად უპირისპირდებოდა „ მოპოვებული უფლებები “ : უფლებას უფლება უპირისპირდებოდა, ამასთან ერთი მეორეს უსამართლობას უწოდებდა. ასეთი გახლავთ უფლების შესახებ კამათი დიდი რევოლუციის დროიდან.

თქვენ გსურთ სხვების მიმართ „ გაგაჩნდეთ უფლება “ , მაგრამ ეს შეუძლებელია. სხვათა მიმართ თქვენ ყოველთვის „ უუფლებო “ იქნებით, რადგან ისინი არც იქნებოდნენ თქვენი მოწინააღმდეგეები, თავადაც რომ არ გააჩნდეთ უფლებები; ისინი თქვენ ყოველთვის უუფლებოდ ჩაგთვლიან. მაგრამ თქვენი უფლება სხვების მიმართ - უზენაესი, ყველაზე ძალმოსილია, ასე არ არის? არავითარ შემთხვევაში! თქვენი უფლება არ არის უფრო ძალმოსილი, თუ თქვენ თავად არ ხართ უფრო ძალმოსილი. ნუთუ აქვთ ჩინეთის ქვეშევრდომებს თავისუფლების უფლება? მიანიჭეთ მათ ეს უფლება და დაინახავთ, რამდენად ცლებოდათ: მათ არ იციან თავისუფლებით სარგებლობა და ამიგომ არ გააჩნიათ თავისუფლების უფლება, ან, უფრო ზუსტად, მათ არ გააჩნიათ თავისუფლება, და ამიგომ არც უფლება აქვთ თავისუფლებაზე. ბავშვებს არ გააჩნიათ სრულწლოვანების უფლება, რადგან ისინი არ არიან სრულწლოვანები: ანუ იმიგომ, რომ ისინი ბავშვები არიან. ერებს, რომლებმაც ვერ მიაღწიეს სრულუფლებიანობას, არ გააჩნიათ სრულუფლებიანობის უფლება: გამოდიან რა უუფლებობის მდგომარეობიდან, ისინი სრულუფლებიანობის უფლებას იძენენ.

სხვა სიყვევებით: იმის უფლება გაქვს, რად ქცევის ძალაც შეგწევს. ყველა უფლებასა და უფლებამოსილებას საკუთარ თავში მოვიპოვებ. ყველაფრის უფლება მაქვს, რისი დაძლევაც შემიძლია. მე მაქვს უფლება დაგამხო ბევსი, იელოვა, ღმერთი, თუკი ძალმიძს ამის გაკეთება, ხოლო თუ არ ძალმიძს, ეს ღმერთები ჩემთან მიმართებით მუდამ მართლები და ძლიერები იქნებიან, მე კი იძულებული ვიქნები ქელი მოვიხარო მათი უფლებისა და ძალის წინაშე უმწეო „ღვთიურ შიშში“, უნდა დავიცვა მათი მცნებები და საკუთარი ქმედების სიმართლე ცნო ყველაფერში, რასაც მათი უფლების შესაბამისად ჩავიდენ, როგორც რუსი საზღვრის გუშაგი ანიჭებს საკუთარ თავს უფლებას, ესროლოს მისგან გაქცეულ საეჭვო პირებს, მოქმედებს რა ამ დროს „უმაღლესი სარდლობის“ ბრძანებით, ანუ კლავს „უფლების საფუძველზე“. მე კი თავად ვანიჭებ საკუთარ თავს მკვლელობის უფლებას, სანამ თავად არ ავუკრძალავ ამას საკუთარ თავს, სანამ თავად არ ვიგყვი უარს მკვლელობაზე, არ შემეშინდება მისი, როგორც „უფლების დარღვევისა“. მსგავსი ამრია გატარებული შამისოს ლექსში „მკვლელობათა გრამალი“, სადაც წითელკანიანი, ჭაღარა მკვლეელი მოკრძალების გრძნობას იწვევს ევროპელში, რომელსაც მან მეგობრები დაუხოცა. მე მხოლოდ იმის უფლება არ მაქვს, რასაც სრულიად თავისუფლად და გაცნობიერებულად არ ვაკეთებ ანუ იმისა, რის უფლებამოსილებას თავად არ ვანიჭებ საკუთარ თავს.

მე თავად ვიღებ გადაწყვეტილებას - მაქვს თუ არა რაიმეს უფლება; ჩემს გარეთ არანაირი უფლება არ არსებობს. ის, რაც მე მართებულად მიმაჩნია - არის კიდევ მართებული. შესაძლოა, სხვებს ეს ასე არ ეჩვენებოდეთ, მაგრამ ეს მათი საქმეა და არა ჩემი: დაე, ისინი ჩადგნენ დაცვაში. მთელი სამყაროც რომ არამართებულად თვლიდეს იმას, რაც, ჩემი ამრით, მართებულია და რაც მე მსურს, აინუნშიც არ ჩავაგდებდი მთელ სამყაროს. ასე მოქმედებს ყველა, ვინც აფასებს საკუთარ თავს, ყველა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის ეგოისტია, რადგან ძალა აღემატება უფლებას - ამის სრული უფლებით.

„რამდენადაც მე ბუნებით ადამიანი ვარ, იმდენად ვფლობ თანაბარ უფლებას ვისარგებლო ყველა სიკეთით“ - ამბობს ბაბიოფი. ხომ არ უნდა დაგვემაგებინა: რადგან მე „ბუნებით“ პირველი უფლისწული ვარ, გვირგვინის უფლება გამაჩნია?! ადამიანური უფლებები, ისევე, როგორც „შეძენილი უფლებები“, ერთსა და იმავეზე დაიყვანება, კერძოდ კი ბუნებაზე, რომელიც მე უფლებებს მანიჭებს, ანუ დაიყვანება დაბადებაზე (შემდეგ შემკვიდრებითობა და ა.შ.). „მე ადამიანად ვარ დაბადებული“ უგოლდება შემდეგს: „მე უფლისწულად ვარ დაბადებული“. ადამიანი ბუნებით ფლობს ბუნებრივ უფლებებს მხოლოდ იმიტომ, რომ ძალა და ბუნებრივი მოთხოვნილებები გააჩნია. მაგრამ ბუნებას არ ძალუძს მომანიჭოს მე უფლებები, ანუ ძალა და უნარი იმისა, რის უფლებასაც მხოლოდ ჩემი ქმედებები მანიჭებენ. ის, რომ უფლისწული საკუთარ თავს სხვებზე მაღლა აყენებს, მისი ქმედებაა, რაც მის უპირატესობას უბრუნველყოფს, ხოლო ის, რომ სხვათა შვილები აღიარებენ მის ქმედებას, ეს - მათი ნამოქმედარია, რაც ქვეშევრდომობის ღირსად აქცევს მათ.

ბუნება, ღმერთი, ხალხი თუ ა.შ. მანიჭებს მე უფლებას - ეს ნებისმიერ შემთხვევაში სხვისი უფლებაა, უფლება, რომელსაც მე არ ვანიჭებ ან ვართმევ საკუთარ თავს.

კომუნისტები ამბობენ, რომ თანაბარი შრომა ადამიანებს სიამოვნების თანაბარ უფლებას ანიჭებს. უწინ ასეთ კითხვას სვამდნენ: ხომ არ უნდა სარგებლობდნენ „პატიოსანი“ ადამიანები „ბედნიერებითაც“? იუდეველები ასეც მსჯელობდნენ, ამბობდნენ რა: „სიკეთე გწეოდეს ამქვეყნად“. არა, თანაბარი შრომა არ გაძლევს შენ ამის უფლებას; მხოლოდ თანაბარი სიამოვნება გაძლევს თანაბარი სიამოვნების უფლებას. ისიამოვნე - და შენ გექნება სიამოვნების უფლება. მაგრამ თუ შენ შრომობდი და საკუთარ თავს წაართვი სიამოვნება, მაშინ ტანჯავაც დაიმსახურე.

თუ თქვენ აიღებთ სიამოვნებას, ეს თქვენი უფლება იქნება, ხოლო თუ თქვენ მისკენ სწრაფვა გექნებათ მხოლოდ და ვერ გაბედავთ მის შეპყრობას, მაშინ იგი იმით „შეძენილ უფლებად“ დარჩება, ვისაც სიამოვნების პრივილეგია გააჩნია. ის მათი უფლებაა, როგორც შეპყრობის შემთხვევაში იქცეოდა თქვენს უფლებად.

„საკუთრების უფლების შესახებ კამათი“ მერყევი ხასიათისაა. კომუნისტები ამტკიცებენ, რომ „მიწა კანონიერად ეკუთვნით მათ, ვინც მას ამუშავეს, ხოლო მისი პროდუქტები მას - ვინც მათ აწარმოებს“. მე კი მიმაჩნია, რომ იგი მას ეკუთვნის, ვისაც მას ვერ ართმევენ. თუკი ის მიწას დაისაკუთრებს, მაშინ მას არა მხოლოდ მიწა ეკუთვნის, არამედ უფლებაც მასზე. ეს - ეგოისტური უფლებაა, ანუ ეს ჩემთვის მოსახერხებელია, ამიტომ ეს ჩემი უფლებაა.

საპირისპირო შემთხვევაში უფლება ყოველთვის „გაორებული“ იქნება. ვეფხვი, რომელიც მე მეცემა, მართალია და მეც მართალი ვარ, ვკლავ რა ვეფხვს. მე მის წინაშე არა ჩემს უფლებას, არამედ საკუთარ თავს ვიცავ.

ვინაიდან ადამიანური უფლება ყოველთვის ბოძებულია, სინამდვილეში იგი დაიყვანება უფლებაზე, რომელსაც ადამიანები ერთმანეთს გადასცემენ ანუ „ანიჭებენ“. თუ ახალდაბადებულ ბავშვებს ანიჭებენ არსებობის უფლებას, მათ გააჩნიათ ეს უფლება; ხოლო თუ მათ ამ უფლებას არ ანიჭებენ, როგორც ეს სპარგასა და ძველ რომში იყო, მათ იგი არ გააჩნიათ. რადგან ბოძება „მინიჭება“ მხოლოდ საზოგადოებას ძალუძს, მათ თავად არ შეუძლიათ მისი აღება ან საკუთარი თავისთვის გადაცემა. შესაძლოა შემეკამათონ: ბავშვები „ბუნებით“ სარგებლობდნენ სიცოცხლის უფლებით, მაგრამ სპარგელებმა უარყვეს ამ უფლების აღიარება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ არც გააჩნდათ ასეთი აღიარების უფლება, ისევე, როგორც არ ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ მათი სიცოცხლის აღიარება იმ მხეცებისგან, ვის საკვებადაც მათ იყენებდნენ.

მრავალს საუბრობენ თანდაყოლილი უფლების შესახებ და მწარედ ნაღვლობენ: თანდაყოლილი უფლების შესახებ ჩვენ სამწუხაროდ არავინ გვამცნობს. მაგრამ რომელია „

თანდაყოლილი “ უფლება? შესაძლოა ეს არის მაიორაგული მამულის ფლობის, მემკვიდრეობით გვირგვინის მიღების, სამეფო ან თავად-აზნაურული განათლების ან უფასო სკოლაში დასწრებისა (თუ ღარიბ ოჯახში დავიბადე) და შემოწირული ძონძებით შემოსვის უფლება, ან, ბოლოს და ბოლოს, უფლება ლუკმა-პურის შოვნისა მალაროში ან საფეიქრო დაზგასთან მუშაობით? ნუთუ ყოველი მათგანი თანდაყოლილი უფლება არ არის, უფლება, რომელიც მემკვიდრეობით მერგო მშობლებისგან? თქვენ ფიქრობთ: „ არა “ . თქვენ თვლით, რომ ეს „ ყალბი “ უფლებებია, რომლებიც ექსპლუატაციიდან გამომდინარეობს, თქვენ კი ამ „ მოჩვენებითი “ უფლებების მოსპობას ცდილობთ და მათ ჩანაცვლებას ჭეშმარიტად თანდაყოლილი უფლებებით. თქვენ ამას იმით ამტკიცებთ, რომ უბრუნდებით ყველაზე ელემენტარულს და ასაბუთებთ, რომ ყველა თანასწორია დაბადებიდან ანუ ყოველი ადამიანი. მე მზად ვარ ვაღიარო, რომ ყველა ადამიანი ადამიანად იბადება და ახალშობილები ამ მიმართებით თანასწორები არიან. მაგრამ რაგომ არიან თანასწორები? მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ სხვა არაფრით გამოირჩევიან, რომ დაბადებისას ისინი ჯერ კიდევ ადამიანის შეილები არიან. მაგრამ სწორედ ამით განსხვავდებიან ისინი მათგან, ვინც უკვე მოასწრო რაღაცად ქცევა, ვინც უკვე აღარ არის მხოლოდ „ შეილი ადამიანისა “ , არამედ საკუთარ ქმნილებათა პირმშოს წარმოადგენს. ამ უკანასკნელებს უკვე არა მხოლოდ თანდაყოლილი უფლებები გააჩნიათ - მათ უკვე შეიძინეს კიდევ უფლებები! როგორი დაპირისპირება, რაოდენ ფართო საბრძოლო ასპარეზია. ადამიანის თანდაყოლილ უფლებათა ოდინდელი ბრძოლა შეძენილ უფლებებთან. რამდენჯერაც გნებავთ, იმდენჯერ მოუხმეთ თანდაყოლილ უფლებებს, მათ საპირისპიროდ მუდამ დაასახელებენ შეძენილ უფლებებს. ორივე მეტოქე „ უფლების საფუძველზე “ დგას, ვინაიდან თითოეული მათგანი მეორეს რაიმე უფლებით უპირისპირდება: ერთი - თანდაყოლილ ან ბუნებრივ უფლებას ასახელებს, მეორე - შეძენილს.

უფლების ნიადაგზე ღარჩენით თქვენ შესაძლოა მოლაყბედ იქცეთ. სხვას არ შეუძლია თქვენთვის უფლების მონიჭება ან „ სათანადო სამართლიანობის გამოხატვა “ . ვისიცაა ძალა - მისივეა უფლებაც; თუ პირველს არ ფლობთ, არ გაქვთ მეორე. ნუთუ ასე რთულია ამ „ სიბრძნის “ დაუფლება? საკმარისია იმ ადამიანებისკენ მიაქციოთ მზერა, ვინც ძალაუფლებას ფლობს, მათ ქმედებებს შეხედეთ! რასაკვირველია, ჩვენ მხოლოდ ჩინეთისა და იაპონიის შესახებ ვსაუბრობთ... აბა სცადეთ, ჩინელებო და იაპონელებო, დაარღვიოთ „ უფლება “ ამ „ ძლიერთა ამა ქვეყნისათა “ და მყის იხილავთ, როგორ გიკრავენ თავს საკანში. (ნუ დაფურთავთ გემოაღნიშნულს იმ „ კეთილისმსურველ რჩევებს “ , რომელთა გაცემა ჩინეთსა და იაპონიაშიც ნებადართულია, რადგან ისინი არა თუ ხელს არ უშლიან ძლიერთ, არამედ ეხმარებიან კიდევ მათ). მას, ვინც მათ „ უფლებას “ აღუდგებოდა წინ, ერთადერთი გზა დარჩებოდა - გზა ძალადობისა (დანაშაულის). და თუ ის შეძლებდა მათთვის ძალაუფლება ჩამოერთმია, ის მათ ჭეშმარიტად ჩამოართმევდა უფლებებს. საპირისპირო შემთხვევაში მას შეუძლია მხოლოდ ჯიბიდან მოიღეროს მუშგი ან ბრიყვად გადაეგოს.

ერთი სიგყვით, ჩინელებო და იაპონელებო, აღარაფერი იკითხოთ უფლების შესახებ, განსაკუთრებით კი უფლებისა, რომელიც „ თქვენთან ერთად იშვა ქვეყანაზე “ , და თქვენ არც შეძენილი უფლებების შესახებ მოგიწევთ კითხვების დასმა.

თქვენ შეძრწუნებულები იხვეთ სხვათა წინაშე, რადგან გეჩვენებათ, რომ მათ ბურგს უკან უფლების აჩრდილი დგას, რომელიც, როგორც ჰომეროსისეულ ბრძოლებში, მათ უჭერს მხარს. თქვენ როგორღა იქცევით? შუბს გყორცნით? არა, თქვენ გარშემო უვლით, ყველა სახის ფანდებს მიმართავთ და ცდილობთ აჩრდილი თქვენკენ გადაიბიროთ. თქვენ აჩრდილის კეთილგანწყობას ეძებთ. სხვა თქვენს ადგილას იკითხავდა: მსურს კი მე ის, რაც ჩემს მოწინააღმდეგეს სურს? არა! მაშინ, ასეთ შემთხვევაში, მათ რომ ღმერთთა და ეშმაკთა ლეგიონები უჭერდნენ მხარს, მე მაინც მის წინააღმდეგ გამოვალ.

„ უფლებრივი სახელმწიფო “ მსგავსი იმისა, როგორსაც „ [Vossische Zeitung](#) “ იცავს, მოითხოვს, რომ მოხელეები თანამდებობიდან მხოლოდ მოსამართლეებმა და არა ადმინისტრაციამ გაათავისუფლოს. ფუჭი ილუზია! თუკი კანონი განსაზღვრავდა, რომ სიმთვრალეში შენიშნული მოხელე თანამდებობიდან უნდა იქნას განთავისუფლებული, მოსამართლეებიც იძულებულნი იქნებოდნენ გაესამართლებინათ იგი მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე. მოკლედ რომ ვთქვათ, კანონმდებელს მხოლოდ ყველა საბაბი და საფუძველი უნდა ჩამოეყალიბებინა, რომელიც საკმარისი იქნებოდა თანამდებობიდან გასათავისუფლებლად, ხოლო მოსამართლეებს „ კანონის საფუძველზე “ („ კანონის ძალით “) უნდა გამოჰქონდეთ განთავისუფლების შესახებ განაჩენი, თუ ბრალდებული მართლაც დამნაშავეა იმაში, რისთვისაც პასუხისგებაშია მიცემული. მოსამართლეები კი ყოველ ჯერზე ასე უნდა იქცეოდნენ, რაოდენ სასაცილო არ უნდა იყოს საბაბი და საფუძველი, მაგალითად: „ თანამდებობიდან უნდა იქნას განთავისუფლებული ყოველი, ვინც სახეში შესცინა საკუთარ უფროსს ან ყოველ კვირა დღეს არ დადის ეკლესიაში, ან ის, ვინც ვალებს იღებს, საკმარისად ინიციატივიანი არ არის და ა.შ. “

ყოველი მოსამართლე, როგორც მოსამართლე, სრულად იბნევა, თუკი ის მექანიკურად აღარ მოქმედებს, თუკი მას ჩამორთმეული აქვს „ მტკიცებულებების დებულება “ . მაშინ მას, ისევე, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს, მხოლოდ საკუთარი აზრი რჩება, მაგრამ თუ იგი გადაწყვეტილებას ამ საკუთარი აზრის საფუძველზე იღებს, მაშინ ეს უკვე აღარ არის თანამდებობრივი აქტი; მოსამართლის სახით ის ვალდებულია გადაწყვეტილებები მიიღოს მხოლოდ „ კანონის შესაბამისად “ . ისე, უმჯობესია, როგორც საფრანგეთის ძველ პარლამენტებში ხდებოდა, რომლებიც თვითონ წყვეტდნენ და განსაზღვრავდნენ გადაწყვეტილებათა კანონიერებას. ისინი, სულ ცოგა, სჯიდნენ საკუთარი უფლების საფუძველზე და არ სურდათ კანონმდებლის მანქანად ქცევა, თუმცა მოსამართლეების სახით ისინი, რასაკვირველია, საკუთარი თავის მანქანებად უნდა ქცეულიყვნენ. ამბობენ, რომ სასჯელი - დამნაშავის „ უფლებაა “ . თუმცა დაუსჯელობაც მისი უფლებაა. თუ მისი ჩანაფიქრი წარმატებულია - ის საკუთარ უფლებებშია, ხოლო თუ წარუმატებელია - ახია მაგამე. „

როგორ ლოგინშიც ჩაწვები - ისე დაიბინებ “. თუ ვინმე შლეგური გაბელულებით აგლებს საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში და ამ დროს ილუპება, ჩვენ ვამბობთ: „ ახია მაგამე, მას ეს ხომ თავად სურდა! “ მაგრამ რომ გადაელახა დაბრკოლებები, ანუ მის ძალას რომ მოეპოვებინა გამარჯვება, ის მაშინაც მართალი იქნებოდა. თუ ბავშვი დანით თამაშისას ხელს გაიჭრის, ჩვენ მასაც გავამართლებთ. ამავე საფუძვლით მიაჩნიათ მართებულად, რომ დამნაშავემ თავისი სარისკო ნაბიჯის შედეგებზე აგოს პასუხი: რატომ უნდა გაგერისკა, თუკი იცი, რა შედეგი შეიძლება მოყვეს ამას. მაგრამ „ სასჯელი “, რომელსაც ჩვენ ვაკისრებთ მას, ჩვენი „ უფლებაა “ და არა მისი. ჩვენი ამ „ უფლებით “ ვპასუხობთ მის უფლებას, ხოლო ის „ უუფლებო “ აღმოჩნდება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვაჯობეთ მას.

იმას, რასაც საზოგადოება მართებულად და მართლზომიერად მიიჩნევს, კანონშიც ასახავს.

ლოიალური მოქალაქე პატივს უნდა სცემდეს კანონს, როგორც არ უნდა იყოს ის. მაგალითად, ქება-დიდებას უძღვნიან „ ძველი ინგლისის “ კანონიერების განცდას. ამავეს შეესაბამება ევრიპიდეს სიგყვები („ ორესტე “): „ ღმერთებს, როგორებიც არ უნდა იყვნენ, ვემსახურებით “. კანონი ზოგადად, ღმერთი ზოგადად - აი, სადამდე მივვლით დღევანდელ დღეს.

ცდილობენ კანონის განსხვავებას თვითნებური ბრძანების, რაიმე განკარგულებისგან: კანონი მართლზომიერი ავტორიტეტისგან მოდის. თუმცა ყველა კანონი, რომელიც ადამიანთა ქმედებებს არეგულირებს (მაგალითად, ეთიკური კანონი, სახელმწიფო კანონი და ა.შ.), ყოველთვის ნების გაცხადებას და, შესაბამისად, ბრძანებას წარმოადგენს. საკუთარი თავისთვისაც რომ მიმეცა კანონი, ეს მაინც ჩემი განკარგულება იქნებოდა, რომელსაც შემდეგ წუთს შესაძლოა აღარ დავემორჩილო. რასაკვირველია, თითოეულს შეუძლია თავად განსაზღვროს, რისი უფლების მიცემა შეუძლია საკუთარ თავთან მიმართებით და ამით აკრძალოს კანონით საწინაღმდეგო, გამოაცხადებს რა ამ კანონის დამრღვევს საკუთარ მგრად. მაგრამ არავის შეუძლია ჩემი ქმედებები განკარგოს, ვერაფერს გაბედავს ამა თუ იმ სახის ქმედებები მიკარნახოს და ამისათვის კანონები დამიდგინოს. მე უნდა შევეურიგდე იმას, რომ მისი დამოკიდებულება ჩემდამი მგრული იქნება, მაგრამ ვერ დავუშვებ, რომ მე ისე მმართველს, როგორც საკუთარ ქმნილებას და საკუთარი ჭკუა ან უგუნურება მომახვიოს თავს.

სახელმწიფო მანამ არსებობს, სანამ გაბატონებული ნება არსებობს, ხოლო ეს გაბატონებული ნება საკუთარი ნების გოლფასად ითვლება. მბრძანებლის ნება - კანონია. რაში გარგია კანონები, თუ მათ არავინ იცავს, რას ნიშნავს შენი განკარგულებები, როცა ვერაფერს უბრძანებ? სახელმწიფო ვერ იცყვის უარს იმ პრეცედენტზე, რომ ერთი პიროვნების ნება განსაზღვროს და მასზე ბემოქმედების იმედი აქვს. მისთვის, რასაკვირველია, აუცილებელია, რომ არავის გააჩნდეს საკუთარი ნება; ვინმეს რომ ასეთი რამ აღმოაჩნდეს, სახელმწიფომ იგი უნდა გარიცხოს (დააპატიმროს, განდევნოს და ა.შ.); ყველას რომ მისი

ცალკეული ნება ჰქონოდა, ისინი ამით სახელმწიფოს გაანადგურებდნენ, რადგან ამ უკანასკნელს სურს, რომ ყველას მბრძანებელი იყოს, ვისაც აერთიანებს, და სწორედ ამ ნებას უწოდებენ „სახელმწიფოს ნებას“ .

ის, ვისაც არსებობისთვის სხვათა უნებობის იმედი უნდა ჰქონდეს, - სათამაშოა ამ სხვათა ხელში. თუ მორჩილება განადგურდება, გარდაუვლად განადგურდება მბრძანებლობაც. ჩემი საკუთარი ნება - დამლუპველია სახელმწიფოსთვის, ამიგომ იგი ბრალს დებს მას, როგორც „თვითნებობას“ . საკუთარი ნება და სახელმწიფო - სასიკვდილოდ დაპირისპირებული ძალებია, რომელთა შორის „მარადიული მშვიდობის“ დამყარება შეუძლებელია. სანამ სახელმწიფო საკუთარ თავს ამკვიდრებს, იგი წარმოადგენს თითოეული ცალკეული პიროვნების საკუთარ ნებას, მის მუდმივ მოწინააღმდეგეს, როგორც რაღაც უგუნურებას, სიავესა და ა.შ., ერთეული ნება კი დაყვება ჩაგონებას და საკუთარ თავს სიავედ თელის - დიახ, ის უკვე მართლაც ასეთია იმ მიზეზით, რომ უფლებას აძლევს სხვას ამგვარად იქნას ჩაგონებული, მას ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებია საკუთარი ღირსება, რის გამო არასრულყოფილია და ცარიელი სიგყვებით მისი დაბნევა შესაძლებელია.

ყოველი სახელმწიფო - დესპოტურია, მიუხედავად იმისა, ერთია დესპოტი თუ რამდენიმე, როგორც რესპუბლიკაში - ყველა მბრძანებლობს, ანუ ერთი მბრძანებლობს მეორემე. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ ყოველი მოცემული კანონი, როგორც კრების შეხედულებისა და ნების გამოვლენა, იქცევა კანონად ერთეული პიროვნებისთვის, რომელსაც იგი ვალდებულია დაემორჩილოს ან რომლისადმი მორჩილების ვალდებულება გააჩნია. ისიც რომ დავუშვათ, რომ ყოველი ცალკეული პიროვნება იმავე ნებას გამოხატავდა, და ამგვარად სრულად განხორციელდებოდა „საყოველთაო ნება“ , საქმის ვითარება ოდნავადაც არ შეიცვლებოდა. ნუთუ ჩემი ნება, გამოვლენილი გუშინ, დღესაც და ხვალაც შემბორკავი არ იქნებოდა ჩემთვის? ასეთ შემთხვევაში ჩემი ნება მიიძინებდა. რა არის მუდმივობაზე უარესი? ჩემი ქმნილება, ანუ ჩემი ნების რომელიმე კონკრეტული გამოვლინება ჩემს მბრძანებლად იქცეოდა. ჩემი კი, შემოქმედის ნება, შეიკვეცებოდა. ხოლო ის, რომ მე ბრიყვი ვიყავი გუშინ, ასეთად უნდა დავრჩენილიყავი მთელი ცხოვრება. ამგვარად, სახელმწიფო ცხოვრების სფეროში მე, საუკეთესო შემთხვევისას, საკუთარი თავის მონად ვიქცევი. რადგან, გუშინ გამაჩნდა ნება, დღეს ნება არ გამაჩნია, გუშინ თვითნებობა მქონდა, დღეს თავისუფლება დავკარგე.

როგორ შევცვალოთ ყოველივე? მხოლოდ იმით, რომ მე არ ვცნობ არანაირ ვალდებულებას, ანუ არ ვიქცევი დამოკიდებულად. თუ მე ვალდებულებები არ გამაჩნია, არც კანონებს ვცნობ.

„მაგრამ ჩემს შებოჭვას ეცდებიან!“ ჩემს ნებას ვერაფერს შებოჭავს, და ჩემი უკუქმდება თავისუფალი იქნება. „მაგრამ ყველაფერი ყირამალა დადგებოდა, თითოეულს რომ იმის კეთება შეეძლოს, რაც მოესურვება!“ ვინ ამბობს, რომ ყველას შეუძლია ყველაფრის კეთება? იმიგომაც არსებობს, რომ არ დაუშვა შენთან მიმართებით ყველაფერი, რაც სხვებს

მოესურვებათ! დაიცავი საკუთარი თავი და ვერავინ ვერაფერს დაგიშავებს! მას, ვინც შენი ნების გაგეხვას ცდილობს, საქმე მხოლოდ შენთან აქვს: ის - შენი მგერია. იმოქმედე მის წინააღმდეგ, როგორც მგერისა. ხოლო თუ შენს უკან მილიონები დგანან, მაშინ თქვენ დიდ ძალას წარმოადგენთ და იოლ გამარჯვებასაც მიაღწევთ. მაგრამ თუ თქვენ აღძრავთ კიდეც პატივისცემის გრძნობას მგერში, როგორც ძალა, წმინდანად, ავტორიტეტად მაინც არ იქცევით მის თვალში, თუკი ის საბრალო ლაჩარი არ არის. ის სრულებით არ იქნება ვალდებული, თაყვანი და პატივი გცეთ, თუმცა თქვენი ძალის შიში ექნება.

ჩვეულებრივ, სახელმწიფოებს მათში უმაღლესი ხელისუფლების განაწილების მიხედვით ანიჭებენ კატეგორიებს. თუ ხელისუფლება ერთი ადამიანის ხელშია მოქცეული - ეს მონარქიაა, თუ მას ყველა ფლობს - დემოკრატია და ა.შ. ამგვარად მთელი საქმე უმაღლეს ხელისუფლებაშია! მაგრამ ხელისუფლება ვის მიმართ? ცალკეულისა და მისი „ თვითნებობის “ მიმართ. სახელმწიფო ამჟღავნებს „ ხელისუფლებას “ (ძალადობას), მაგრამ ცალკეულისთვის ეს დაუშვებელია. სახელმწიფოს საქმიანობა ძალადობაში მდგომარეობს; საკუთარ ძალადობას იგი „ უფლებას “ უწოდებს, ხოლო თითოეული პიროვნების ძალადობას - „ დანაშაულს “. შესაბამისად, დანაშაული ეწოდება ცალკეული ადამიანის ძალადობას, და მხოლოდ დანაშაულით ამხობს ის სახელმწიფოს ძალადობას, თუკი ის იმ ამრისაა, რომ სახელმწიფო კი არ ღვას მასზე მაღლა, არამედ იგი აღემატება სახელმწიფოს.

გავრისკავ სასაცილო გამოვჩნდე და ერთ კეთილ რჩევას მოგცემთ: არ გამოსცეთ კანონები, რომლებიც ჩემს თვითგანვითარებას, ჩემს თვითშემოქმედებას შეზღუდავენ. მაგრამ მე არ მოგცემთ ასეთ რჩევას. იგი რომ მიგელოთ, თქვენ უგუნურებად იქცეოდით, მე კი ჩემს ხელსაყრელ მდგომარეობას დაგვარგავდი. მე თქვენგან არაფერს ვითხოვ, რადგან რაც არ უნდა მოვითხოვო, თქვენ ვალდებული იქნებით ძალმოსილ კანონმდებლებად დარჩეთ, ისევე, როგორც ყვაფი ვერ შეძლებს გალობას და ავაბაკი - ძარცვის გარეშე ცხოვრებას. პირიქით, მე მათ ვეკითხები, ვისაც სურს, იყოს ეგოისტი: რა უფრო ეგოისტურად მიაჩნიათ - ნება დართონ სხვებს, რომ კანონები მისცენ მათ და პატივი სცენ ამ მათთვის მიცემულ კანონებს, თუ წინააღმდეგობა და სულაც დაუმორჩილებლობა გამოუცხადონ მათ? გულკეთილი ადამიანები ფიქრობენ, რომ კანონები მხოლოდ იმას უნდა აწესებდნენ, რაც ხალხს მეგად სამართლიანად ეჩვენება. მაგრამ რა საქმე მაქვს მე იმასთან, რასაც ხალხი მართებულად ან სამართლიანად მიიჩნევს? ხალხი შესაძლოა ღვთისმგმობელის წინააღმდეგი იყოს - ასეთ შემთხვევაში მიიღებენ კანონს ღვთისგმობის წინააღმდეგ. მხოლოდ ამიგომ ვთქვა უარი ღვთისგმობაზე? ნუთუ ეს კანონი ჩემთვის მეტი იქნება, ვიდრე „ ბრძანება “ ? - ვკითხულობ მე.

ყველა სახელმწიფო მოხელე მხოლოდ იმ დებულებიდან გამოდის, რომ ყველა უფლება და ძალა ეკუთვნის ხალხის ერთობლიობას. არც ერთ მათგანს არ ავიწყდება ერთობლიობაზე მინიშნება, და დესპოტიც, ისევე, როგორც პრეზიდენტი ან ნებისმიერი სახის არისტოკრატიული მთავრობა, მოქმედებს და განაგებს „ სახელმწიფოს სახელით “. მათ ხელშია „ სახელმწიფო ძალაუფლება “ , და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამ ძალადობას ხალხი ახორციელებს,

როგორც ამ ცალკეულ პიროვნებათა ერთობლიობა, თუ ამ ერთობლიობის მხოლოდ წარმომადგენლები, როგორც არისტოკრატიული მმართველობისას, ან ერთი ანუ მონარქი. ერთობლიობას ყოველთვის უპირატესობა აქვს ცალკეულთან შედარებით და ფლობს ძალას, რომელსაც კანონიერი ეწოდება ანუ ის, რაც უფლებად იქცევა.

სახელმწიფოს სიწმინდესთან მიმართებით ცალკეული პიროვნება მხოლოდ უწმინდური ჭურჭელია, რომელშიც, როგორც კი ის აღარ ცნობს სახელმწიფოს წმიდათაწმიდა სტაგუსს, აღარაფერი რჩება, გარდა სიამაყის, ავი მრახვების, ქილიკისადმი სწრაფვის, უგნურებისა და ა.შ. სახელმწიფო მოხელეთა და ქვეშევრდომთა უწმინდესმა ქელმალლობამ შესანიშნავი სასჯელი შეიძუშავა მიწიერი „სიამაყის“ წინააღმდეგ.

ზომიერი ლიბერალები, საპირისპიროდ ხელისუფლებისა, რომელიც თვლის, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ სულის ნებისმიერი გამოვლინება დასჯადი უნდა იყოს, თვლიან, რომ მოქმედების სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოს კაპრიზს, საგირას, იუმორსა და ა.შ. და რომ გენიოსს არ უნდა დაუწესოთ საზღვრები. შესაბამისად, თუ ცალკეული პიროვნება არა, გენიოსი მაინც უნდა იყოს თავისუფალი. სახელმწიფო კი, ან მისი სახით მთავრობა, ფრიად მართებულად ამბობს: ვინც ჩემკენ არ არის, ის ჩემი წინააღმდეგია. გონებამახვილობა, საგირა და ა.შ. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოებრიობის გამოხატვა კომიკური ელფერით, ოდითგანვე ძირს უთხრიდა სახელმწიფოს: ის არ არის „უბრალო“. შემდეგ: სად გადის მღვარი დანაშაულებრივ და უვნებელ ხუმრობას შორის? ამ კითხვისას ზომიერები ძლიერ უხერხულობას განიცდიან და ყველაფერი დაიყვანება თხოვნაზე, რომ სახელმწიფო (მთავრობა) არ იყოს ესოდენ წყენია და მგრძობიარე. ნუ იგულისხმებს „უვნებელ“ ხუმრობაში ბოროტ განზრახვას და საერთოდ, მეგად „შემწყნარებელი“ იყოს. გადაჭარბებული მგრძობიარობა მართლაც სისუსტეს წარმოადგენს, და მისი არქონა შესაძლოა საქებარიც იყოს, მაგრამ ომის დროს მოწინააღმდეგის გრძობების დანდობა არ ეგების, ხოლო ის, რაც დასაშვებია მშვიდობიანობის დროს, დაუშვებელია ომის გამოცხადების შემდეგ. იმ მიზეზით, რომ კეთილის განზრახველი ლიბერალები ამას შესანიშნავად გრძობენ, ისინი ჩქარობენ განაცხადონ, რომ „ხალხის მორჩილებისას“ არანაირი საფრთხე არ არის მოსალოდნელი. მაგრამ ხელისუფლება მეგად ბრძენია, რათა ასეთ რწმუნებებს ენდოს. მან შესანიშნავად იცის, რომ ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვებია, და ამიგომ მსგავსი „მოჩვენებითი კერძით“ არ დაკმაყოფილდება.

მაგრამ აღამიანებს სათამაშო ასპარეზი სჭირდებათ; ისინი ხომ ბავშვები არიან და არ ძალუქთი სოლიდური მოხუცების მსგავსად მოქცევა: „ახალგაზრდა-ნორჩია“.

მხოლოდ თამაშისა და გართობის შესახებ ბრუნავენ აღამიანები, მხოლოდ ამისაკენ ილგვიან. მხოლოდ იმას ითხოვენ, რომ სახელმწიფო არ ბუბლუნებდეს ჯუჯლუნა მოხუცის მსგავსად; მხოლოდ რამდენჯერმე სახედრების პროცესისა და საბალაგანო წარმოდგენის ნება დართოს, რის უფლებას ეკლესიაც კი იძლეოდა შუა საუკუნეებში. მაგრამ ის დრო,

როდესაც ამის დაშვება ყოველგვარი საფრთხის გარეშე იყო შესაძლებელი, წარსულს ჩაბარდა. ახლა ბავშვებს, ერთხელ ჩაიყნოსავენ რა თავისუფლების ჰაერს და ერთ საათსაც თუ გააგარებენ რომგის გარეშე, აღარ სურთ კელიებში დაბრუნება, რადგან ახლა თავისუფლება უკვე აღარ წარმოადგენს დამატებას „კაზმაგური“ ცხოვრებისადმი, ის არა მხოლოდ გამაცოცხლებელი მოსვენებაა; თავისუფლება ყოველგვარი განდევილობის საპირისპიროდ, aut-aut-ად (ლათ.: ან-ან) იქცა. ერთი სიგყვით, სახელმწიფომ ან აღარაფერი უნდა დაუშვას ან დაუშვას ყველაფერი - და დაილუპოს, ის ან ზედმეტად მგრძობიარე უნდა იყოს, ან უგრძობი, როგორც გვამი. შემწყნარებლობა უკვე შეუძლებელია. საკმარისია სახელმწიფოს თითი უჩვენო, რომ ის მთელ ხელს მოგაჭამს. ეს „სახუმარო“ მდგომარეობა არ არის; ყოველგვარი პაიაცობა, დაუფიქრებელი გონებამახვილობა, იუმორი და ა.შ. ვითარებას სერიოზულად ცვლის.

თავისუფლად მოაზროვნეთა მოწოდება ბეჭდვის თავისუფლების შესახებ მათივე პრინციპს, მათ საკუთარ ნებას ეწინააღმდეგება. მათ ის სურთ, რაც არ სურთ, ანუ ის, რისი წადილი ექნებოდათ, რაც მოუნდებოდათ. ამიგომ მშვიდდებიან ისინი ესოდენ სწრაფად, ხოლო თუ ე.წ. ბეჭდვის თავისუფლება უბრუნველყოფილია, ისინი უკვე ცენზურას მოითხოვენ. ეს სრულიად ბუნებრივია. სახელმწიფო მათთვისაც წმიდათაწმიდაა, ისევე, როგორც მნეობა, იმ განსხვავებით, რომ ისინი მის მიმართ ცულად აღზრდილი და, იმავდროულად, ეშმაკი ბავშვების მსგავსად იქცევიან, რომლებიც მშობელთა სისუსტის გამოყენებას ცდილობენ. მათ სურთ, რომ მამიკომ - სახელმწიფომ - მათ მრავალის თქმის უფლება მისცეს, რაც მისთვის არცთუ სასიამოვნოა, მაგრამ მამას ასევე უფლება უნდა ჰქონდეს მკაცრად შეხელოს მათ და კალმის ერთი მოსმით, ცენზურის ძალით აღკვეთოს მისთვის უსიამოვნო ლაყობა. თუ ისინი სახელმწიფოს საკუთარ მამად აღიარებენ, მაშინ, ყველა ბავშვის მსგავსად, იმ ცენზურასაც უნდა შეეგუონ, რომელიც სიგყვას ჩაუხშობს.

თუ შენ სხვისგან იღებ უფლებას, სხვამ შესაძლოა არამართლად მიგიჩნიოს, შენ კი ვალდებული იქნები ამას დაემორჩილო; ის, ვინც სხვისგან იღებს ჯილდოსა და გამართლებას, მისგანვე უნდა ელოდოს გამგყენებასა და დანაშაულს. უფლებას უფულებობა ახლავს თან, კანონიერებას - დანაშაული. ვინ ხარ შენ? დამნაშავე.

„დამნაშავე - სახელმწიფოს ყველაზე უღაო დანაშაულია“ - ამბობს [ბეგინა](#). ამას შესაძლოა დაეთანხმო. ჩვენ შეგვიძლია ამ სიგყვებს მნიშვნელობა შევუნარჩუნოთ, თუმცა თავად ბეგინას ისინი ასე არ ესმის. საქმე იმაშია, რომ შეუკავებელ და შეუბორკავ მე-ს, ისეთ მე-ს, რომელიც მხოლოდ მე მეკუთვინის, სახელმწიფოში არ ძალუძს საკუთარი თავის სრულყოფა და განხორციელება. ყოველი „მე“ დაბადებით დამნაშავეა ხალხისა და სახელმწიფოს მიმართ. ამიგომაცაა, რომ ის ყველას თვალს აღევნებს: ყველაში ეგოისტს ჭვრეტს, ეგოისტს კი უფრთხის. ის წინასწარ ყველასგან უარესს ელის და ამიგომ ბრუნავს, პოლიციურად ბრუნავს, რომ „სახელმწიფოს არანაირი ზიანი არ მიადგეს“ („ne quid respublica detrimenti capiat“). შეუკავებელი „მე“ - ჩვენ კი ასეთები ვართ საწყისიდან და ასეთებადვე ვრჩებით

ფარულად - მარადი დამნაშავეა სახელმწიფოში. ადამიანს, რომელიც საკუთარი გამბედაობით, ნებით, დაუნდობლობითა და უშიშრობით ხელმძღვანელობს, სახელმწიფო და ხალხი ჯაშუშებს მიუჩენენ. მე ვამბობ - ხალხი! თქვენ კი გულუბრყვილოდ ფიქრობთ, რომ ხალხი არაჩვეულებრივ სიმაღლეზე იმყოფება, როდესაც იგი სრულად პოლიციური ამროვნებითაა გაკლენტილი; ხალხისთვის მხოლოდ ისაა მისაღები, ვინც საკუთარ მე-ს უარყოფს, ვინც „ თვით-უარყოფას “ მიმართავს.

ბეგინა მემოაღნიშნულ წიგნში გულუბრყვილოდ მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მხოლოდ და მხოლოდ ავადაა და იმედი აქვს მისი გამოჯანმრთელების, რის მიღწევას იგი „ დემაგოგთა “ მეშვეობით აპირებს, როდესაც სახელმწიფო სრულებით არ გრძნობს თავს შეუძლოდ, პირიქით, იგი ჯან-ღონითაა სავსე, როდესაც დემაგოგებს უარყოფს, რომლებსაც რაღაცის მიღწევა ცალკეულ პირთა, „ ყველასთვის “ სურთ. საკუთარ მომხრეთა სახით მას საუკეთესო დემაგოგები, ხალხის ბელადები ჰყავს. ბეგინას შეხედულებით სახელმწიფომ უნდა „ განავითაროს თავისუფლების ჩანასახი კაცობრიობაში, წინააღმდეგი შემთხვევისას კი იგი ყვავის ბახალების დედასავით მხოლოდ ბახალების საკვებზე ზრუნავს! “ მას არ შეუძლია სხვაგვარად მოქმედება, რადგან სწორედ „ კაცობრიობის “ შესახებ ზრუნვიდან გამომდინარე (რაც უნდა წარმოადგენდეს კიდეც „ ჰუმანური “ ანუ „ თავისუფალი “ სახელმწიფოს ამოცანას) იგი „ ცალკეულ პიროვნებაში “ ბახალების საკვებს ჭვრევს. რაოდენ უფრო მართებულად განსჯის ბიურგერმაისგერი? როგორ? ნუთუ სახელმწიფოს არ გააჩნია სხვა ვალდებულება, გარდა უიმედო, განუკურნებელი ავადმყოფების შესახებ ზრუნვისა? აქ რაღაც ისე არ არის. ყოველი ჯანმრთელი სახელმწიფო ოდითგანვე ცდილობდა განთავისუფლებულიყო არაჯანსაღი ელემენტებისგან, და არა შეენარჩუნებინა ისინი საკუთარ წიაღში. მას არ გააჩნია საკუთარი ძალების ამგვარად დაზოგვის საჭიროება. უმჯობესია მოაჭრა ხეს ღილი გოგები, და მაშინ გაცოცხლებიან და აყვავდებიან სხვა ყლორტები. არ ღირს სახელმწიფოს სისასტიკის გამო აღშფოთება: მისი მორალი, პოლიტიკა და რელიგია აიძულებენ მას, ასეთი იყოს. არ ღირს საყვედურის თქმა მისი უგრძობლობის გამო: მას გააჩნია თანაგრძობის განცდა, მაგრამ გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ხსნა - სიმკაცრეშია. ზოგი სენის განკურნება მხოლოდ ძლიერმოქმედი პრეპარატით შეიძლება. თუ ექიმი ავადმყოფობას დაადგენს, და გაუბედავად მიმართავს პალიატივებს, ის ვერასოდეს განკურნავს დაავადებას, პაციენტი კი დროის მეტ-ნაკლებად მოკლე შუალედის შემდეგ მოკვდება. უაზროა მრჩეველის კითხვაც: „ თუ თქვენ სიკვდილს გამოიყენებთ ძლიერმოქმედი საშუალების სახით, როგორი იქნება მკურნალობა? “ სახელმწიფო სიკვდილს ხომ არა საკუთარი თავის, არამედ მისი ერთ-ერთი საბაგელი წევრის მიმართ იყენებს: იგი ამოთხრის თვალს, რომელიც მას აღიზიანებს.

„ სწული სახელმწიფოსთვის ხსნის ერთადერთი გზა ადამიანის განვითარების მხარდაჭერაა “ . თუ ამ შემთხვევაში ადამიანის ქვეშ ბეგინასთან ერთად „ ადამიანს “ ვიგულისხმებთ, მაშინ ის მართალია: „ სწული “ სახელმწიფო მას შემდეგ გამოჯანმრთელდება, რაც „ ადამიანი “ მომჯობინდება, რადგან რაც უფრო მეტად უყვართ ერთეულებს „ ადამიანი “ , მით უფრო

სარფიანია ეს სახელმწიფოსთვის. მაგრამ თუ ამას ცალკეულ პიროვნებას, „ ყველას “ მიუყენებთ, (რასაც ნაწილობრივ ავტორიც აკეთებს, სრულად არ განმარტავს რა საკუთარი თავისთვის „ ადამიანს “), ეს დაახლოებით შემდეგი მნიშვნელობის შემცველი იქნებოდა: „ ავაზაკთა სწული გუნდისთვის ხსნის ერთადერთი გზა იმაში მდგომარეობს, რომ მათ შორის გამოჩნდნენ და წარმატებას მიაღწიონ წესიერმა ადამიანებმა! მაგრამ ეს დალუპავდა ავაზაკთა გუნდს, როგორც ასეთს, და ვინაიდან ის ამას ხელება, ის, პირიქით, მზად არის გყვია დაუშინოს ყველას, ვისაც მიდრეკილება აქვს „ წესიერ ადამიანად “ იქცეს “ .

ბემოაღნიშნულ წიგნში ბეგინა პაგრიოც ან, რაც ოღნავ უკეთესია, ფილანგროპს წარმოადგენს, რომელიც ყველა ადამიანის გაბედნიერებას ესწრაფვის. ის ისევე უკმაყოფილოა არსებული მდგომარეობით, როგორც მისი წიგნის აჩრდილის მსგავსი სახელწოდება, ყველა მათგანთან ერთად, ვინც ძველი რწმენის აღდგენას ეცდებოდა მთელი მისი ატრობუტებით. იმ განსხვავებით, რომ ის ფიქრობს, თითქოს სახელმწიფოს მისი მსახურები, პოლიტიკოსები და დიპლომატები, რყვნიდნენ, როდესაც ისინი, თავის მხრივ, ამაში ბოროტად განწყობილ ადამიანებს, „ ერის გამრყენელებს “ , სდებენ ბრალს.

რას წარმოადგენს ჩვეულებრივი დამნაშავე, თუ არა ადამიანს, რომელმაც საბედისწერო შეცდომა დაუშვა, მოითხოვა რა ის, რაც ხალხს ეკუთვნოდა, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი ეძებნა?! იგი სხვის საძულველ სიკეთეს ეძიებდა, მოიქცა მორწმუნის მსგავსად, რომელიც იმას ითხოვს, რაც ღმერთს ეკუთვნის. რას აკეთებს მღვდელმსახური, რომელიც დამნაშავეს ჩააგონებს? იგი უხსნის მას დანაშაულს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მან საკუთარი საქციელით წაბილწა რაღაც, კურთხეული სახელმწიფოს მიერ - სახელმწიფოს საკუთრება (ასეთად უნდა მიიჩნეოდეს მოქალაქეთა სიცოცხლეს). ნაცვლად ამისა კი მისთვის უნდა ეჩვენებინათ: მან საკუთარ თავს ჩირქი იმით მოცხო, რომ ზიზღით არ შეხედა სხვისას და, პირიქით, იგი მოპარვის ღირსად ჩათვალა. მღვდელმსახური შეძლებდა ასეთ ბემოქმედებას, ხუცესი რომ არ ყოფილიყო. ეგრეთ წოდებულ დამნაშავეს, როგორც ეგოისტს გაესაუბრეთ და მას იმის კი არ შერცხვება, რომ თქვენი კანონებისა და სიმდიდრის წინააღმდეგ დააშავა, არამედ იმის, რომ თქვენი კანონები -დარღვევის, თქვენი სიმდიდრე კი წაღილის ღირსად ჩათვალა, მას შერცხვება, რომ არ შეგიძულათ თქვენს ყველა ნათესავთან ერთად, შერცხვება, რომ საკმარისად ეგოისტი არ იყო. მაგრამ თქვენ ვერ შეძლებთ მასთან ეგოისტური სულით საუბარს, რადგან არ ღვახართ დამნაშავის სიმაღლეზე - თქვენ არ ჩადიხართ დანაშაულს! თქვენ არ იცით, რომ საკუთარი „ მე “ ვერ იქნება დამნაშავე, რომ დანაშაული - მისი ცხოვრებაა. და მაინც, თქვენ ეს უნდა გცოდნოდეთ, რადგან გწამთ, რომ „ ყველა ცოდვილია “ , თუმცა ცოდვისგან თავის დაძვრენა გსურთ: თქვენ ვერ ხვდებით, - რადგან ეშმაკის შიშით ცოცხლობთ, - რომ დანაშაული ადამიანის ღირებულებაა. ო, თქვენ რომ დამნაშავე იყოთ! მაგრამ თქვენ „ უმწიკვლონი “ ხართ. რას იბამთ, შეეცადეთ თქვენს მბრძანებელს აამოთ!

როდესაც ქრისტიანული ცნობიერება ანუ „ ქრისტიანი “ სისხლის სამართლის კანონებს აღგენს, მაშინ დანაშაულის ცნება, რასაკვირველია, გულცივობას უტოლდება. გულთბილი სიყვარულის ყოველგვარი დარღვევა და შეურაცხყოფა, ყოველი სახის გულქვა დამოკიდებულება წმინდასადმი - დანაშაულია. რაც უფრო გულთბილი უნდა ყოფილიყო ეს ურთიერთობა, მით მეტად ალგვაშფოთებს მისი წაბილწვა, მით უფრო მეტი სასჯელის ღირსად გვეჩვენება დანაშაული. ყველა ქვეშევრდომი ვალდებულია, მბრძანებელი უყვარდეს: ამ სიყვარულზე უარის თქმა სახელმწიფოს ღალატის გოლფასია, რაც სიკვდილით ისჯება. ცოლქმრული ღალატი - გულქვაობაა, რაც სასჯელს იმსახურებს: ამ დანაშაულის ჩამდენი უგულო აღამიანია, რომელსაც არ გააჩნია ქორწინების სიწმინდის განცდა. სანამ კანონებს გული და სული გვიკარნახებს, კანონის დაცვით მხოლოდ გულითადი აღამიანი ისარგებლებს. ის, რომ კანონებს გულითადი აღამიანი აღგენს, ნიშნავს, რომ მათ აღგენს მნებობრივი აღამიანი; ყველაფერს, რაც ამ აღამიანთა „ მნებობრივ ემოციებს “ ეწინააღმდეგება - ისინი კიცხავენ. მაგალითად, როგორ შეიძლება ასეთ აღამიანებს სამართლად და დანაშაულებრივად არ მოეჩვენოთ ღალატი, ფიცის გატეხვა, ერთი სიტყვით, ძველი და ჩამოყალიბებული კავშირების რღვევა? ის, ვინც გულის ამ მოთხოვნებს არღვევს, საკუთარი თავის წინააღმდეგ ყველა მნებობრივ და გულითად აღამიანს ამხედრებს. ქრისტიანული სახელმწიფოს ურყევი კანონმდებლობა შესაძლოა მხოლოდ მღვდლებმა შექმნან, და ის მანამ არ იქცევა სრულად და თანმიმდევრულად, სანამ მის შემუშავებას მღვდელთა მსახურები განახორციელებენ, ვინც ყოველთვის ნახევარმღვდელს წარმოადგენს. მხოლოდ ასეთ დროს ჩაითვლება ყოველგვარი გულცივობა უპატიებელ დანაშაულად, მხოლოდ მაშინ გაკიცხავენ სულის ყოველგვარ აღშფოთებას, ხოლო ყოველგვარ კრიტიკასა და ეჭვს ანათემას გადასცემენ, მხოლოდ მაშინ იქცევა თავისებური აღამიანი ქრისტიანული ცნობიერებისთვის გამოუსწორებელ დანაშაულად.

რევოლუციის მოღვაწენი ხშირად საუბრობდნენ ხალხის „ დიადი შურისძიების “ , როგორც მისი უფლების შესახებ.

შურისძიება და უფლება აქ თანხვდებიან. მაგრამ ნუთუ ასეთივეა მე-ს დამოკიდებულება „ მე “ -სადმი? ხალხი გაჰკვივს, რომ საბუღალეს პარტიამ მის მიმართ დანაშაული ჩაიდინა. მაგრამ შემიძლია თუ არა ჩავთვალო, რომ მოცემულმა პირმა დანაშაული ჩაიდინა ჩემს მიმართ, თუ არ დავუშვებ, რომ იგი ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ეს მე მსურდა? მხოლოდ ასეთ ქმედებას ვუწოდებ მე მართებულს, მართალს, კარგსა და ა.შ., ხოლო ყველაფერს, ამის საწინააღმდეგოს - დანაშაულად ვთვლი. ამგვარად მე ვთვლი, რომ ჩემთან ერთად სხვებიც ერთი და იმავე მიზნისკენ უნდა ისწრაფვოდნენ, ანუ მე მათ არა როგორც ერთადერთებს ვუძებ, რომლებიც საკუთარ თავში ატარებენ კანონებს და მათ მიხედვით ცხოვრობენ, არამედ როგორც არსებებს, რომლებიც რომელიმე „ გონიერ “ კანონს უნდა დაემორჩილონ. მე განვსაზღვრავ, რას წარმოადგენს განყენებული „ აღამიანი “ , „ აღამიანი “ , როგორც ასეთი, და რას ნიშნავს „ ჭეშმარიტად აღამიანური “ ქცევა, შემდეგ კი ვითხოვ, რომ ამ კანონს ყველა აღამიანი ნორმად და იდეალად მიიჩნევდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩემს

თვალში „ ცოლვილად და დამნაშავედ “ იქცევა, ხოლო „ დამნაშავეს “ ეწევა „ კანონიერი სასჯელი “ .

აქედან გასაგებია, რომ ისევ ის „ ადამიანი “ ქმნის ცოლვისა და, შესაბამისად, უფლების დანაშაულებრიობის ცნებას. ადამიანი, რომელშიც მე არ ვცნობ „ ადამიანს “ , „ ცოლვილი და დამნაშავეა “. მხოლოდ წმინდანთან მიმართებით შესაძლოა იქცე დამნაშავედ: ჩემთან მიმართებით შენ არასოდეს იქნები დამნაშავე, არამედ მხოლოდ მოწინააღმდეგე. მაგრამ სიწმინდისადმი სიძულვილისა და მისი წაბილწვის სურვილის მხოლოდ არქონაა უკვე დანაშაული, და სენ-ჟიუსტი უკივის დანგონს: „ ნუთუ შენ დამნაშავე არ ხარ? ნუთუ არ გეკისრება პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ სიძულვილს არ განიცდიდი სამშობლოს მგრებისადმი?! “

თუკი ისევე, როგორც დიდი რევოლუციის ეპოქაში, „ ადამიანის “ ცნება უგოლდება წარმოდგენას „ კეთილი მოქალაქის “ შესახებ, მაშინ იმავე ცნებით - „ ადამიანი “ - იქმნება „ პოლიტიკური გადაცდომებისა და დანაშაულების “ ცნებაც.

ამ ყოველივეში ცალკეული ან ერთეული ადამიანი განიხილება, როგორც „ ნაყარი “ , ხოლო ყოვლად-ადამიანს ანუ განყენებულ „ ადამიანს “ , ყველაზე საპატიო ადგილს მიაკუთვნებენ, მხოლოდ მას ეპყრობიან პატივისცემით. იმისდა მიხედვით, თუ რას უწოდებენ ამ „ აჩრდილს “ , ქრისტიანს, იუდეველს, მუსულმანს, კეთილ მოქალაქეს, ლოიალურ ქვეშევრდომს, „ თავისუფალს “ , პაგროტოსსა თუ ა.შ., მოზემე „ ადამიანის “ ხაგის წინაშე ისინიც უჩინარდებიან, რომლებსაც ადამიანის სხვა, ამასთან თანუხვედრელი ცნების გაგარება სურთ, და ისინიც, რომლებსაც საკუთარი თავის განხორციელება და გამოვლენა სწადიათ.

და როგორი დახვეწილობით კლავენ კანონის, სუვერენული ხალხის, ღმერთის და ა.შ. სახელით!

ხოლო თუ დევნილები ახერხებენ სამღვდლო ნირის მსაჯულთაგან მიმალვას, მათ „ პირფერების “ სახელით ლანძღავენ, როგორც ამას, მაგალითად სენ-ჟიუსტი აკეთებდა მათ მიმართ, ვისაც დანგონის წინააღმდეგ წარმოთქმულ სიგყვაში სდებდა ბრალს. ბრიყვი უნდა იყო და მათ მოლოხს შეეწირო მსხვერპლად.

აკვირებული იდეები დანაშაულს წარმოშობენ. ქორწინების სიწმინდე - ერთ-ერთი ასეთი აკვირებულ იდეათაგანია. ქორწინების სიწმინდიდან გამომდინარეობს, რომ ცოლქმრული ღალაგი - დანაშაულია, რის გამოც ყალიბდება კონკრეტული საქორწინო კანონი, რომლის შესაბამისად ცოლქმრული ღალაგი ამა თუ იმ სასჯელს იმსახურებს. მათთვის, ვინც „ თავისუფლებას, როგორც სიწმინდეს “ ეთაყვანება, ეს სასჯელი წარმოადგენს დანაშაულს თავისუფლების წინააღმდეგ, და მხოლოდ ამ გაგებით გმობს საზოგადოება ქორწინების კანონს. საზოგადოებას სურს, რომ ყველამ მოიპოვოს უფლება, მაგრამ არა საკუთარი,

არამედ ის უფლება, რომლის სანქციას საზოგადოება იძლევა, ანუ ე.წ. საზოგადოებრივი უფლება. მე კი ვიძლევი ან ვიღებ უფლებას საკუთარი უფლებამოსილების შესაბამისად, ხოლო ყოველივე იმასთან მიმართებით, რაც ჩემზე ძლიერი ან ძალმოსილია, მე - მოუნანიებელი დამნაშავე ვარ. როგორც საკუთარი თავის პაგრონი და საკუთარი უფლების შემოქმედი, მე არ ვცნობ უფლების სხვა წყაროს, გარდა საკუთარი თავისა, მე არ ვცნობ უფლების წყაროდ არც ღმერთს, არც სახელმწიფოს, არც ბუნებას და არც ადამიანს მისი „ მარადი ადამიანური უფლებებით, არც ღვთიურ და არც ადამიანურ უფლებას.

უფლება „ საკუთარ თავში “ . შესაბამისად, უფლება, რომელსაც ჩემთან არ აქვს შეხება! „ აბსოლუტური უფლება “ . შესაბამისად, ჩემგან გამიჯნული! „ უფლება, „ არსებული საკუთარ თავში “ ! აბსოლუტური, მარადი უფლება, როგორც მარადი ჭეშმარიტება.

ლიბერალთა წარმოდგენის შესაბამისად, უფლება ჩემთვის სავალდებულო უკვე იმიტომ უნდა იყოს, რომ იგი ადამიანის გონების მიერ არის დადგენილი, რომელთან მიმართ ჩემი გონება - „ უგუნურებაა “ . უწინ ღვთიური გონებისათვის ებრძოდნენ ადამიანის სუსტ გონებას, ახლა კი ამბობენ აწყობენ ეგოისტური „ უგუნურების “ წინააღმდეგ უფრო ძლიერი ადამიანური გონების სასარგებლოდ. მხოლოდ ეს „ უგუნურებაა “ - ნამდვილი, ყველა სხვა გონებასთან შედარებით. ნამდვილი - არა ღვთიური ან, მით უმეტეს, ადამიანური გონებაა, არამედ შენი და ჩემი გონება, რადგან მხოლოდ მე და შენ ვართ ჭეშმარიტად რეალურები.

უფლების იდეა თავდაპირველად ჩემი იყო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ჩემში გაჩნდა, ის მხოლოდ ჩემგან მოდის. მაგრამ, გაჩნდა რა ჩემგან და მიიღო „ სიტყვის “ ფორმა, ის მეყსეულად იქცა „ ხორცად და სისხლად “ , „ აკვიატებულ იდეად “ . ამ იდეას მე უკვე ვეღარ ვაღწევ თავს, და რამდენიც არ უნდა ვიბრუნო, ის ჩემს წინაშე ღვას. ასევე ვერ შეძლეს ადამიანებმა „ უფლების “ მათ მიერ შექმნილი იდეის დაპაგრონება: მათი ქმნილება იმიდავს და იხმობს მათ. ასეთია აბსოლუტური უფლება – უფლება, რომელიც ჩემგან ჩამოშორებული და განკერძოებულია. თაყვანს ვცემთ რა მას, როგორც აბსოლუტს, ჩვენ აღარ შეგვიძლია მისი დაძლევა, ის კი ჩვენს შემოქმედებით ძალებს დაწრებს: ქმნილება აღემატება შემოქმედს, როგორც რაღაც თვითკმარი, როგორც „ საგანი საკუთარ თავში “. ერთხელ მაინც სცადე დაიმორჩილო, მოდრიკო უფლება, სცადე დაამკვიდრო იგი მისი წარმოშობის ადგილას – შენში, და ის შენს უფლებად იქცევა, ხოლო მართალი ის იქნება, რასაც შენ ჩათვლი ასეთად.

უფლებამ არაერთი შინაგანი თავდასხმა განიცადა უფლების თვალსაზრისით, როდესაც ლიბერალიზმი ომს უცხადებდა „ პრივილეგიებსა “ და „ უპირატესობებს “ .

სასტიკი ბრძოლა ახლა ორი ცნების გამო მიმდინარეობს – „ თანასწორობისა “ და „ პრივილეგიების “ , ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმის გამო, გამოვრცხოთ თუ დავუშვათ. მაგრამ ნუთუ არსებობს ისეთი ძალაუფლება, გნებავთ წარმოსახვითი, როგორც ღმერთი და კანონი, ან ნამდვილი, როგორც მე და შენ, რომლის წინაშე არა ყველა იქნებოდა „

თანასწორი “, ანუ რომლისთვისაც დასაშვებია მიზანსწრაფვა? ღმერთს ყველა უყვარს, ვინც მის წინაშე მუხლს იდრეკს; კანონისთვის თანაბრად მისაღებია ყველა, ვინც პატივს სცემს კანონს, ყველა „კანონიერი“ . ღმერთისა და კანონისთვის სრულიად სულ ერთია - კუზინია მათი ფავორიტი თუ კოჭლი, ღარიბია თუ მდიდარი, და ა.შ., მსგავსად იმისა, როგორც, თუ შენ იძირები, შენთვის სულ ერთია, ვინ იქნება შენი მხსნელი - ზანგი, კავკასიელი თუ სულაც ძალღი. და პირიქით, ნუთუ მოიძებნება ერთი ადამიანი მაინც, ვისაც ნებისმიერი სხვა პრივილეგირებულად ან უუფლებოდ არ ეჩვენებოდა? ღმერთი „ბოროტებს“ საკუთარი რისხვით სჯის; კანონი სჯის მათ, ვინც კანონს არ აღიარებს. შენ ყურადღებით უსმენ ერთს, მეორეს კი კარისკენ უთითებ.

„ყველას თანასწორობა“ მხოლოდ აჩრდილია, რადგან ყოველი უფლება სხვა არა არის რა, თუ არ ნებადართვა, ანუ წყალობის აქტი, რომელსაც შეგიძლია საკუთარი დამსახურებითაც მიაღწიო, რადგან წყალობა და დამსახურება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან: წყალობაც დამსახურებული უნდა იყოს, და ჩვენს მოწყალე ღმერთს მხოლოდ ის იღებს, ვისაც ჩვენში ღმერთის გამოწვევა შეუძლია.

ოცნებობენ იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს ყველა მოქალაქე თანასწორი იყოს. მოქალაქეების სახით ისინი, რასაკვირველია, სახელმწიფოსთვის თანასწორები არიან. მაგრამ თავისი განსაკუთრებული მიზნებიდან გამომდინარე იგი ყოველთვის დაანაწევრებს მათ, უპირატესობას მიანიჭებს ან უგულვებელყოფს, უმთავრესად კი მან სათანადო და არასათანადო მოქალაქეები უნდა გაარჩიოს.

ებრაულ საკითხს [ბრუნო ბაუერი](#) იმ თვალთაკუთხით ხსნის, რომ ყველა „უპირატესობა“ უფლების პრინციპის დამრღვევაა. ვინაიდან იუდეველი და ქრისტიანი ამა თუ იმ გაგებით აღემატებიან ურთიერთს და ამ უპირატესობაში განსაკუთრებულები არიან, სწორედ ამიტომ იქცევიან კრიტიკის თვალში არარად. იგივე გაკიცხვას იმსახურებს სახელმწიფო, რომელიც ამართლებს და სანქციას აძლევს ამ უპირატესობას და აქცევს მას „უპირატესობად“ ანუ „პრივილეგიად“, ამით ეწინააღმდეგება ის საკუთარ მოწოდებას, იყოს „თავისუფალი სახელმწიფო“. მაგრამ რაღაც უპირატესობა ყველას აქვს სხვის წინაშე, კერძოდ კი საკუთარი თავისა, ანუ აქვს ერთადერთობა, ცალკეულობა. ამაში ყველა განსაკუთრებულობას ინარჩუნებს.

და კვლავ, ყველა შეძლებისდაგვარად ცდილობს სხვებთან შედარებით მესამეთა წინაშე საკუთარი განსაკუთრებულობა გამოავლინოს და დაამკვიდროს, ხოლო თუკი სურს, რომ ეს მესამე რამენაირად საკუთარი თავის მიმართ განაწყოს, ცდილობს წარმოაჩინოს ეს განსაკუთრებულობა ყველაზე მიმზიდველი ფორმით.

ვალდებულია მესამე, ვერ ხედავდეს განსხვავებას, რომელიც ერთსა და მეორეს შორის არსებობს? მოითხოვს ამას სახელმწიფო ან კაცობრიობა? მაშინ მათ არ უნდა გააჩნდეთ

საკუთარი ინტერესები და უუნარონი უნდა იყენენ, სხვათა მიმართ თანაგრძობა გამოხატონ. მაგრამ ამგვარი გულგრილობა ღმერთისგანაც კი არ არის ნაფარაუდები, რომელიც ასხვავებს „თავისებს“ (კეთილებს) ბოროტებისგან; არც სახელმწიფოში, რომელიც „კარგ“ და „ცუდ“ მოქალაქეებს ასხვავებს.

და მაინც, ცდილობენ იპოვონ რაღაც მესამე, რომელიც არანაირ „პრივილეგიებს“ არ არიგებს. ასეთად თვლიან თავისუფალ სახელმწიფოს ან კაცობრიობას, ან რაღაც ამის მსგავსს.

ბრუნო ბაუერი მხოლოდ იმ მიზეზით ამცირებს ქრისტიანსა და იუდეველს, რომ ისინი საკუთარ უპირატესობებს ამკვიდრებენ. შესაბამისად, მათ ძალუძთ და ვალდებული არიან საკუთარი შეზღუდულობისგან თვითაღკვეთის ან უანგარობის მეშვეობით განთავისუფლდნენ. მათ რომ საკუთარი „ეგოიზმი“ განეგდოთ, ურთიერთისადმი უსამართლობაც შეწყდებოდა და მასთან ერთად აღმოიფხვრებოდა, როგორც ქრისტიანული, ისე იუდეური რელიგიურობა საერთოდ. მხოლოდ ის იქნებოდა საჭირო, რომ არც ქრისტიანებსა და არც იუდეველებს არ მოეთხოვათ რაიმე განსაკუთრებული. მაგრამ უარიც რომ ეთქვათ ამ განსაკუთრებულობაზე, ისინი მაინც არ დაგოვებდნენ იმ ნიადაგს, რომელზეც მათი მგრობა მიმდინარეობდა. ისინი მესამეს მოძებნიდნენ, რაც მათ გააერთიანებდა, „საყოველთაო რელიგიას“, „ადამიანობის რელიგიას“ და ა.შ. ერთი სიგყვით, თანხობას მიაღწევდნენ, რაც, უნდა ითქვას, რომ სრულებით არ არის ყველა იუდეველის ქრისტიანად მოქცევაზე უკეთესი, რადგან ამითიც გაქრებოდა ერთის „უპირატესობა“ მეორის წინაშე. ამით შესაძლოა დაძაბულობა გამქრალიყო, მაგრამ ეს უკანასკნელი არა მათ არსებას ახასიათებს, არამედ მათ მეზობლობას. მათ შორის აუცილებლად დაძაბული ურთიერთობა უნდა არსებობდეს, და ასეთ შემთხვევაში უთანასწორობა არ გაქრება. იმაში არაა შენი ნაკლი, რომ დაძაბული ურთიერთობა გაქვს ჩემთან; არც იმაში, რომ საკუთარ განსაკუთრებულობასა და თავისებურებას ამკვიდრებ: შენ სრულებით არ ხარ ვალდებული, დათმო და უარი თქვა საკუთარ თავზე.

საპირისპიროს ცნება მეგისმეგად ფორმალურად და ვიწროდ ესმით, როდესაც მისი მოშორება მხოლოდ იმისათვის სურთ, რომ ადგილი გაანთავისუფლონ „გამაერთიანებელი“ მესამესთვის. ებრაელისა და ქრისტიანის სახით თქვენ ჯერ კიდევ უკიდურესად უმნიშვნელოდ უპირისპირდებით ერთმანეთს და მხოლოდ რელიგიისთვის ანუ რაღაც ფუჭის, ცარიელისათვის იბრძვით. თუმცა მტრები ხართ რელიგიის საკითხებში, სხვაში კეთილ მეგობრებად რჩებით და, როგორც ადამიანები, შესაძლოა თანასწორებიც. მაგრამ თქვენში სხვაგვარ არ არის თანასწორი და ამიგომ თქვენ მხოლოდ მაშინ იგყვით უარს საკუთარი საპირისპიროს დაფარვაზე, როდესაც სრულად აღიარებთ მას, და თითოეული თქვენგანი თავით ფეხამდე შეუდგება საკუთარი თავის დამკვიდრებას. მაშინ, რასაკვირველია, უწინდელი წინააღმდეგობა გაქრება, მაგრამ მხოლოდ იმიგომ, რომ მას უფრო ძლიერი და მკვეთრი განსხვავება შთანთქავს.

ჩვენი სისუსტე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჩვენ სხვებს ვუპირისპირებთ საკუთარ თავს, არამედ იმაში, რომ ამას არასაკმარისად ვაკეთებთ, ანუ იმაში, რომ ჩვენ არასაკმარისად ვართ მათგან გამოცალკევებული, რომ ჩვენ რაღაც „ერთობას“ ,, კავშირებს“ ვეძებთ, და რომ ჩვენი იდეალი - სახელდობრ ურთიერთობაა. ერთი რწმენა, ერთი ღმერთი, ერთი იდეა - ერთი ქუდი ყველასთვის! ყველას რომ ერთი ქუდი ეხუროს, რასაკვირველია, არავის დასჭირდებოდა სხვის წინაშე მისი მოხდა. სასრული და ყველაზე მკვეთრი დაპირისპირება - ერთადერთის დაპირისპირება ერთადერთისთვის, არსებითად სცდება იმის ფარგლებს, რასაც ჩვენ დაპირისპირებას ვუწოდებთ, თუმცაღა არც უკან ბრუნდება „ერთიანობისკენ“ . როგორც ერთადერთს, შენ აღარაფერი გაქვს საერთო სხვასთან, და ამიგომ აღარაფერია თქვენს შორის მგრული და განმაცალკევებელი; შენ უკვე აღარ ეძებ სამართლებრივ დაცვას მისგან მესამესთან, და შენ აღარ დგახარ მასთან ერთად არც „უფლებრივ“ და არც რაიმე სხვა საერთო ნიადაგზე. წინააღმდეგობა ქრება სრულ განკერძოებულობასა ან ერთადერთობაში. თუმცაღა იგი შეგვიძლია ჩავთვალოთ ახალ ერთობად ან თანასწორობად, აქ თანასწორობა უთანასწორობაში მდგომარეობს და თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა უთანასწორობა სწორედ იმის თვალში, ვინც „გათანაბრებითაა“ დაკავებული.

პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლა ლიბერალიზმის დამახასიათებელი ნიშანია, რომელიც „უპირაგესობებსა“ და „პრივილეგიებს“ ,, უფლებაზე“ დაყრდნობით უტყვის. მაგრამ ფუჭ თავდასხმებს იქეთ ლიბერალიზმი ვერ მიდის, რადგან უპირაგესობები, რაც უფლების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს, მხოლოდ უფლების განადგურებასთან ერთად ქრება. მაგრამ უფლება არაფრად იქცევა მაშინ, როდესაც მას ხელისუფლება ან ძალა შთანთქავს, ანუ, როდესაც მიხედებიან, რომ ძალა უფლების წინამორბედაა. ასეთ დროს ყოველი უფლება უპირაგესობად იქცევა, ხოლო თავად უპირაგესობა - ძალად.

მაგრამ ძალის უპირაგესობის წინააღმდეგ ძლევა მოსილი ბრძოლა რაღაც სრულიად განსხვავებული უნდა იყოს, ვიდრე მოკრძალებული ბრძოლაა პრივილეგიებთან, რომლის გადაწყვეტა პირველი მოსამართლის - უფლების წინაშე ხდება მოსამართლის გაგებითა და სურვილით.

დაბოლოს, უარი უნდა ვთქვა სანახევრო გამოთქმებზე, რომლებიც იძულებული ვიყავი გამომეყენებინა, სანამ უფლების წიაღში დავეხეგებოდი და თავად ეს სიგყვა იყო ჩემთვის დასაშვები. მაგრამ ცნების გაქრობასთან ერთად სიგყვაც კარგავს ამრს. ის, რასაც მე „საკუთარ უფლებას“ ვუწოდებდი, უკვე აღარ არის „უფლება“, რადგან უფლება შესაძლოა მონიჭებულ, ბოძებულ იქნას სულის მიერ, იქნება ეს ბუნების, გვარის, კაცობრიობის, ღვთის, მისი უდიდებულესობის თუ ა.შ. სული. ის, რასაც მე სულის სანქციის გარეშე ვფლობ, მე ვფლობ უუფლებოდ, ის ჩემს მიერ მხოლოდ ჩემი ძალის მეშვეობით არის მოპოვებული. მე არ მოვიტხოვ უფლებებს და ამდენად შემიძლია არც ვცნობდე მათ. ის, რისი მოპოვებაც ძალით

შემიძლია, მას ვფლობ, ხოლო რასაც ძალით ვერ მოვიპოვე, მასზე არც უფლება გამაჩნია, და მე არც ვამაყოფ და არც თავს ვინუგეშებ მარადი და გარღვევადი უფლებებით.

მაგრამ აბსოლუტურ უფლებასთან ერთად ქრება თავად უფლებაც, ქრება „უფლებრივი გაგების“ ბაგონობა. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ჩვენზე გაბატონებული იყო ცნებები, იდეები და პრინციპები, ამ მბრძანებლებს შორის ყველაზე ძლევაგამოსილნი კი უფლებისა და სამართლიანობის ცნებები გახლდათ.

მართალი ვარ თუ არა - ამას ჩემთვის სრულიად არ აქვს მნიშვნელობა: თუ მე ძლიერი ვარ, მე უკვე მოვიპოვე უფლება და აღარანაირი უფლებამოსილება არ მჭირდება ჩემი უფლების გასამყარებლად.

უფლება - სიგიჟეა, რომლითაც რომელიღაც აჩრდილი გაჯილდოვებს; ძალა - თავად მე ვარ, რადგან მე ძლიერი ვარ და საკუთარი ძალის პაგრონს წარმოვადგენ. უფლება ჩემს თავზეა, ის აბსოლუტურია და რომელიღაც არსებას ეკუთვნის, რომლის წყალობით მენიჭება ის მე. უფლება - წყალობაა, რომელსაც მსაჯული გიბოძებს; ძალა - ჩემშია, ძლიერსა და ძლევაგამოსილში.